# ცისკარი

1862

ნოემბერი.

წელიწადი მეექვსე.

## წოდება თხზულებათა:


I.— საბრალონი. (რომანი ვიკტორ ჰიუგოსი). . . . . გ. დიდებულიძისა.

— პოლშის კაროლი და ლიტვის ჰეთმანი. . . . . . მიხ. ჩიკიანისა.

II.— ლექსები სხჳა სხჳა მწერლებისა.

III.— მეფის ირაკლის 2-ს ისტორიაზედ. . . . . . . თ. ალ. ორბელიანისა.

IV.— ლიტერატურნი ვეჩერი. . თ. რაფ. ერისთავისა.

V.— სხჳა და სხჳა ანბავი. (იხილე მეორე გვერდზედ.)



ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# საბრალონი.

## რომანი ვიკტორ ჰიუგოსი.

ეს ჩინებული რომანი ფრანცუზულს ენაზედ გამოიცა ამ წლის დამდეგში, მოიპოვა მთელს ევროპაში საზოგადო ყურადღება და დიდი პატივისცემა. ეს გადიღეს ყოველს ევროპიულს ენაზედ. სხუა და სხუა ჟურნალების რედაკტორებმა მისცეს ჰიუგოს სამასი ათასი ფრანკი იმ აზრით, რომ ნება ჰქონოდათ დაებეჭდათ თავიანთს ჟურნალებში. გარდა ამისა, ეს რომანი გამოიცა ფრანცუზულს ენაზედ საკუთარ წიგნებად და თითო ეგზემპლიარი იყიდება სამ-სამ თუმნათ; აქამდისინ დაყიდულა ორასი ათასის მანეთისა. საფრანგეთში და სხუა ქუეყნებში იშჳათი თურმე იქნება იმისთანა განათლებული სახლი, რომ ეს განთქმული ევროპაში რომანი არ წაეკითხოს. სხუათა შორის

რაოდენიმე ნაწილი ამ რომანისა დაიბეჭდა რუსულს ენაზედაც. დანარჩენის თარგმნა და ბეჭვდა რაღაც მიზეზით შესდგა. რაც აქამომდე დაიბეჭდა რუსულს ენაზედ იმას ქართველთ საზოგადოობა წაიკითხავს სამს ანუ ოთხს ცისკრის ნომერში.

ბ. დ.

# საბრალონი.

ჩყიე-სა წელსა, ეპისკოპოზის თანამდებობას ლიონის ქალაქში აღასრულებდა მირიელი. ეს იყო მოხუცი სამოცდა თხუთმეტის წლისა. ის თანამდებობა მიიღო იმან ჩყვ-სა წელში, აი როგორის მოულოდნელის სახით:

ნაპოლეონ პირუელის დაგჳრგჳნების წინეთ, მირიელი იყო იმ ქალაქში მრევლის მღვდლათ, იმას მეხვდა რაღაც მცირედ საქმეზედ მისვლა პარიჟში. სხუათა შორის ის უნდა გამოცხადებულ-იყო კარდინალს ფეშთან.

(კარდინალი ჩუენს მიტროპოლიტს შეედარება). ფეში იყო ბიძა იმპერატორისა ნაპოლეონის: და მივიდა ერთხელ ნაპოლეონ იმის სანახავათ. სწო-რეთ იმ დროს წინა ოთახში მირიელი უცდიდა ფეშის ზალაში გამოსვლასა. როდესაც იმან და-

ნახა ნაპოლეონი, შენიშნა ესე და ჰკითხა იქ მდგომთა:

ვინ არის ეს უხიაკი?

--კელმწიფევ, მიუგო თვთ მირიელმა: თქუჱნ ხედავთ ჩემში უხიაკსა, და მე თქუჱნში დიდს კაცსა, რომლისაც სახელი აღავსებს სრულს ევროპასა. თვთოეული ჩუჱნგანი ამით, ვგონებ, არაფერსა ჰკარგავს.

იმავე საღამოს იმპერატორმა გამოჰკითხა კარდინალს საქელი, გუარი და გარემოება იმისის ცხოვრებისა, და უბძანა მაშინვე იმის ეპისკოპოზათ დანიშვნა ხსენებულს ქალაქისა. მირიელი, როგორცკი მიიღო ახალი დანიშნულება, გარდასახლდა საეპისკოპოზო სასახლეში, იმ პატივისცემით, რომელიც, იმპერატორის რესკრიპტის ძალით, ეკუთვნის ეპისკოპოზსა მარშლის შემდგომს (იქაური მარშალი ჩუჱნს მთავარმართებელს შეეთანასწორება). მერი, ესე იგი, თავი იმა ქალაქისა და პრეზიდენტი იმავე ქალაქისა იყვნენ ეპისკოპოზთან პირველის ვიზიტით; ხოლო ეპისკოპოზი იყო პირუჱლის ვიზიტით სამხედრო და სამოქალაქო ღუბერნატორებთან. სასახლე ეპისკოპოზისა იყო მშუჱნიერი, ვრცელი შენობა ფლორენციის არხიტექტურაზე

აგებული მაღლის ზალებით და წინ ჩინებულის ბაღით. იმ სახლის გვერდით იდგა ღოშპიტალი, შენობა ვიწრო, პატარა, ერთი ეტაჟიანი მცირე-დის ბაღჩით.

სამის დღის შემდგომ ეპისკოპოზი წავიდა იმ ღოშპიტლის სანახავათ, როდესაც დაბრუნდა შინ, იმან დაიბარა დირექტორი იმ ღოშპიტლისა.

--უფალო დირექტორო, უთხრა ეპისკოპოზმა, რამდენია ავათმყოფი თქვენს ღოშპიტალში?

--ოცდა ექვსი, თქვენო მეუფებავ.

--მეც მაგდენი დავთვალე.

--კრაოტები სდგანან მლიერ ვიწროთ, განაგრ-მო დირექტორმა.

--მეც შევნიშნე ეგა.

--ოთახები არიან ისე ვიწრო, რომ ჰაერს განვაახლებთ ხოლმე სიძნელით.

--ეგეც შევნიშნე.

--გარდა ამისა ბაღი არის ერთობ პატარა ასე რომ, რომელნიც მორჩებიან ხოლმე ავათ მყოფო-ბისაგან, არა აქვსთ საკმაო ადგილი სასეირნოთ.

--ეგეც მეიტყვა, უთხრა იმას ეპისკოპოზმა. ეს ლაპარაკი იყო პურის საჭმელ ოთახში.

შემდგომ მცირედის ხნის გაჩუმებისა, ეპისკოპოზმა ჰკითხა დირექტორსა:

როგორ ფიქრობთ, რამოდენი კრაოტი უნდა დაეტიოს ამ ოთახში?

--მე ვგონებ აქ დაიდგმის ოცი კრაოტი, სთქუა თითონვე ეპისკოპოზმა, მერე უთხრა დირექტორსა:

უფალო დირექტორო, აქ უნდა შეცთომა რამე იყოს, თქუენი ოცდა ექუსი ავათმყოფი წევს ექუსს პატარა ოთახში, და ჩუენს სამს სულსა გვიჭირავს სახლი, რომელშიაც ხალვათათ დაეტევა სამოცი ავათმყოფი. აქ ცხადი შეცთომაა. თქუენ უნდა გადმოსხდეთ ამ სახლებში და თქუენი სახლი მე მომცეთ. ამით დასრულდა იმათი ლაპარაკი.

მეორეს დღეს ავათ-მყოფნი გარდასახლდნენ ეპისკოპოზის სახლში, და ეპისკოპოზი გადავიდა ლოშპიტლის სახლში.--

მირიელს არა ჰქონდა არა ვითარი საცხოვრებელი; იმის დას, მოხუცს სამოცის წლის გაუთხოვარს ქალსა, ემლეოდა პენცია ხუთასი ფრანკი (ფრანკი ხუთი მაურია) წელიწადში. მარიელს როგორც ეპისკოპოზსა, ჰქონდა ჯამაგირი წელი-

წალში თხუთმეტი ათასი ფრანკი. იმ ფულიდგან გარდასდო საშინაო ხარჯებისათჳს წელიწადში ათასი ფრანკი და დანარჩენი დაუნიშნა ღარიბთა და სხჳა და სხჳა სამადლო დაწყობილებათა.

ყოველი თავისი შემოსავალი ჯამაგირს გარდა გარდასდო ეგრეთვე ღარიბთათჳს. სახლი იმისი შეიქნა ადგილათ, სადაცა გროვდებოდნენ იმისთანანიცა, რომელთაც ჰქონდათ მრავალი ფუ-ლი, და იმათთანანიც, რომელთაც არაფერი გა-აჩნდათ. პირჳწლნი მიდიოდნენ შესაწევრათ, უკანა-სკნელნი მისაღებლად შესაწევრისა. ამ სახით დიდი ფული გარდადიოდა ეპისკოპოზის ჴელში და ვერა რამ ვერ აიძულა ის, რომ შეეცვალა მცირედიც რამე თავის ცხოვრების სახეში და ხარჯისათჳს თავის საჭიროებაზედ.

ერთის სიტყჳთ, ეპისკოპოზმა მისცა თავის თავი სასარგებლოთ ღარიბთა და გაჭირვებულთა; როდესაცკი გამოსჩნდებოდა საჭიროება შეწევნისა, იმას ვერა რა შეაშინებდა. არ ეშინოდა თჳთ უარისაცა მდიდრების მხრით, ამისთჳს, რომ გრძნობდა სრულს ძალას შეგონებისას. თუ რა ძალა ჰქონ-და იმის შეგონებას, ეს სჩანს იმის ქადაგებისაგან,

რომელიც იმან სთქუა ერთხელ ეკკლესიაში:

«საყვარელნო ძმანო ჩემნო, კეთილნო მეგობარნო!

«საფრანგეთში არის მილიონი სამას ოცდა ათი ათასი გლეხკაცის სახლი ორის ფანჯრით და ერთის კარით; მილიონი რვა ას ჩჳდმეტი ათასი ერთის კარით და ერთის ფანჯრით, და ბოლოს სამას ორმოცდა ექუსი ათასი მხოლოდ ერთის კარით. მიზეზი ამის ერთი მხოლოდ ნივთია, რომელსაც ჰქჳან ბაჟი და, რომელიც აძევს კარებთა და ფანჯრებთა. შეხედეთ ერთი იმ საწყალებს მცხოვრებლებსა, მოხუცს ქალებსა, პატარა ემაწჳლებსა, რომელნიც იმაში სცხოვრებენ; იმ ცივებათა და სხუა სნეულებათა! ღმერთს უსასყიდლოთ მიუცია იმათთჳს ჰაერი და კაცნიკი ჰყიდიან იმას. მე ვერ განვკიცხავ სჯულსა; მხოლოდ ვადიდებ ღმერთსა. იზერასა, ვარსა და ალპიის მთებში გლეხთა არა აქუსთ მცირედი ურმებიც, ისინი ზიდვენ მიწის სასუქსა ზურგით, იმათ არა აქუსთ სამთელი, ისინი სწვენ ნაცვლათ სამთლისა მკუარსა და გაფისულს ბაწრებსა, ეგრეთვე ზემო დოფინეში: იქ გლეხნი იმზადებენ პურსა მხოლოდ ექუსის თჳს საზრდოსა, ისინი

აცხობენ ხმელს ძროხის წივაზედ. ზამთარში სჭრიან ცულებით და ალბობენ მთელს დღეს წყალში, რომ შესაძლებელ იყოს დაღეჭა ძმანო! მიხედეთ, თუ რა რიგათ იტანჯვან ხალხნი გარშემო თქჳენსა.

ეპისკოპოზს ეჭირა თავი ყველასთან, ერთ რიგათ, როგორც უბრალო ხალხთან, ისრე მაღალის საზოგადოების კაცებთან. ის არა საჭიროებდა არაოდეს თავის გარდაწყვეტილებაში; არაფერს იქმოდა დაუფიქრებლათ და შეუტყობლად ყოველთა მიზეზთა და გარემოებათა. ის იყო შემბრალე დედათ სქესისა და ღარიბებისა, რომელთაც ჩჳეულებითად აწევს სიმძიმე ჩჳენის ქჳეყნისა. ის იტყოდა ხოლმე: «შეცთომა დედათ სქესისა, ყმაწვილებისა, მსახურთა, სუსტთა, ღარიბთა და უზდელთა, არიან შეცთომანი ქმრებთა, მამებთა, ბატონებთა, ძლიერთა, მდიდართა და განათლებულთა. იმათ, ვინც არა იციანრა, უნდა ასწავლიდენ, საზოგადოება არის დამნაშავე, რომ არ აძლევს განათლებას უსასყიდლოთ; ის პასუხს აგებს იმ სიბნელისათჳს, რომელსაც თჳთ შეიქმს. აი სული სავსე სიბნელით; თუმცა იმას უქმნია ცოდვა, მაგრამ დანაშავე არის არა ის, არამედ ის,

ვინც შექმნა სიბნელე, ესე იგი საზოგადოება.»

შინაური ცხოვრებაც ეპისკოპოზისა სრულიად ეთანხმებოდა იმისს საზოგადოობით გამჭრიახობას. ვითარცა ყოველს მოხუცებულს და ღრმათ მოაზრეს, იმას ეძინა ხოლმე ცოტა, იმისი მოკლე ხნის ძილი იყო მაგარი. დილით ის წირავდა ხოლმე, მერე შეუდგებოდა მუშაკობას თავის მმართველობისას. შუადღის დროს, თუ რომ კარგი ამიდი იყო, ის სეირნობდა. სეირნობის დროს ხშირად გაჩერდებოდა და ფიქრობდა; მიდიოდა ღარიბების სანახავათ, რომელსაც იმას ჰქონდა ფული, და რომელსაც არა ჰქონდა ფული. მაშინ ის მიდიოდა მდიდრებთან.

ვახშმის შემდგომ ნახევარს საათს ის ემუსაიფებოდა თავის მოხუცს დას დამაღლუარის ქალსა, რომელიც აღასრულებდა თანამდებობას მოახლისას და მეკუჭნავისას. მერე მუშაობდა თავის ოთახში; ესე იგი: სწერდა, თხზავდა. ის იყო საკმაოდ მსწავლული და დასტოვა სიკჳდილის შემდგომ ექჳსი კელთ ნაწერი თავისი ზხზულებისა. სხჳათა შორის დაუტევა თხზულება ამ დაბადების სიტყჳებზედ: პირჳელ სული ღჳთის განი-

სვენებდა წყალთა ზედა.

სახლი, რომელიც ეჭირა ეპისკოპოზსა, ჰქონდა ექჳსი ოთახი. სამი ზემო ეტაჟში და სამიც ქჳემო. სახლის უკან იყო მცირედი ბაღჩა. ქალებს ეჭირათ ზემო ეტაჟა, თითონ ქჳემო. პირჳელი ოთახი, რომლისაც კარი იღებოდა ქუჩისკენ, მსახურებდა პურის საჭმელათ; მეორე საწოლათ, მესამე სამლოცველად. სამლოცველში შირმას შიგნით ედგა კრაოტი, ეს იმისთჳს, რომ როდესაც, რომელიმე სოფლის მღჳდელი დარჩებოდა ეპისკოპოზთან ღამით, ის მისცემდა ხოლმე იმ კრაოტს დასამინებლათ.

მორთულობა ეპისკოპოზის სახლისა იყო ღარიბული: იქ იდგნენ უბრალო ხის სტოლები და ლერწმის სკამები. ხოლო რაჲცა შეეხება სისუფთავეს, ზემოდამ ძირის ეტაჟამდის, სახლი იყო შენახული სამაგალითოს სიფაქიზით. მხოლოდ იმაში მდგომარეობდა ეპისკოპოზის განცხრომა, იმის სათქმელი იყო: «სისუფთავე არა რას ართმევს ღარიბსაო.»

ამას უნდა დაუმატოთ, რომ უწინდელის სტოლის იარაღი, წვნიანის დასასხმელი კოვზი და

დიდი შანდანი, ესენი ერგო იმას ანდერძით თავისის ბებიისაგან. ის ვერცხლის შანდლები შიგ ჩანთებულის სანთლებით ჩვეულებითათ იდგა ხოლმე ბუხრის თავზედ, და ჰდგამდენ სტოლზედ ღამით მაშინ, თუ ვინმე დარჩებოდა უცხო იმათთან გასშმათ.

საწოლს ოთახში კრაოტის თავით იდგა პატარა შკაფი, სადაც იყო შენახული ის სტოლის იარაღი. ის შკაფი არაოდეს არ დაკეტილა.

იმ სახითვე იყო კარები სახლისა: სობოროს მეიდნიდამ შესავალს კარსა ჰქონდა ოდესმე დასაკეტი კლიტე; მაგრამ ეპისკოპოზმა მოახსნევინა ისა; კარი იყო ხოლმე დღე და ღამ მისურული მხოლოდ სარდულით. ეს პირველად აწუხებდა იმის დასა და მკუჭნავესა და უთხრეს კიდეცა იმას, მაგრამ იმან აი რა მიუგო: «გააკეთებინეთ თქვენის ოთახებისათჳს მაგარი კლიტეები, თუ თქვენ ეს მოგწონთ; ხოლო რაიცა შემესება მე, აი განსხვაება ჩემსა და მკურნალს შუა: კარი მკურნალისა არ უნდა იყოს არაოდეს დაკეტილი; კარი მღვდლისა ნიადაგ უნდა იყოს ღია. განა მეც ისეთი მკურნალი არა ვარ როგორც ისინი?

მეც განა არა მყავს სწორედ იმისთანა კაცნი, რომელთაც ისინი უმასხიან ხნეულებათ, და მერე საკუთარნიც, რომელთაც მე ვუწოდებ საწყალებათ? ჩემის ფიქრით არაოდეს არ უნდა ჰკითხოთ სახელი იმას, ვინც გთხოვსთ თქუენ სტუმრის შეწყნარებასა. მეტადრე იმას, ვისაც ემნელება თავისის საკვლის განცხადება, ვისაც უჭირს ბინა.»

აი კიდევ ერთი შემთხვევა, საიდამაც ცხადად სჩანს, თუ რა კაცი იყო ეპისკოპოზი:

შემდგომ ამოფხვრის ბესა გასპარ ავაზაკთ თაბუნისა (შაიკისა) იმის მაგიერ გამოჩნდა ვიღაც ლეიტენანტ, გვარათ კრავატი. იმისნი მტაცებლობანი ერთობ აწუხებდნენ მცხოვრებთა. ემბრუნში ერთხელ ღამით შევიდა ის სობოროში და წაიღო ყოველი საუნჯე. ამაოდ სდევნიდნენ ჟანდარმები. ნიადაგ დასლტებოდა ხოლმე იმათ ხელიდამა, იმ საზოგადო შიშის დროს შეხუდა ეპისკოპოზს წასვლა იმ გზით. ეს შეიტყო ქალაქის მერმა, გამოცხადდა იმასთან და ყოვლის ღონისძიებით სცდილობდა, რომ შეევგონებინა იმისთჳს, აღერჩია სხუა გზა წასასვლელათ. მაგრამ ეპისკოპოზმა სრულიად უარჰყო იმისი რჩევა.

--მაშ თქჳენ ფიქრობთ, თქჳენო მეუფებავ, უთუოდ იმ გზით წასვლას? ჰკითხა იმასა მერმა.

--ვფიქრობ სწორედ, ასე, რომ მივდივარ ერთს საათს უკან, და უარს ვჰყოფ ყოველს წინამძღოლს.

--მაშ სწორედ მიდიხართ?

--სწორედ.

--მარტო?

--სრულიად მარტო.

--გირჩევთ ნუ იქმთ მაგას, თქჳენო მეუფებავ.

--არა, გარდავსწყვიტე წასვლა მარტო, უთხრა ეპისკოპოზმა. იქ მთებში, განაგრძო იმან, არის ერთი პატარა სამრევლო; სამი წელიწადი არის, რაც მე ის აღარ მინახავს. იქ სცხოვრებენ ჩემნი მეგობარნი, მშჳდნი და პატიოსანნი მწყემსნი, იმათ ეჭირვებათ ხანდისხან ღმერთზედ მუსაიფი, რას იფიქრებენ ისინი ეპისკოპოზზედ, რომელსაც ეში-ნიან? რას იტყჳან ჩემზედ, რომ იმათთან არ წავიდე?

--ეგ ყველა კარგი, მეუფევ, მაგრამ ავაზაკნი?

--მე ვიფიქრე იმაზედ; თქჳენ მართალს ანბობთ. მე შემიძლიან შევეყარო იმათ, მაგრამ რა მი-შავს, განა ისინიც არა საჭიროებენ, რომ იმათაც

მოვაგონო ღმერთი?

--ესეც კარგი, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ისინი არიან მგლეჯელნი; ისინი არიან არა სხვა რამე, როგორც ჯოგი მგელთა.

--უფალო მეო, ის უთუოთ ის ჯოგია, რომლისაც მწყემსათ მე დამადგინა იესო ქრისტემ. ვინ უწყის გზანი განგებულებისა!

--თქვენო მეუფებავ, დარწმუნებული იყავით, თქვენ ისინი არ დაგზოგვენ, გაგრცვნიან.

--მერე რა მაქვს მე?

--მოგკვლენ.

--ვისა? მე? მოხუცსა, რომელიც ჩემთვს ნიადაგ ვბუდბუდებ ლოცვასა? რისთვს უნდა მომკლან მე იმათა?

ღმერთო ჩემო! ეს რა მესმის, დაიძახა მერიმ. რომ დაგისჭირდნენ ავაზაკნი, რასა იქთ მაშინ მარტო ერთი კაცი?

--მე იმათ ვსთხოვ ფულს ღარიბთათვს.

--თქვენო მეუფებავ, გამიგონეთ ღვთის გულისათვს, ნუ წასვალთ, უბრალოთ ნუ ჩაიგდებთ თავს სიფათში.

--უ. მერო, უთხრა იმას ეპისკოპოზმა: მე ვსც-

ხოვრებ ქვეყანაზედ არა მხოლოდ იმისთჳს, რომ ვიზრუნო ჩემს სიცოცხლეზე, არამედ მისთჳსაც რომ გადავარჩინო წაწყმედასა ცოდჳლნი სულნიცა.

შემდგომ იმ ლაპარაკისა ეპისკოპოზი გაუდგა გზასა, გადიარა საშიშარი მთა ისე, რომ იმას არავინ დასვედრია ავაზაკთაგანი, და მივიდა მთელათ და მშჳდობიანათ თავის კეთილ მეგობრებთ მწყემსებთან. დაბრუნების დროს უნდოდა იმას ეწირა ეკკლესიაში, და უთხრა ეს აქაურს მღვდელსა.

მღვდელი დაფიქრდა, ამიტომ რომ არა ჰქონდა სამღვდელ-მთავრო შესამოსი. და იმ დროს, როდესაც ისინი იყვნენ ზრუნვაში, რომ მოეხერხებინათ როგორმე შესრულება ამ წესდებულებისა, ორმა უცნობმა ცხენოსანმა მოუტანა მღვდელსა დაჭედილი ლურსმნებით ყუთი და თითონკი საჩქაროდ მიიმალნენ. ყუთში ეწყო მდიდრული საეპისკოპოზო შესამოსელი; მოპარული ემბრუნის სობოროდამ, და იდო იქ ბარათი; რომელშიაც ეწერა შემდგომი სამი სიტყვა:

«კრავატი. ყოვლად სამღვდელო მირიელს.»

ხედავთ ამას, სთქვა ეპისკოპოზმა; აკი გითხა-

რით, რომ ყველა თავით თჳსით გარგად გარიგდება მეთქი.

## II

შემდგომ ამისა მოხდა ახალი შემთხვევა, რომელიც გარდაემატება გაბედულობით ეპისკოპოზის მოგზაურობას მთებში ავაზაკთა შორის.

ლიონზედ მახლობლათ სრულ გარმარტოებაში სცხოვრებდა კაცი კონვენტიონისტათ შფოთის ამტეხათ მეოფი, რომელსაც ერქუა გერნეტი.

უმაღლესს საფრანგეთის საზოგადოებაში, აი რა საშინელად წარმოიდგენდნენ ხოლმე იმ წოდების კაცს, როგორიც იყო გერნეტი.

ამ გვარნი კაცნი, ამბობდნენ საზოგადო შეურილობაში, როგორც გერნეტი: ესე იგი კონვენტიონისტები, არსებობდნენ საფრანგეთში, მაშინ, როდესაც ერთი მეორეს ეუბნებოდა: შენ, ესე იგი არ იყო ხმარებაში ლექსი თქუენ: ანუ, როდესაც ერთმანეთს ეუბნებოდნენ: მოქალაქეო. გერნეტი არის თჳთქმის მეფის მკულელი. ის არის საზარელი. საკჳრველია, რომ შემდგომ დაბრუნებისა საფრანგეთში სჯულიერის ტასტის მემკჳდრისა, ის არ

მისცეს სისხლის სამართალში. ვსთქვათ, რომ იმას თავი არ მოჰკვეთეს, ამიტომ, რომ შებრალება მიუცილებელია; მაგრამ უნდა გაეგზავნათ მაინც მადნების სამუშაოთ სიკვდილამდის. გარდა ამისა ის არის უღმრთო, როგორც სხუები იმის კერ-მო კაცნი. ვერნეტი სცხოვრებდა დაშორებით გზე-ბზე და სხჳს სახლებზედ, ერთს უბრალოს ღე-ლეში. იქ იმას ჰქონდა, როგორც ისმოდა ხალ-ხში, რაღაც ოთახივით რომელიც მიემსგავსებოდა უფრო ბუნაგსა, ვინემ ოთახსა. არც მეზობელნი არც გამვლელ-გამომვლელნი იმისთჳს! იმ დროდგან რაც ის იქ დასახლდა, ბილიკს გზასაც, რომე-ლიცა მისდევდა იმ ღელესა, მორეოდა ბალახი. ერთის სიტყვით იმ ადგილზედ ლაპარაკობდენ ში-შით და სიმულილით, ვითარცა სახლზედ ჯალა-ჩისა.

არა მიმხედი ამისა, ეპისკოპოზი, როდესაც დაინახავდა ხოლმე ბუჩქნარსა, რომელიც ერტყა გარშემო ღელესა, სადაც სცხოვრებდა კონვენტიო-ნისტი, იტყოდა ხოლმე: „ვით სცხოვრებს იქ სული მარტოხელი? მე უთუოთ უნდა ვნახო, მაგრამ ის ჰაზრი ხანდისხან, როდესაც ეპისკო-

პოსი დაფიქრდებოდა ხოლმე, წარმოუდგებოდა თჳთ იმას შეუძლებელათ. სული იმისიც გრძნობდა რომ ის კაცი, რომელიც იყო საზოგადო შეუ-რაცხყოფაში, უნდა ყოფილიყო მართლათ საზიზ-ღარი და საძულველი.

ერთხელ გავარდა ხმა, რომ მწყემსი, რომელიც ემსახურებოდა იმ საზიზღარს კაცს ვითომც მო-სულიყო ქალაქში ექიმის წასაყვანათ, ვითომც მოხუცი ბოროტი, კუდებოდეს! ეს ვინც გაიგონა, ყველამ ერთ ხმათ ჰსთქუა: მადლობა ღმერთსა!

ეპისკოპოსმა, როდესაც შეიტყო ესა, აიღო ჯოხი და წავიდა. იმ ადგილამდის იყო ერთის საათის სასიარულო. მზე ჩადიოდა, როდესაც იმან მიაწია მაღალს ეკლიანს და ბუჩქნარს ადგილსა და შენიშნა იქ პატარა ქოხი, ის იყო ქოხი და-ბალი, ღარიბი, მაგრამ სუფთა და სრულიად გა-რშემორტყმული ვაზებით.

კარების წინ, ძველს კრესლაში, იჯდა ჭაღარა მოხუცი და მღიმვარებით უცქეროდა მზესა.

იმის მახლობლად იდგა ყმაწვილი მწყემსი; იმას ეჭირა ჯამი სავსე ახალის რძითა.

იმ დროს, როდესაც ეპისკოპოსი უყურებდა

იმ სანახავსა, მოხუცმა სთქუა, «მადლობელი ვარ, მე სხუა აღარა მინდარა.» და გარდიტანა თავისი ღიმილი ემაწჳლს მწყემსზედ.

ეპისკოპოზი მიუახლოვდა იმათ. იმისმა ფეხის ხმამ აალებინა მოხუცს თავი ზევით და იმის სა-ხეზე გამოისატა განცჳფრება!

--იმ დღეს აქეთ, რაც მე აქა ვსცხოვრებ სთქუა მოხუცმა, პირუ̂ჳლია ჩემთან უცხოს კაცის მოსვლა. ვინა ხართ თქუ̂ჳნა მოწყალეო კელმ-წიფევ?

--მე ვარ ბენვენიუ მარიელი, მიუგო ეპისკო-პოზმა.

--მართაელი! მე გამიგონია ეგ სახელი: თქუ̂ჳნ ვგონებ ეპისკოპიზი ხართ?

--მარილია, მიუგო ეპისკოპოზმა.

--გთხოვთ შემობძანდეთ.

გერნეტიმ გაუშჳრა კელი, მაგრამ ეპისკოპოზმა არ ჩამოართვა და უთხრა: მე კმაყოფილი ვარ ამით, რომ მე მომატყუეს: მე დამარწმუნეს, რომ ვითომც თქუ̂ჳნ ყოფილიყოთ მშიშე ავათ მყოფი. მაგრამ, როგორც ვხედავ, თქუ̂ჳნ არა გიშავსთრა.

--მოწყალეო კელმწიფევ, მიუგო მოხუცმა:--მე

ეხლა ცოტათი უკეთავარ.

და შემდგომ მცირის ხნის მდუმარებისა, იმან განაგრძო: სამი საათის შემდგომკი მე ცოცხალი აღარ ვიქნები. მე ვიცი ცოტათი სამკურნალოკელობა; მე ვიცი თუ როგორ მოვა უკანასკნელი საათი. მე გუშინ მქონდა ცივი მხოლოდ ფეხები, დღეს გამიცივდა მუხლები, ახლა მე ვგრძნობ, რომ სიცივე ამოდის ტანში და როდესაც ის მიაწევს გულამდინ, სიცოცხლეც გაჩერდება. თქუენ კარგათ ჰქენით—მოხველით ნახოთ, თუ რა რიგათ მოკჳდება მოხუცი კაცი. მე მინდოდა, რომ მეცოცხლა ხჳალ მზის ამოსვლამდინ, მაგრამ ამაოა ეს სურვილი. სამი საათის სიცოცხლე კიდევ დამრჩენია. დაღამდება კიდეც, და მეც მშჳდობით! მაგრამ ამისთანა უბრალოს ნივთის სიკჳდილი, როგორც მე, ჩჳეულებითია, და ან რაღათკი საჭიროა გასძლოს ხჳალამდინ.

ეპისკოპოზი არ იყო მოწყლული იმ სანახავით. იმ გჳარს სიკჳდილში ის ხედავდა, რომ მომაკჳდავს მართლად არა სწამდა ღმერთი. ეპისკოპოზსს უკჳრდა, რომ ის არ უწყოდა ამას ყოვლადსამღჳდელოდ, და ერჩჳნებოდა რომ მომაკჳდავი

იდვა სჯულს გარეთ, და ეგრეთვე კაცთ მოყვარების სრულს იქით, კონვენტიონისტიკი უყურებდა ეპისკოპოზს როგორც ნაირის ღმობიერებით.

გერნეტი თავისის მოსვენებულის სახით, მრთელვარის ხმით, ეკუთვნოდა იმ ოთხმოცის წლის მოხუცთა, რომელნიც განაკჳრვებენ ფიზიოლოგებთა (ესე იგი კაცთა, რომელნიც სწავლობენ კაცის აგებულებასა). ფრანციაში არეულების დროს ბევრნი იყვნენ იმ გუ̂არნი კაცნი. იმ მოხუცში სჩანდა ცხადად კაცი, რომელსაც შეეძლო ატანა ყოველის განსაცდელისა მიახლოვებულისა სიკუ̂დილზე, ამას დაუმარხა ყოველნი მოძრაობანი სიმრთელისა. იმის ნათელს მესიედულობაში იმის მტკიცე ხმაში, და იმის მლიერთა კელის მოძრაობაში, იყო როგორც ისეთი, რომელსაც შეეძლო შეეშინებინა თჳთ სიკუ̂დილი. გერნეტი თითქო კუ̂დებოდა ამისთჳს, რომ ეს იმას თითონ სურდა. ფეხები ჰქონდა მკუ̂დარი და ცივი, მაგრამ თავი ჯერ კიდევ სცხოვრებდა სრულის სიცოცხლის ღონით. იმ დიდის წამის ყოფაში გერნეტი ჰყვანდა მეფეს აღმოსავლეთის ზღაპრისას, ნახევარზედ ცოცხალსა, მარმარილოს

ფესვებით.

## III

პირველს რიცხვებში ოკტომბრის თჳსას ჩყიე-სა წელსა, ერთის საათის წინეთ მზის ჩასვლამდის, ვიღაც ქვეითი კაცი შევიდა ლიონის ქალაქში. არა მრავალნი მცხოვრებნი, მყოფნი იმ დროს ქუჩებში უყურებდნენ მოგზაურსა როგორღაც შეწუხებულის სახით.

მართლად, ძნელი წარმოსადგენი იყო კაცი იმაზედ უსაწყალესის სახისა. ის კაცი იყო შუატანისა, მსუქანი და ძლიერი, თჳთ ყვავილოვანს ჭასაკში, ესე იგი ორმოცდა ექუსის წლისა. ქუდი იმისი ტყავის კიზიროკით ჰფარავდა ნაწილსა იმისის მზისაგან დამწვარის და ოფლიანის პირისას. პერანგი სქელის ტილოსი, საკინძ შეკრული, ვერა ჰფარავდა საკმაოდ იმის ბალნიანს გულსა. ყელსახვევი იმისი, დაგრეხილი იყო ბაწარსავით; ლურჯი გაცვეთილი შალვარი, ერთ მუხლზედ გათეთრებული და მეორეზედ გახეული, ძველი ნაცრის ფერი ბლუზი, ზურგზედ ახალი სალდათის ჩანთა მაგრათ გაკერილი, დიდი

ნივჳსის ხის ჯოხი კელში, ოთა მოკლედ გაკრეჭილი და გრძელი წვერები, აი გარეგანობა უცხო კაცისა.

არავინ იცოდა თუ ვინ იყო ის კაცი. უეჭველია ის იყო მგზავრი. მაგრამ საიდამ მოდიოდა ისა? იქნება სამხრეთიდამ, ზღჳს მხრით, ამიტომ რომ ის შევიდა ქალაქში იმ ქუჩით, რომლითაც შვიდის თჳს წინეთ გაიარა ნაპოლეონმა როდესაც ის მიდიოდა კანნიდგან პარიჟში.

ეტყობოდა რომ მგზავრს ევლო მთელი დღე, ამიტომ, რომ იყო ერთობ დაღალული. ის დაინახეს, თუ რა რიგათ დაეწაფა წყალსა გასსენდის ბულვარის აუზში. რომ იმას ჰკჳლავდა წყურვილი, ეს სჩანდა უფრო იქიდამ, რომ ორასი ნაბიჯი, გადასდგა იმ აუზიდამ, კელ ახლად დაუწყო სმა წყალსა მეორე აუზში. როდესაც მიაწია პუაშევერის ქუჩასთან, გაუხჳა მარცხნივ და შევიდა პოლიციაში. ერთის მინუტის შემდგომ ის ისევ გამოვიდა იქიდამ. კარებთან ქჳაზედ იჯდა ჟანდარმი; მგზავრმა მოიხადა ქუდი და დაუკრა თავი პატივის ცემით. ჟანდარმმა არ ათხოვა ყური, მხოლოდ დაუწყო შინჯჳა თავიდამ ფეხებამდინ,

ადევნა თვალი, ვინემდის მგზავრი მიეფარებოდა ქუჩაში, და მაშინ ჟანდარმი შევიდა რატუშაში.

მგზავრმა გასწია ტრახტირისაკენ, ის შევიდა კუხნაში, და ნახა, რომ ყოველს კერას ქუეშ იყო გაჩაღებული ცეცხლი და ტრახტირის პატრონი ამზადებდა ჩინებულს სადილსა კუჩრებისათჳს, რომელთაც მეორეს ოთახში გაუდიოდათ ხარხარი და ჰქონდათ მხიარული ბაასი. ვისაც უმგზავრია ბევრი იმან კარგათ იცის, რომ ისე მჳრათ ვინემ მისდევს მაღალს და გემოიანს პურის ჭამასა, როგორც კუჩრები.

როდესაც მოესმა ხმა ფეხისა, სახლის პატრონმა ჰკითხა მგზავრსა: რას გვიბძანებთ, რა გნებავთ?

--მე ვეძებ საჭმელსა და მერე დასაძინებელს ადგილსა.

--მაგაზედ ადვილი რა არის, უთხრა სახლის პატრონმა, და დაუწყო იმავ დროს ყურადღებით სინჯუა, და მერე ჰკითხა: გაქჳს მერე შენ სადილისა და საწოლის ადგილის ფასი?

--მე მაქჳს ფული, მიუგო უცნობმა კაცმა.--

--მაშ კარგი, მეც მზა ვარ შევასრულო სურვილი,

უთხრა სახლის პატრონმა.

მაშინ მგზავრმა მოიხსნა თავისი მძიმე ჩანთა, დასდო ჰოლზედა მახლობლად კარების და თი-თონ ჩამოჯდა დაბალს სკამზედ, რომელიც იდგა მახლობლად ბუხრის.

სახლის პატრონი განაგრძობდა რა სადილის სა-ქმესა, შესვლა-გამოსვლაში სინჯავდა და ჩასცქე-როდა თვალებში მგზავრსა.

--მალე მაჭმევ სადილსა? ჰკითხა მგზავრმა.

--ემ საათში, მიუგო სახლის პატრონმა.

იმ დროს, როდესაც მგზავრმა მიუშვრა ზურგი ცეცხლსა და ტფებოდა, სახლის პატრონმა ამოი-ღო ჯიბიდამ კარანდაში, მოხია გაზეთს ქაღალდი, დასწერა ზედ საჩქაროდ ორიოდ სიტყვა, და მე-რე დაუძახა ყმაწვილს ბიჭს, რომელიც მსახურებ-და ტრასტირში და რაღაც წაუჩურჩულა ყურში; ბავშჳ წავიდა პირდაპირ მერის სახლისაკენ.

ეს საიდუმლო განკარგულება მგზავრმა ვერ შენიშნა და ჰკითხა კიდევ: მალე იქნება სადილი?

--აი ახლავე, მიუგო კიდევ ტრასტირის პატრონმა.

იმ დროს მოიტანა ბავშმაც, და მისცა სახ-ლის პატრონს ბარათი, იმან საჩქაროთ ჩაიკითხა და

დაფიქრდა ძლიერათ. მერე მივიდა მგზავრთან და უთხრა:

--უვალო, მე თქჳენი მიღება არ შემიძლიან.

--რატომ? იქნება გეფიქრებოდეს რომ ფულს ვერ მოგცემდე? თუ გინდა წინდაწინ მიიღე ფასი რაც გერგებოდეს, მე წელანვე გითხარით, რომ მაქჳს მეტი ფული.

--არა, სხჳა მიზეზია, ფულის საქმე არ არის.

--სხჳა რა მიზეზია? რატომ არ მეტყვი რა არის?

--თქჳენ, რომ ფული გაქჳსთ მე ესა მჯერა, მაგრამ მე თქჳენთჳს არა მაქჳს ოთახი.

--შეგიძლიანთ თქჳენ დამაწჳნოთ საჯინიბოში, მიუგო წყნარის ხმით მგზავრმა.

--არცა ეგ შემიძლიან.

--რატომ?

--იქ ყველა ადგილები დაჭერილია ცხენებისთჳსა.

--მაშ სადმე ბალკონზედ მცირედი კუთხე იმისა საკმაოა ჩემთჳს. მაგრამ საწოლზედ მოვილა-პარაკოთ სადილთ უკან. ჯერ სადილი დროზედ ღჳთის გულისათჳს!

--მე ვერც სადილს მოგცემ. უთხრა სასლის პატრონმა.

--ეგ რატომღა? მე ლამის შიმშილით მოვკვდე. მზის ამოსვლიდამ გზაში მოვდივარ, სამოცი ვერსტი გამოვიარე. მე ფასს გამლევ სადილში და შენ სადილზედ უარს მეუბნები? რა მესმის ესა!

--მე არა მაქვს რა საჭმელი, უთხრა ტრახტირის პატრონმა.

მგზავრს გაეცინა და უთხრა: საჭმელების მეტი რა მზადდება აქა?

--ეგ ყველა შეკვეთილია.

--ვისგანა?

--აი, ამ უფალთ კუპრებისგან.

--რამდენია კუპრი?

--თორმეტი.

--ეს საჭმელები ოცსაც კარგათ ეყოფათ.

--ყველა შეკვეთილია მეთქი გეუბნები და ფული წინ და წინ მოცემული.

მგზავრი დაჯდა ისევ და იმავ წყნარის ხმით უთხრა: რას ვხედავ მე ამას? მე მოვაწიე დალალულმა ტრასტირამდინ და მე აქ შიმშილით უნდა მოვკვდე!

მაშინ ტრასტირის პატრონი დაეცუდა ყურთან და ისეთის ხმით, რომლისაგანაც მოგზარი ათრთოლდა მრთელის ტანით, უთხრა მას. გაეთრიე აქედამა. გესმის, ეხლავ წადი აქედამ სადაც გინდა. გინდა, რომ მე გითხრა შენი სახელი? შენ გქვან ჟან ვალჟანი. ახლა გინდა გითხრა ისიც თუ ვინა ხარ?

—როგორც თქვენ შემოხველით ჩემთან, მე მაშინვე ეჭვში შეველი თქვენზედა, მე გავგზავნე პოლიციაში შესატყობათ და აი რასა მწერენ შენზედა? იცით თქვენ კითხვა? თუ იცით აბა წაიკითხეთ. მგზავრმა გამოართვა ბარათი, გარდაავლო თვალი და დაუბრუნა.

ტრასტირის პატრონმა განაგრძო: მე კანონად მაქვს დადებული მოვეპყრა ყველას ზრდილობით. უკანასკნელი მითქვამს: გამეცალეთ აქედამ.

მგზავრმა დაღუნა თავი, აიღო თავისი ჩანთა და გამოვიდა. ის წავიდა დიდის ქუჩით; მიდიოდა ისე, რომ ერთი აღარ მიუხედავს უკანა.

თუ რომ უკან მიეხედნა, ის დაინახავდა ტრასტირის პატრონსა კარის წინ და მრავალს ხალხსა, რომელიც გარს ეხვა იმას და უჩვენებდა

შველა თითო იმ უცხოს კაცზედ.

მაგრამ მეზავრს არაფერი არა დაუნახავსრა. ის მიდიოდა ალალ ბედზედ, არ იცოდაკი საით წასულიყო. იმას თითქმის დავიწყდა იმ დროს შიმშილი და დაღალვა, როგორც კი შეემთხვევათ ხოლმე კაცთა უბრალოდ შეურაცხყოფილთა.

მაგრამ ის დავიწყება იყო მოკლე ჟამიერი. უცებ დაუწყო ისევ შიმშილმა ღრღნა. ღამდებოდა კიდეცა. მეზავრმა მოიხედ-მოიხედა, ეძებდა რომელისამე ბინასა.

რადგან ის გამოავლეს ტრაქტირიდამ იმან და-უწყო ძებნა რომელისამე მეხაშის დუქანსა.

შენიშნა რა ქუჩის ბოლოში სინათლე, იმან მიატანა იმ სინათლისკენ. მართლად იქ იყო მე-ხაშის დუქანი.

მეზავრი გაჩერდა სახლის წინ, შეიხედა ფან-ჯარაში, დაინახა დაბალი ოთახი, რომელშიაც ენთო ლამპა, და ბუხარში იყო გაჩაღებული ცე-ცხლი. რამდენიმე კაცი იქ სვამდა რაღაც სას-მელსა. სახლის პატრონი ცეცხლზედ ტრიალებდა.

იმ დუქანსა ჰქონდა ორი კარი: ერთი ქუჩი-დამ და მეორე ეზოდამ.

მგზავრმა ვერ გაბედა შესვლა იქ ქუჩის კარიდამ. გადახტა დაბალს ლობეს და დაუწყო კარებს რახუნი.

ვინ არის? დაუძახა სახლის პატრონმა.

--მგზავრი, რომელიც ეძებს ბინასა და ვახშამსა.

მაშინ გაუღო პატრონმა კარი და უთხრა: მობძანდი; აქ იშოვება ბინაცა და ვახშამიც.

მგზავრი შევიდა. ყველა, ვინცა იქ იყო, მობრუნდა და დაუწყო ყურება სტუმარსა. ერთის მხრით უნათებდა მას ლამპა და მეორეს მხრით ბუხარი. ვინემ მგზავრი მოიხსნიდა ჩანთას, სრული ყურადღება იყო მიქცეული იმაზედ.

--აი ცეცხლი, უთხრა სახლის პატრონმა: მოდით ახლო და გათბით.

მგზავრი დაჯდა და გაუშვრა ცეცხლსა დაშმიმებული დაღალვისაგან ფეხები. იმის სახეზედ იმ წუთში წაიკითხავდა კაცი გრძნობას მცირედის კმაყოფილებისას, შეერთებულს სევდასთან. საზოგადოდ სახე იმისი იყო იმ დროს მტკიცე და ძლიერი, თუმცაღა დაღონებული.

რიცხვთა შორის პირთა, რომელნიც იყვნენ

იმ დროს იმ დუქანში იყო თევზის ვაჭარი, რომელიცა ვინემ იქ მივიდოდა მივიდა ტრასტირში და დასტოვა იქ თავისი ცხენი. შემთხვევამ მოიტანა ისე, რომ იმავ დღეს, დილით ის მოეწია გზაში უცნობს კაცსა. ის მგზავრი, რომელიც ეჩვენა ძლიერ დაღალულად ეხვეწა იმას შემოესვა ცხენს უკან და მიეყვანა ქალაქში. და რადგან თევზის ვაჭარს სახე იმ მგზავრისა ეჩვენა საეჭოდ ნაცვლად შესრულებისა მგზავრის თხოვნისა, მოუმატა სიარულისა. ის ვაჭარი ნახევარ საათის წინეთ ერია იმ ხროვაში ხალხისა, რომელიც ეხვია გარშემო მეტრასტირეს, როდესაც იმ ტრასტირიდამ გამოაგდეს ის უცხო კაცი და ამ სახით ის კაცი რადგან იმ დროს დაესწრო სასამო დუქანშიაც, ამისათვის აცნობა იმის პატრონსა, რომ იმას აქვს იმასთან რაღაც სათქმელი. პატრონი მივიდა. ვაჭარმა რაღაც წაუჩურჩულა ყურში და დააფიქრა.

ბოლოს მივიდა სახლის პატრონი ახლო ბუხართან, დაადო მგზავრს მხარზედ ხელი და უთხრა.

--შენ უნდა გახვიდე ეხლავ აქედამ.

მგზავრი მიუბრუნდა და უთხრა სიწყნარით:
ეტყობა შენც შეგიტყვა?

—ყველაფერი შევიტყე.

—რა შეიტყე? ისა გსწა, რომ მე გამომაგდეს ერთის ტრაქტირიდამ.

—დიდ ვგა და გისრგ მეც განმათავისუფლოთ.

—ერთი მითხარი სად წავიდე ამ დროსა?

—სადაც გინდოდეთ.

მგზავრმა აიღო ჯოხი, წამოიკიდა თავისი ჩანთა და გავიდა.

როდესაც გავიდა გარეთ, ნახა, რომ კარების წინ იდგნენ მოგროვილნი სხვა და სხვა წვრილი ბავშვები; როგორც გარდასდგა მგზავრმა ფეხი იმათ დაუწყეს სროლა კენჭებისა, მგზავრი დაემუქრა თავისის დიდის ჯოხით და ყმაწვილები იმავ წამს დაიფანტნენ როგორც შეშინებულნი მფრინველნი.

მგზავრმა გაიარა საჰფროლეს წინ. კარებზედ ეკიდა ჯაჭვი, იმან მოჰკიდა ხელი და დარეკა ზარი. გააღო ფანჯარა და გარდმოყო იქიდამ სტოროჟმა თავი. უფალო, უთხრა ქუდმოხდილმა მგზავრ-

ძა, არ მეშლება, რომ მე ამაღამ აქ ღამე გავა-
თიო? სტოროჟს გაეცინა ამაზედ და უთხრა: ეს
ტრაჰტირი არ არის; ეს საწყობიაო. ვინც
რომ აქ ჩავესვან და მათ.ნ უფროსი [illegible] ბინა [illegible]
ნება აქა. სოფელი [illegible] და მოსხურო [illegible]

მგზავრი გაუდგა [illegible] მა-
ღებში შეხვიდნა [illegible]
ნათებული [illegible]
რომელსაც [illegible]
[illegible]
ყე, ოღონდ [illegible]
და რომელზედაც იყო [illegible]. ამ სტოლს
გარშემო უსხდნენ: [illegible] მრა-
ვალის სახეები, რომელნიც [illegible]
ბავშვი. იმის მახლობლად [illegible] ქალი
რომელიც აწოვებდა მკერდს [illegible] ბავშვს. [illegible]-
ნი ისინი იყვნენ [illegible] და მოგზაურნი.

მგზავრი დაფიქრდა, ნახა რა ეს სახეები და
სამწუხარო სანახავი. რას ფიქრობდა მაშინ ის მგზა-
ვრი, ეს [illegible] ღმერთმა იცის. უეჭველი ფიქრობდა
მაშინ რომ ის [illegible] უნდა იყოს [illegible] უფრო
სტუმრის [illegible] და აქ [illegible] ის [illegible]

[illegible] სასტუმროსა და მეგობრებისა, ფიქ-
[illegible] და ყმაწვილ უმეტესი მეგობრები ვიწყე ხსენებან.

ეზოსვრიდან დავინახეთ მტირალი ქალი, მაგრამ
[illegible] გვერ გავიარეთ. დავინახეთ რა მტირალი
[illegible] [illegible] საქმე: მეფისა
[illegible]

ქმარი [illegible] მეფე [illegible], რომ
[illegible]. მეფემ და-
ინახეს [illegible] ქალი [illegible]. მისით
გარიხეყნ [illegible] ქალი.

ეს იყო [illegible] მიდიოდა ნაწყვეტზედ ბედ-
ხი, ნაწყვეტზედ [illegible] ტარიის ფეხშიშვლით.

—ეზოს [illegible] [illegible] ქალი გაცმა. არ მეფი-
ლეთა, რომ [illegible] წყნარანი სახლში
და მეფე მტირალი [illegible] დასწოლიდა ნაპირისკენ..
ამოგბის ფეხს [illegible] ჩქარა. მოისარით
შეგიძლიათ [illegible] არა?

მე [illegible] [illegible] ღმერთს, გინდა ფეხს
მაშინდელს, მოეცი სახლის ბრძანება; მაგრამ რამეთ
ტრასტრიმბი არ მიცუფლისრო?

—იქ არ არის ადგილი, მიუგო მეფემ.

—ეს საკუთრებელია; თავისუფალ მოვაღებულია; ღმერ

ბაზრის დღე არ არის და ტრასტირში როგორ არ უნდა ყოფილიყო თქუენთჳს ადგილი? იყავით თქუენ ლაზარის ტრასტირში?

--ვიყავი.

--მერე?

--არ მიმიღეს, მიუგო აღშფოთებით მგზავრმა.

--იყავით მაფოს ქუჩაშიც?

--არც იქ მიმიღეს.

--სახლის პატრონის სახეზედ გამოიხატა განცვიფრება. დაუწყო უცხო კაცს სინჯვა თავი-დამ ფეხამდინ, და ბოლოს ათრთოლებულმან და-იყვირა:

--თქუენ ის ხომ არა ხართ?........

და დაუწყო კვლ ახლა ყურება უცხოს კაცსა, ბოლოს დაიწია უკან, დასდგა სტოლზედ სანთე-ლი და ჩამოიღო კედლიდგან თოფი. ცოლმა იმისმა აიყვანა ორივ ბავშჳ გულში, მოეფარა ქმარსა ზურგს უკან და კანკალით შესცქეროდა მგზავრსა.

ეს ყოველივე არეულობა ანუ აღშფოთება სა-ხლის პატრონისა მოხდა ერთს წამში. ბოლოს შესედა ერთი კიდევ, როგორც გველსა, რომელიც

თითქო მიჰყვებოდა იმას სავსენათ, მივიდა კარებ-თან და უთხრა: გამეცალე ქალავ აქედამ.

—ღმრთის გულისათვის ერთი სტაქანი წყალი მაინც მასვი და გავეცლები კიდეც. უთხრა უკანასკნელად მგზავრმა.

მგზავრს ესმოდა თუ რა რიგათ ჩაჰკეტეს იმათ კარები და მიიხურეს ყველა სტავნები ფანჯრებისა.

ღამესაც ემატებოდა. ალპიის მთებიდგან დაიქრა ცივი ქარი. დაშთომილი ქუჩაში მარტო, და უბინათო მგზავრი მცირეს ხანს დაჯდა ქვის სკამზედ, მაგრამ ისევ წამოსდგა და გასწია. იარა რამდენიმე ხანი. მიდიოდა ისევ ალალბედზედ. ბოლოს მიაწია ჯერ პოლიციამდის, მერე სემინარიამდის და დასასრულ სობოროს მოედნამდის. იქ მახლობლად წინათ საბეჭდავის სახლისა, დაღალული დაწყვეტილი და სრულიად იმედ მიხდილი, დაჯდა კიდევ ქვის სკამზედ. იმ დროს ერთი მოხუცი დედაკაცი გამოვიდა ეკკლესიიდამ და შენიშნა კაცი მწოლარე ქვაზედ.

—აქ რას აკეთებ მეგობარო? ჰკითხა მას ალერსით ქალმა.

—ხომ ხედავთ, რომ ვწევარ ქვეშეულ მოლო-
დის ამაოდ და განთავისუფლებას მოველი. [illegible] ქვე-
ლი იყო მარკიზის რაიხ.

—ამ ქვეშეულ წლის აქ [illegible] რას ნიშ-
ნავს განაგრძობ ქალბან.

—ცხრამეტი წლიდან მე [illegible] ქვე-
შეუდ, ახლა ქვეშეუდ ვწევარ.

—თქვენ, [illegible] [illegible]
განა?

—ხალდეთი ვიყავი, მიუგო მოხუცმა.

—რატომ არ მოსულხართ ტრასტირში?

—იმიტომ, რომ მე არა მაქვს ფული და უფუ-
ლოდ ვინ შემიშვებს.

—ოჰ, რა ვსწუხვარ, რომ მე თან ძლიერ ცო-
ტა მაქვს ფული, უთხრა მეწუხებით მარკიზმ.

—არაფერია, მომეცით რაც გაქვსთ.

მარკიზმ ჩაიყო ჯიბეში ხელი, მისცა მცი-
რედი ფული და უთხრა: მაგ ფულით ტრასტირში
უექვეცლის ვერ იშოვნით ბინას, მაგრამ ესეც შე-
უძლებელია, რომ ეს ღამე გაატაროთ აქ ქუჩაში.
თქვენ გეცივებათ, კიდეც გეშივებათ უთოვთოთ?
თქვენ უნდა მიგიღონ იქ, თუ მცირედი მაინც

იქნეთ მეპატრონეები გავისა.

—მე ყველგან გავასწორე კარი, უთხრა მეზავრეს.

—მერე?

—ყველგან გამოვაკეთე.

მარკოზა მსუბუქათ მკერდი მეზავრის კედელს, მიუშვირა ერთის ქუჩისკენ და უთხრა: აი ჯერ ის სახლში სად არ დაგისწორებია კარი?

—არა.

—აბა მაშ დაასწორე ის კარი.

## IV

გუბერნატორმა დაასრულა თავისი ჩვეულებრივი სეირნობა, დასვლა საქმეზედ. ის სწერდა დიდს ანგარიშს კეთილმოწყობის ვალდებულებაზედ, რომელიც სამწუხაროდ ჩვენდა დარჩა შეუსრულებელი. რაც საათზედ დამისა ის ისევ მუშაობდა. ამ დროს შემოვიდა დაჲ იმისი სტოლის იარაღისთვის და უთხრა, რომ სტოლი დასხურულია და ვახშამიც მზა არისო.

სადილის საჭმელი სტოლი იყო მორთმული ოთახში, რომელსაც კარი ჰქონდა ქუჩისკენ და ფანჯარა გადაჰყურებდა ბაღსა. მეგობრებს გუბერ-

პოზისას, როდესაც აწყობდა სტოლსა, ჰქონდა ლაპარაკი ეპისკოპოზის დასთან იმაზედ, რომ ვითომც ქალაქში იყოს ხმა დაგარდნილი გადა-მოწვან ალე გაცზედ; რომ პოლიცია ყურს არ უგ-დებდეს იმ გუშარ კაცებსა, ასე რომ ყოველი კეთილ გონიერი კაცი ვითომც უნდა ზრუნავდეს თვითონ, უგდებდეს ყურსა თავის სახლეულობას და ჰქონდეს მაგრათ დაკეტილი სახლის კარები.

ეპისკოპოზს ესმოდა ის ლაპარაკი, მაგრამ არ მიაქცია არავითარი ყურადღება. მეკუჭნავემ კვლა-ახლავ განამეორა ის ამბავი: მაგრამ მაინც ამა-ოთ; ეპისკოპოზმა არ ათხოვა ყური. მაშინ ეპის-კოპოზის და მიუბრუნდა ძმასა და ჰკითხა: ძმაო! გაიგონე რა სთქვა მეკუჭნავემ?

—ჰო, ცოტათ ყური მოვკარი. ვნახოთ ამა რა სამიშროება მივვლის? მაშინ ის [illegible] მოჰყუა იმა ამბავსა, და აღმოჩნდა იმას ლაპა-რაკიდამ შემდგომი: ვითომც ვიღაც ფეხშიშველა-ბოშა დადიოდეს ქალაქში, ყოფილიყოს ყაზარ-რისასა რომელსაც ის გამოვლოს, მერე გასი-დის ბულვარზედ, იქიდამ ევლოს სხვა და სხვა ქუჩებში; ვითომც უცნობი კაცი იყოს სანაწყელის

სახისა და ზურგს ეკიდოს ჩანთა.

—მართლა აგრეა? ჰკითხა ეპისკოპოზმა.

—სწორეთ ასეა, მიუგო მეკუჭნავემ. თქვენ ნახავთ, თუ ამაღამ ერთი უბედურება არა მოხდეს რა ქალაქში. ყველა გაფრთხილებულია და ჩვენი სახლი ერთობ დაუცავია. თუ რომ ნებას მომცემს თქვენი მეუფება, მე წავალ მჭედელთან და ეხლავ გავაკეთებინებ კლიტეს: ეს ერთის წამის საქმეა. იმაზედ უარესი რა იქნება, რომელსაც კარს არა აქვს დასაკეტი და ეღება ქუჩიდამ....

იმ დროს ვიღაცამ ღონივრათ შემოაროხუნა კარი.

—ვინა ხარ, შემოდი, შესძახა ეპისკოპოზმა.

კარი გაიღო და შევიდა უცნობი კაცი.

ჩვენ ვიცით ვინც არის ის უცნობი კაცი. ის შევიდა პირდაპირ ოთახში, მერე ისევ გადასდგა უკან ერთი ნაბიჯი და გაჩერდა.

მეკუჭნავეს წაუვიდა ფერი, უნდოდა დაეყვირნა, მაგრამ ხმა გაუწყდა შიშით და გაჩერდა თითქოს მიწაში ჰქონდა ფესები დამარხულით. დამ ეპისკოპოზისამ შეხედა ჯერ უცნობ კაცსა, მერე დაუწყო ყურება თავის ძმასა და სახემ მიიღო

რაღაც მხიარული და დღესასწაულობითი გამოხატულობა.

ეპისკოპოზმაც დაუწყო ყურება უცნობ კაცსა, და მოემზადა მიეცა იმისთჳს რაღაც კითხვა, მაგრამ უცნობი იმ დროს დაეყუდა ჯოხზედ, შეხედა მოხუცსა და ორს ხნიანს ქალსა, რომელნიც იმას გვერდით უდგნენ, უთხრა ხმა მაღლა:

აი მეც აქა ვარ. მე მქჳან ჟანვალჟანი. მე ვარ განთავისუფლებული მაღნების სამუშაოდგან ტუსაღი (კატორჟნიკი). მე გავატარე ტყჳობაში ცხრამეტი წელიწადი. ოთხი დღეა, რაც მე განმათავისუფლეს და მოვდივარ ტულონიდამ პონტორლიეში. მე დღეს ქვეითათ გამოვიარე სამოცი ვერსტი. მე ვიყავ თქჳნის ქალაქის ტრასტირებში, მაგრამ ყველგან გამომაგდეს, ამიტომ რომ მე მაქჳს ყჳთელი პასპორტი, ერთს ტრასტირში მითხრეს: გაეთრიე აქედამაო. არავინ არ ინება ჩემი მიღება. მერე მე წავედი დასაწოლათ მინდორში ვარსკვლავებ ქჳშ. მაგრამ ვარსკჳლავები არა სჩანდა. მერე ავდექ შევედი ისევ ქალაქში და დავწექ ქჳაზედ მეიდან-

ში, იქ ვიღაც სათნო ქალმა მასწავლა, რომ და-მერახუნებინა თქუჱნი კარები. აი მეც გავუგონე, დავარახუნე. რა არის ეს სახლი? ტრახტირია? მე მაქუს ფული ასცხრა ფრანკი და ცხრა კაპეიკი, რომელიც მე ვიშოვე ტყვეობაში ცხრამეტის წლის განმავლობაში. მე მოგცემთ ფულსა; ეს ჩემთჳს არაფერს არას ნიშნავს. მე ძლიერ დაღალულივარ! მე კითხარით რამდენი ვერსტი გამოვიარე დღეს ქუჱითად, მშიერი ვარ. ნებას მაძლევთ დავრჩე, თუ არა?

--მადამ მაგლუარისავ! შესძახა ეპისკოპოზმა მეკუჭნავეს, ერთი პრიბორი კიდევ დასდგი სტოლზედ.

მაშინ უცნობი კაცი მიასლოვდა სტოლსა. ხომ კარგათ მიხუდით ახლა ჩემს ანბავსა? უთხრა ეპისკოპოზსა; განგიმეორებთ, რომ მე ვარ კატორ-ჟნიკი, დაბრუნებული ტყვეობიდამ, მადნებიდამ. აი ჩემი პაშპორტიც. ეს ყჳთელია, როგორც ხე-დავთ. ეს იმისთჳს, რომ ყველგან გამომაგდონ მე. გინდათ წაიკითხოთ? მეც ვიცი ცოტაოდენი კით-ხჳა. მე იქ ტყუჱობაში ვისწავლე წერა და კით-ხჳა. იქ არის სასწავლებელი იმათთჳს, ვისაც სურს ისწავლოს. აი რა დამიწერეს პაშპორტში:

ჟანვალჟანი, განთავისუფლებული კატორჟნიკა, იმყოფებოდა მადნების სამუშაოში ცხრამეტი წელი: ხუთი წელიწადი ქურდობისათვის შეერთებულის სახლისა გატეხასთან. თოთხმეტი წელიწადი ამისთვის, რომ ამან მოინდომა ოთხჯერ გაპარება. კაცი ესე დიდად საშიშარია!»

აი ამ საფუძველზედ ყველგან გამომაგდეს; ახლა თქვენ რაღას მიპირებთ, არ ვიცი მიმიღებთ თუ არა, მომცემთ რასმეს საჭმელსა? გაქვსთ ჩვენთვის ადგილი საჯინიბოში?

—მადამ მაგლუარ! უთხრა კიდევ ეპისკოპოზმა. მოამზადე კრაოტი ქვეშსაგებელით შირმას ქვეშ, სამლოცველოში. მადამ მაგლუარ გავიდა.

ეპისკოპოზი მიუბრუნდა უცნობს კაცსა და უთხრა: დაჯექით და გათბით. ჩვენ ესლავ მოგვიტანენ ვახშამსა და ვინემ ვივახშმებდეთ ლოგინსაც მოგიმზადებენ.

მხოლოდ აქ მოეგო თავსა ჟანვალჟანი. სახე იმისი აქამომდე ბნელი და დაღვრემილი, შეიქმნა მხიარული: იმის სახეზედ გამოისახა განკვირვება, ეჭვ და სიხარული, იმან დაიწყო ლაპარაკი, როგორც ჭკუაზედ შეშლილმა.

—მაშ მე თქვენ მამლევთ ბინასა? მე არ მაგდებთ სახლიდამ, როგორც სხვებს? მე, ტყისადამ მეოფის? თქვენ მე არ მეუბნებით, როგორც სხვებს, ფეიქრივ აქედამ მადლოვთ. მე არ მეკონა თუ თქვენ მამალუბდით. მე მქონდა იმედი გადაწყვეტილი, და იმისთჳს თავიდგანვე გიახარით ვინცა ვარ. ოჰ! რა კეთილშობილი და რა სათნო უნდა იყოს ის ქალი, ვინც მოასწავლა თქვენც სასლი! მე მამელის აქ ჯვარ ვასწავმი, მერე ლოცვისი! აი ცხრამეტი წელიწადია, რაც მე ლოცვისა თვალით არ მინახავს! მაშ ეს არის ვრჩები ამადამ აქა, რადა? ოჰ. თქვენ ღირსნი კაცნო! მაგრამ მე მაქვს ფული, როგორც გითხარით; მოვცემთ რაც გერგებათ. თქვენ ვეტყობათ ძლიერ პატიოსანნი კაცნი უნდა იყოთ? თქვენ ვინა ხართ, მითხარით, ტრასტორჩიკი ხართ?

—მე ვარ მღვდელი, აქ მცხოვრები, მიუგო ეპისკოპოზმა.

—მღვდელი! თუ მღვდელი ხართ მაშ, ცალფულსაც არ გამომართმევთ. უთოვოთ თქვენ ამ მრევლის მღვდელი უნდა იყოთ, აი იმ ეკკლესიისა, განა? მართალია მე ისე როგორც გამოვ-

სულელდი, რომ ვერ შევნიშნე თქუენი სკუფია.

ამ ლაპარაკში ქანვალქანმა ჯოხი და ჩანთა დააწყო კუნჭულში, პაშპორტი ჩაიდო ჯიბეში და განაგრძო:

--თქუენ ძლიერ სათნო კაცი ყოფილხართ უფა-ლო მღუდელო, რომ არ მეურაცხმყავით მე. ეს დიდად საქები ხასიათია თქუენში! განა მე თქუენ არასა მთხოვთ სასმელ საჭმელისას და არც ბი-ნისას?

--არა, მიუგო ეპისკოპოზმა: თქუენი ფული თქუენვე გქონდესთ. რაოდენი გაქუსთ ფული? მგონია მე თქუენ წელან მითხარით, რომ ასცხრა-ფრანკი გაქუსთ.

--და თხუთმეტი კაპეიკი, დაუმატა ქანვალქანმა.

--რამდენის ხნის განმავლობაში იშოვეთ თქუენ ეგ ფული?

--ცხრამეტის წლის განმავლობაში.

ეპისკოპოზმა ამოიოხრა მძიმედ! მერე მიუბ-რუნდა ქალსა და უთხრა: ეგ პრიბორი ცეცხლ-ზედ ახლოს დადგი. ალპიის მთებში ღამის ქა-რი ძლიერ სასტიკია, უთხრა ეპისკოპოზმა სტუმარსა, თქუენ ძლიერ გემავებათ მოწყალეო კელმწიფევ?

ყოველთჳს, როდესაც სტუმარი გაიგონებდა სიტყუასა, «მოწყალევ-ყელმწიფევ.» სახე იმისი გაცოცხლდებოდა ხოლმე. მოწყალევო ხელმწიფევ კატორჟნიკისთჳს არის ისა, რაც სტაქანი წყალი წყურვილისაგან მომაკუდავისთჳს.

--ლამპა ცუდათ ანათებს, უთხრა ეპისკოზმა მაგლუარის ქალსა.

ის მიხუდა ამ თქმასა და მოიტანა სტოლ-ზედ ანთებულის სანთლებით ვერცხლის შანდნები.

--ოჰ, რა კეთილი კაცი ხართ, უთხრა ვალ-ჟანმა ეპისკოპოზს, თქუენ არა თუ მომეცით ბი-ნა, ჩემთჳს აანთებინეთ განვებ სანთლები; მაშინ, როდესაც მე გამოგიცხადეთ, თუ რა საწყალი და უბედური კაცი ვარ.

ეპისკოპოზი მიუჯდა იმას გვერდით და შეეხო-რა იმის ხელსა, უთხრა:

--თქუენ შეგეძლოთ არა გეთქუათრა, თუ ვინ იყავით, ეს სულ ერთი იყო ჩემთჳს, ამიტომ, რომ ეს სახლი, ჩემი არ არის, ეს არის სახ-ლი ჩუენის მაცხოვრის იესო ქრისტესი. აქ არა-ვისა ჰკითხუენ, თუ ვინ არის ისა, არამედ ტყო-ბულობენ მხოლოდ თუ რა გაჭირუება აქუს?

თქჳენ იტანჯეთ შიმშილით, სიცივით და წყურ-ვილით განა? კურთხეულ იყავით აქ ამ მოყუსის სახლში. ნუ მეუბნებით მე მადლობასა. ნუ მეუბ-ნებით, რომ თქჳენ მიგიღეთ. ეს სახლი, არის იმისთჳს, ვინც საჭიროებს ნავთ საყუდელსა და ბინასა, თქჳენ უფრო აქ შინაური ხართ, ვინემ მე. რაც აქ არის, გთხოვ ისარგებლოთ მოური-დებლად. ანკი რა საჭიროა, რომ მე უთოვლო ვიცოდე თქჳენი სახელი? მაგრამ ამასაცა გეტ-ყჳთ, რომ მანამ მე მეტყოდით თქჳენ სახელს, მე ვიცოდი რა გერქჳათ.

ვალჟანმა შეხედა განცჳფრებით ეპისკოპოზსა.

--მამ თქჳენ იცოდით უწინაც ჩემი სახელი?

--დიაღ ვიცოდი, მიუგო ეპისკოპოზმა:--თქჳენ გერქჳათ «ძმაო».

იმ დროს მაგლუარის ქალმა შემოიტანა ვახ-შამიც ეპისკოპოზმა სთქჳა ლოცჳა და დასხდნენ. უცებ იმან მიიხედ-მოიხედა და სთქჳა:

--მე მგონია აქ რაღაც აკლია? მაგლუარის ქა-ლმა დააწყო სამი პრიბორი ესე იგი რამდენიც საჭირო იყო და ეპისკოპოზს ჰქონდა ის საგურ-ველი ხასიათი, რომ როდესაც ვინმე სტუმარი

იქნებოდა იმასთან, ერთიც რომ ყოფილიყო სტუმარი, სტოლზედ უნდა წყობილიყო ყველა ექუსივ ჭრიბორი. ეს იყო ბავშური უწინდელი ხასიათი ანუ ჩუეულება იმისი.

მადამ მაგლუარი მიხუდა ეპისკოპოსის სტუმრობსა, გავიდა ჩუმათ და ერთის წამის შემდგომ ბრწყინავდენ სტოლზედ რიგზედ დაწყობილი ექუსი ვერცხლის იარაღი.

ვახშმის შემდგომ ეპისკოპოსმა ისურვა რა ღამე მშვდობისა თავისის დისთვს, აიღო ერთი შანდალი თითონ, მეორე მისცა სტუმარსა და უთხრა: აი ესლა მე თქუენ გაგიძღუებით თქუენს დასაძინებელს ოთახში.

იმ დროს, როდესაც იმათ გაიარეს ეპისკოპოზის საწოლს ოთახში, მეკუჭნავე ალაგებდა შკაფში ვერცხლეულებასა. ეს იყო უკანასკნელი საქმე, რომელსაც ის ქალი შეასრულებდა ხოლმე დაწოლის წინეთ.

ეპისკოპოზმა უჩვენა სტუმარსა დაგებული ქვეშაგები და უთხრა: დაიმასვენეთ მოსვენებით და ხვალ დილას, ვიდრე ჯერ წასვლას დაპირებულხართ, თქუენ მოგიტანენ ჩაისა და ახალ მოდუღებულს რძესა ჩუენის

ძროხებისას.

—გმადლობთ მამაო, უთხრა ვალჟანმა.

მაგრამ როგორც ეს სიტყჳები დაასრულა თუ არა ვალჟანმა, იმაში მოხდა რაღაც საკვირველი შინაგანი მოძრაობა. ის უცებ მიუბრუნდა მოხუცს ეპისკოპოსს, დაიკრიფა გულ-ხელი და დაუწყო რა მას ველურათ ყურება, შესძახა, რაღაც მხეცურის ხრინწიანის ხმით:

—მე თქჳენ მაწვენთ თქჳენ გვერდით განა?

კარგათ იფიქრეთ ეს გარემოება. თქჳენ რა იცით, რომ მე არავინ მომიკლავს?

—ღმერთზედ არის ყოველივე დამოკიდებული, მიუგო მშვიდობიანის და წყნარის ხმით ეპისკოპოსმა.

მერე აიღო მარჯვენა ხელი, გადასწერა ჯვარი სტუმარსა და შევიდა პირდაპირ თავის ოთახში.

ჟანვალჟანმა დაღალულმა და დაწყვეტილმა, გააქრო მაშინვე სანთელი და დაწვა საბან ზევით ტანთ გაუხდელი, და იმავ წუთში მიეცა ღრმა ძილსა.

## V

ვინემ საწყალი ჟანვალჟანი გამოიძინებდეს ჩვენ აქ უნდა ავსწეროთ იმისი მთამოება და საუბედურო

სვე იმისი:

ქანვალქანი ეკუთვნოდა ერთს საწყალს გლეხის კაცის სახლეულობას ბრიის მაზრისას. პატარაობაში იმისთვის არ უსწავლებიათ წერა და კითხვა. იმის დედას უძახდენ ჟანნა მათიესას, მამას იმასას ერქუა, რაც შვილსა--ქანვალქანი. ქანვალქანი იყო თავიდგანვე დაღონებულის ხასიათის. საზოგადოდ ის იყო მშიშარა თვისებისა. დედ-მამა იმისი დაიხოცნენ მაშინ, როდესაც ის იყო პატარი ყრმა. მამა იმისი იყო ხეების მსხვლელი; ჩამოვარდა ერთხელ მაღალის ხიდამ და იმით მოკვდა, ქანვალქანს დარჩა მხოლოდ ერთი უფროსი ქმრიანი და. ქანვალქანი სცხოვრებდა იმასთან, როდესაც სიძე იმისი მოკუდა და დასტოვა შვიდი ობოლი; უფროსი იმისი შვილი იყო მაშინ რვა წლისა და ყველაზედ უმცროსი ერთის წლისა. თვით ქანვალქანი იყო იმ დროს ოცდახუთი წლისა. ქანვალქან შეიქმნა სრული მამის მაგიერი ობლებისათვის. თავისის მხრით ის ასრულებდა იმ ვალდებულებას უანგარიშოთ, ვითარცა მახლობელი ნათესავი. ამ გვარათ სრული ყმაწვილ კაცობა ქანვალქანისა იყო მოხმარებული მძიმე მუშაობაზედ.

საღამოთი, როდესაც ის დაბრუნდებოდა ხო-ლმე შინა, სჭამდა წვნიანს ხმა ამოუღებლათ, იმ დროს, როდესაც ის თჳთქმის ცხვირ ჩაყოფილი ჯამში, მადიანათ ხვრეპდა წვნიანსა, და იმისი იღებდა იმის ჯამიდგან უკეთესს ნაჭრებს ხორცი-სას, ანუ ღორის ქონისას და ანუ კომბოსტოს და უყრიდა ჯამში თავის შვილებსა. ვალჟანი აჩვე-ნებდა სახეს ვითომც ვერაფერს ხედავდა. მახლო-ბლად იმათსა სცხოვრებდა მებაღის ცოლი მარია კლავდიის; დისწულნი ვალჟანისა, ხშირად მშიერნი, მიდიოდნენ ჩუმათ იმ ქალთან და დედის მაგიერათ სესხულობდნენ იმისგან რძესა. თუ რომ დედას ჰცოდნოდა ის სიყალბე შვილებისა, უთუოთ სა-სტიკად დასჯიდა იმათ. ჟანვალჟანი საკმაოდ უზრდელი და ჯავრიანი, აძლევდა ხოლმე ჩუმათ კლავდიას რძის ფასსა და იმით იხსნიდა პატა-რა თავის დის წულებს დედის დასჯისაგან.

როდესაც დასდგებოდა ხოლმე ხეების გასხვ-ლისა ანუ გაწმენდის დრო, ჟანვალჟანი დღეში მოუღობდა თვრამეტს კაპეიკსა; იმის შემდგომ ის მიდიოდა სამკალად, დღიურ მუშად, მწყემსად ფერ-მებში ანუ მინდორში: ერთის სიტყვით, რასაცა

იმოეყრიდა სამუშაოს ჰკიდებდა ხელსა. იმისი დაც თავისის მხრით მუშაობდა რაც შეეძლო; მაგრამ რასა იქს კაცი, როდესაც ამათ ჰყავთ სარჩენი შვილი, რვა სული? საცოდავმა ამ სახლეულებამ, პირველიდგანვე ღარიბმა, მიაწია თჳთქმის სიგლახაკემდის. ერთხელ დასდგა ძლიერ სასტიკი ზამთარი. ქანმა ვერ იშოვა ვერა ვითარი სამუშაო. მთელი სახლობა დარჩა უპუროთ. უპუროთ სრულის ამ სიტყვის ჰაზრით. წარმოსადგენია ცხრა სული ულუკმო პუროთ!

ერთს კვირას დღეს საღამოზე. მეპურე მობერ-შჩაბო, მცხოვრები მახლობლად ეკკლესიის, მეიდანზედ, მოემზადა დასაძინებელათ და იმ დროს გაიგონა ძლიერი რახუნი თავის დუქნის ფანჯარისა. ის წამოვარდა ზეზე, მიიჭრა იმ ფანჯარასთან და დაინახა ვიღაცა კაცი შეყოფილი გატეხილს მინაში. იმ კაცს ეჭირა პური. შჩაბო გავარდა გარეთ; ქურდიც მორბოდა რაც შეეძლო, შჩაბო მისდევდა უკან, და როგორც იყო მიეწია. თუმცა ქურდმა გააგდო ხელიდა პური, მაგრამ სისხლიანი იმისი ხელი მსახურებდა საკმაო საფუძვლად მისის გამტყუნებისა. იმ პურის მომპარავათ აღმოჩნდა

ჟანვალჟანი.

ეს მოხდა **1995** წელში. ჟანვალჟანი დაიბარეს სამართალში. იქ დაუწყეს იმას სჯა. გარდასდომილება იმისი სასამართლოს ჭაზრით მდგომარეობდა: «ქურდობაში, რომელიც შეერთებულიყო გატეხასთანა» იმის საუბედუროდ ჟანვალჟანსა ჰქონდა თოფი რადგან ის იყო მშვენიერი მასროლი და ოდესმე ნადირობდა ხოლმე. ხალხს არ უყვარდათ იმ დროს არც მონადირენი და არც კონტრობანტისტები. ამ ორივ კელობის ხალხს, ხალხი რაცხდა ავაზაკათ. მაგრამ უნდაკი სწორე ვსთქვათ, რომ მონადირეთა და კონტრობანტისტებს შუა მევს დიდი სივრცე. ვითვწლნი სცხოვრებენ ტყეში უკანასკნელნი მთებში და ზღვებში. ქალაქნი შეჰქმნიან კაცთა ფიცხელთა არუ სასტიკთა, ამიტომ რომ შექმნიან კაცთაგან წარმყვნელთა. მთანი ზღვა და ტყე შეჰქმნიან კაცთა ველურთა, განმლიან რა მათში სიველურეს, მაგრამ კი აროსპობენ იმათში კეთილშობილებასა.

ჟანვალჟანი სასამართლომ ცნო დამნაშავეთ სწორის აზრისამებრ სჯულისა და გარდუწყვიტეს იმას ხუთის წლის ტყვეობა ნავებში.

კბ-სა აპრილის, 1796 წელსა, როდესაც პარიჟში დღესასწაულობდენ ძლევასა, რომელიც იპერა მონტენოტში იტალიის ლაშქრების მთავარმართებელმა ბონოპარტემ, სწორედ იმ დღეს ბისეტრში უყრიდნენ ბორკილებსა გრძელს წყებას დამნაშავეთა, ჟანვალჟანიც ერია იმათ რიცხვში. ბებერს საპყრობილის მცველს კარგათ ახსოვს საწყალი კაცი, რომელიც შეაბორკილეს მეოთხე წყების ბოლოში. როგორც სჩანს, ისე საწყალი ჟანვალჟანი იჯდა მიწაზედ. იმას კარგათ არ ესმოდა კიდევ თავის მდგომარეობა, ხედავდა მხოლოდ, რომ ის უნდა ყოფილიყო საშინელი. ვინემ ჩაქუჩებით შეკრავდენ რკინის მანას ვალჟანის საყელოსას, ნაკადული ცრემლისა ახრჩობდა იმას და არ აძლევდა ნებას ლაპარაკისას, მხოლოდ ხანდისხან შეეძლო ხოლმე ეთქვა: მე ვიყავი ხეების მსხვლელი ფაბეროში, ხანდისხან ის აიშვერდა ხოლმე, მწარეთ მტირალი, ორთავ ხელებსა და იმაზედ შვიდს თითსა, რომლითაც ცდილობდა გამოეხატა, რომ რაც რამ შეემთხვა იმას, მოხდა შვიდის მცირე წლოვანის ობოლის გულისათვის.

ვალაქანი წარიყვანეს ტრულონში შემდეგომ ოცდა რვის დღის მგზავრობისა ურმით და კიბურზედ ჯაჯვით, ის მავიდა დანიშნულს ადგილზედ, დღიდამ იმისის განსჯისა, ყოველი გარემოება იმისის ცხოვრებისა იყო მოწყვეტილი, განქრა თვით იმისი სახელიც: ის ქანვალჟანიდგან შეიქმნა **24 607** ნომრათ. რა დაემართა იმას დას? იმას შვიდს ობოლსა? ამისი ვის რა ეხიდვლებოდა? ვის რა ეკითხოდა? ვინ კითხულობს თუ რა გამოვა ფესვით გაქცეულის ღეროდამ ახალ დანერგილის ხისა? ამ გვარი შემთხვევა მეტად ჩვეულებითია! ვინ იცის სად წავიდნენ, ანუ რა დაემართათ იმ საცოდავთ არსებათა, მოკლებულთა ნუგეშსა, შემწეობასა და ნავთსაყუდელსა? იქნება გაიფანტნენ ისინი ალალ ბედზედ სხვა და სხვა მხარეზედ, და შევიდნენ იმ ცივს ნისლში, რომელიც ხშირათ მთანთქავს მარტოხელს არსებობასა, ანუ იმ სამწუხარო სიბნელეში ცხოვრებისა, რომელშიაც იღუპვიან ერთი მეორის შემდეგომ უბედურონონი, საწუხაროს კაცობრიობის მოგზაურობაში. იმათ ყველამ დასტოვა თავისი სამშობლო სართული; ზარმა იმათის სოფლისამ დაივიწყა ისინი

დაივიწყა ისინი ეგრეთვე საზღვარმა იმათის პა-
ტარა ველისამ. თვთ ვალჟანმაც დაივიწყა ისინი
რამოდენსამე წლის შემდგომ თავისის ტყვეობისა.
იმ გულში, რომელშიაც იყო უწინ ღრმა დაჭრი-
ლობა, დარჩა ახლა მხოლოდ მცირედი გაფხა-
ჭნილობა. აი რით დასრულდა იმათი ისტორია.
რაც ხანი ვალჟანმა დაჰყო ტულონში, მხოლოდ
ერთხელ მიაწია იმის ყურამდინ ერთმა ამბავმა
იმის დაზედ. ეს იყო, მე ვგონებ მეოთხე წელი-
წადზედ იმისის ტყვეობისა. ვიღაცას იმის ნაც-
ნობთაგანს ენახა იმისი და პარიჟში. ის ვითომც
სცხოვრებდა მაშინ მცირე ქუჩაში წმინდის სულ-
პიციისა. იმასთან იყო მხოლოდ უნცროსი შვილი.
სად იყვნენ სხვანი დანარჩენნი ექვსნი? ეს იქ-
ნება თითონ დედამაც არ იცოდა. ყოველ დილას
მიდიოდა ის წიგნთ საბეჭდავში საბოს ქუჩაში
ნუმ. **3**, სადაც ის ჰკეცავდა და აწყობდა დაბე-
ჭდილს წიგნის ფურცლებსა. ამ სამუშაოზედ ის
მიდიოდა ექვს საათზედ დილით. ზამთარში გათე-
ნებამდინ. იმ სახლშივე, სადაც იყო წიგნთ საბე-
ჭდავი, იყო სასწავლებელი და აი სად დაჰყავდა
ჟანვალჟანის დას თავისი შვილის წლის ვაჟი. მაგ-

რამ რადგან წიგნთ საბეჭდავში ის უნდა გამოც-ხადებულიყო ხოლმე ექჳს საათზედ და სასწავლე-ბელს აღებდენ ხოლმე მხოლოდ შჳდ საათზედ, ამისთჳს ბავშჳ იყო ხოლმე ერთ საათს მარტო კარზედ, რადგანაც იმას ტიპოგრაფიაში არ უშჳებ-დნენ ამისთჳს, რომ იქ ვითომც დედას უმალიდა ის მუშაობასა. საწყალს ბავშჳს იმ ერთის საათის მოლოდებაში, ხშირად დაეძინებოდა ხოლმე მკო-ლის წინ მოკუნტულსა, მიწოლილს თავის აბგა-ზედ. შჳდ საათზედ ბავშვი შედიოდა სასწავლე-ბელში. აი ყოველივე, რაც შეიტყო ჟანვალჟანმა თავის მახლობლებზედ. იმ ამბავმა, როგორც ელვამ, გაუნათლა მას ერთის წამს სიცოცხლე: თი-თქო უცებ გაელო იმის წინ ფანჯარა და იქი-დამ დაინახა მან სრული სვე მათი, რომელნიც მას უყჳარდა. მაგრამ შემდგომ ისევ მიიფარა ყოველივე მისთჳს. დანარჩენს დროში აღარა გაუ-გიარა იმათი, თითქო აღარ არსებობდენ იმისთჳს ის მახლობელნი იმისნი არსებანი. არაოდეს ისა-ნი აღარც უნახავს, აღარცა რა შეუტყჳარა იმათი.

მეოთხე წლის დასასრულზედ ჟანვალჟანს ჰქონ-და შემთხჳევა გაპარვისა. ამხანაგებიც შეეწივნენ

იმ განზრახვაში. ორი დღე ის დადიოდა მინდვ-რებში თავისუფლად, თუ რომ შეიძლება დავარ-ქჳათ თავისუფლება იმას. რომელსაც კაცს ყოველს წამს ეშინიან დაჭერისა, თრთის ყოველს წამს რა ეშინიან დაჭერისა, თრთის ყოველს მცირედს ხმი-ანობაზედ, ეშინიან კვამლისა რომელიც ამოდის ბუხრიდამ, მაღლის ყეფისა, ცხენის ფეხის ხმისა, საათის ზარისა, დღისა, ამიტომ რომ ყველაფე-რი სჩანს დღისით და ღამისა რადგან არაფერი არა ჰსჩანს მაშინ ყოვლის ბუნებისა და თჳთქმის მილისაც.

მესამე დღეს ქანწალუქანი ისევ დაჭირეს. სა-მართალმა მოუმატა ამისთჳს სამი წელიწადი ტყჳობისა, რომელიც უწინდელის ხუთის წლით შეადგინდა რვა წელიწადსა. მეექვსე წელიწადზედ კიდევ მოინდომა გაქცევა. მაგრამ რომელსაც საღამოთი ჩაიკითხეს სია და ნახეს რომ ქანწალუქანი აკლ-და, მაშინვე ზარბაზნის დაცლით შეატყობინეს ტუსაღის გაპარვა და მეორეს დღეს ქანწალუქანი იპოვნეს დამალული გაუთავებელს სამალავში, და რადგან მაშინ ქანწა იძლავრა არ მოჭყჳტოდა, ამისთჳს გაპარვისა და წინააღმდეგობისათჳს მი-უმატეს იმას ვადა ტუსაღობისა კიდევ ხუთი წე-

ლი. მეათე წელიწადზედ კიდევ დააპირა გაპარვა და კიდევ ამათ, და ამისთჳს მიუმატეს კიდევ სამი წელი, ბოლოს, როგორც მახსოვს, მეცამეტე წელიწადზე ერთი კიდევ გაბედა გაპარვა, მაგრამ ოთხის საათის შემდგომ ისევ დაიჭირეს; იმ ოთხის საათისთჳს მოუმატეს კიდევ სამი წელი-წადი. და ამ გვარათ მოუგროვდა ვადა ტუსაღო-ბისა ცხრამეტი წელიწადი. ბოლოს ოკტომბერის **1815** წელსა, ვალჟანი განათავისუფლეს მადნები-დამ, სადაც იყო გაგზავნილი **1796** წელსა, «იმისთჳს, რომ იმან გატეხა ფანჯრის მინა და უნდა მოეპარა პური მშიერის ობლებისათჳს.»

ჟანვალჟანი შევიდა მადნების სამუშაოში მოთქმით მტირალი და მიმით მთრთოლვარე; გამოვიდა ცივი და დაღონებული. შევიდა სრული სასოწარკვეთილი; გამოვიდა ბნელი, სასტიკი. რა ცვალება მოხდა იმის სულში?

როდესაც ვალჟანს გაუთავდა ვადა, როდესაც იმას უთხრეს; «შენ თავისუფალი ხარო.» თითქო რაღაც შუქი ნათლისა შევიდა იმის სულში, მაგრამ ის სიხარული არ იყო გრძელ ჟამიერი. ის უცებ დააბრმავა თავის უფლების იდეამ,იმან წარმოიდგინა

თვალწინ ახალის სახე თავისის ცხოვრებისა, მაგრამ მალე მიხვდა თუ რას ნიშნავდა ის თავისუფლება, რომელიც იმან იყიდა ყვითლის ბილეთით. გარდა ამისა, იმის თავში მოგროვდა საკმაო სხჳა და სხჳა მწუხარებაცა. ის ანგარიშობდა, რომ ფული, რომელიც იმან მოაგროვა ცხრამეტის წლის ტუსაღობაში, უნდა ყოფილიყო ას ოთხმოცდა ერთი ფრანკი. უნდა ვსთქჳათ რომ იმ ანგარიშში, იმას ჰქონდა შეტანილი ყოველი დღესასწაული და კვირა დღე, რომელთათჳსაც უნდა გამოერიცხოდა იმას ოცდა ოთხი ფრანკი, მაგრამ იმას გარდაც უპოვნეს იმისთანა მიზეზები, რომ იმისგან მოგროვებული ფული დაეყვანებინათ ას ათ ფრანკსა და თხუთმეტს კაპეიკზედ, რომელიცა იმას ჩააბარეს გამოშვების დროს.

ჟანვალჟან გარგათ არ იყო მიმხჳდარი იმ ანგარიშებისა, მხოლოდ სთვლიდა თავის თავსა დაჩაგრულათ და მოტყუებულათ ანგარიშში.

მეორეს დღეს ერთის ფაბრიკის წინ იყო დიდი სამუშაო; იქ ხსნიდენ ხომალდებით მოტანილის საქონლის სკივრებსა. ჟანმა ჰკითხა ხომ არ ეჭირვებიათ კიდევ მუშაო; რადგან მუშა იყო ძალიან საჭირო, მიიღეს სიხარულითა. სავაჭროს

პატრონი იყო ძლიერ კმაყოფილი ამის მუშაობით. იმ დროს, როდესაც ვალჟანი მუშაობდა გაიარა ჟანდარმა, შენიშნა ისა, და მოჰკითხა ბილეთი. ვალჟანმა აჩვენა ბილეთი, ჩაიდო ისევ ჯიბეში და განაგრძო მუშაობა. მერე ვალჟან მიუბრუნდა და ჰკითხა მეორეს მუშას თუ რამდენათ მუშაობს ის დღეში; მან უთხრა ოცდა ათი კაპეიკი მაქვს დანიშნულიო. ჟანს ეგონა რო მისცემდენ იმასაც დღეში ექვს შაურსა, მაშინ, როდესაც ანგარიშის დროს მისცეს მხოლოდ სამ-სამი შაური დღეში. როდესაც მან დაიწყო დანარჩენის სამის შაურის თხოვნა, მას ამაყად მიუგეს; ეგეც ბევრიაო. როდესაც იმან იწყო კიდევ ჩივილი და სჩუწუნა მაშინ საქონლის პატრონი ჩააჩერდა თვალებში და უთხრა: «გაჩუმდი, თორე აგერ საპყრობილე.»

იქაც ვალჟანმა ჰპოვა თავი დაჩაგრულათა. ჯერ მოატყუა ის ბევრს ფულში მთელმა საზოგადოებამ, მერე კერძო პირმა წვრილს ანგარიშში.

## VI

ჟანვალჟანს შუაღამისას გამოეღვიძა; გამოეღვიძა

იმიტომ, რომ ქვეშსაგები, რომელშიაც ის იწვა იყო მეტად კარგი, მეტად რბილი, თითქმის ოცის წლის განმავლობაში იმას არ სძინებოდა ამისთანა ქვეშსაგებში.

გამოეღვიძა, გაახილა თვალები, მიიხედ-მოიხედა ბნელაში და დახუჭა ისევ თვალები, უნდოდა დაეძინა, მაგრამ გაუქრა ძილი. მაშინ ის მიეცა სხვა და სხვა ფიქრებსა. მრავალი რამ მოუვიდა ფიქრში, და ირეოდა იმის თავში სხვა და სხვა ჰაზრები. იმას მოაგონდა სხვათა შორის თუ სად შეინახეს ექვსი სტოლის ვერცხლის იარაღი. ფიქრი იმ ვერცხლეულობაზედ აღარ ასვენებდა იმას.

შეიქნა სამი საათი ღამისა. ჟანმა გაახილა კიდევ თვალი. ჩამოუშვა კრაოტიდამ ფეხები და დასდგა ფეხზედ. ღამე არ იყო ერთობ ბნელი, ვალჟანმა გახსნა თავისი ჰარკი, ამოიღო იქიდამ რაღაც ნივთი, გაიხადა ფოსტლები, ჩაიწყო ჯიბეში, წამოიკიდა ზურგზედ ჩანთა და დაიხურა ქუდი. მხოლოდ მისახდომი იყო თუ რა ნივთი ამოიღო იმან ჰარკიდამ: ის ნივთი ჰგავდა მოკლეს რკინის ჯოხსა, რომელსაც ერთი პირი

ჰქონდა წვეტიანი. ღლისითაც მნელად გამოიც-
ნობდა კაცი, რომ ის ნივთი იყო მანდანი, რო-
მელსაც ხმარობენ მაღნების სამუშაოში.

ვალქანმა დაიჭირა ის მანდანი მარჯუწნა
ხელში, გაკმიდა სული და ქურდივით გასწია კა-
რებისაკენ მემდგომის ოთახისა.

როდესაც მივიდა კარებთან, მიადო ყური კა-
რსა და უგდებდა ყურსა, არცა მცირედი ხმაინო-
ბა იმას არ გაუგონია. ვალქანმა მიურახუნა კარებ-
სა და მიუგდო კიდევ ყური. ნახა რა სრული
მეუდროება, შევიდა ოთახში. იქ იმას მოესმა
ნელი, წყნარი ხვრინვა, ეპისკოპოზისა. იდგა მახ-
ლობლად მძინარის მოხუცისა და უკვრდა თითონ
იმას თუ როგორ მალე გახსნდა ის იმადგილისა.

იმდროს ქარმა გადაჰქვარა ციდამ დრუბელი და
შუქი მთვარისა პირდაპირ დაეცა ეპისკოპოზის
სახესა და თჳთ ვალაქნი დარჩა ბნელში. არაფერი
იმას არ ენახა თავის დღეში მსგავსი იმ სანახავისა.
ის განსვენება ეპისკოპოზისა, იმისთანა მეზობელთან,
როგორც იყო იმ დროს თჳთ ვალქანი, მეიცავდა
ვალქანის თვალში რაღასაც გამოუთქმელსა, და-
დებულსა. ეს ესმოდა იმას კარგათ. მნელი საქმე-

ლია თუ რა სწარმოებდა მაშინ იმის სულში, იმის სახეზედ არაიერ რა იმდროს გამოხატული გარდაწყვეტილი რამე. ის უყურებდა ეპისკოპოსის განსვენებულს ძილსა და ველარ აშორებდა თვალსა. მხოლოდ ერთი რამ სჩანდა ცხადად ვალჟანის სახეზედ. ეს იყო რაღაც ნაირი გაუბედაობა. შესაძლო არის ვსთქვათ, რომ ის ირყეოდა ორს უფსკრულს შუა-შორის დაღუპვისა და ცხოვნებისა. ეტყობოდა, რომ ის იყო მომზადებული, ანუ გაეჟინჟლა თავის სარქველი ეპისკოპოზის, ანუ დაეკოცნა იმის ორივ ჴელები.

რაოდენსამე წამის შემდგომ იმან აიღო მარცხენა ჴელი ზევით, მოიხადა ქუდი და დაფიქრდა. მერე დაიხურა ისევ საჩქაროთ ქუდი, გაუსჯა პირდაპირ შკაფისკენ, გამოიღო კალათი ვერცხლეულებით, შევიდა ისევ თავის ოთახში, გააღო ფანჯარა, გადავიდა იქიდამ ბაღჩაში, და ჩაიწყო ჯიბეში ვერცხლეულება, გააგდო იქ კალათი, მერე გარდახტა ღობესა და გაუდგა გზასა....

დილასვე ადრე ეპისკოპოზი დასეირნობდა ბაღჩაში და იმ დროს მიიჭრა იმასთან მაგლუარის ქალი და ფერმკრთალმა შესძახა: თქვენო მეუფებავ,

ხომ არ იცით რა იქნა კალათი ვერცხლეულებით?

—ვიცი, მიუგო ეპისკოპოზმა.

—მადლობა ღმერთსა! დაიყვირა მეკუჭნავემ, მე კინაღამ ჯავრით გადვირიე.

მაშინ ეპისკოპოზმა აიღო კალათი ჴელში, აუშჳრა მაგლუარის ქალსა და უთხრა: აი კალათი!

—ცარიელი! ვერცხლეულება რაღა იქნა?

—თქჳჱნ ვერცხლეულება გაწუხებთ განა? ისკი აღარ იცი, თუ ვერცხლეულება რა იქნა?

—ღმერთო! რას ვხედავ ამას, ჰყვროდა მეკუჭნავე, უთუოთ წუხანდელმა სტუმარმა გაგვქურდა ჩჳჱნა!

—განა ის ვერცხლი ჩჳჱნ გვეკუთვნოდა? ჰკითხა იმას ეპისკოპოზმა. მაგლუარის ქალმა შეხედა ეპისკოპოზს განცჳფრებულის თვალით.

—ის ვერცხლი, განაგრძო ეპისკოპოზმა, ეკუთვნოდა ღარიბთა. მერე ვინ იყო ჩჳჱნი სტუმარი? უეჭჳჱლია ის იყო მრიელ ღარიბი და საწყალი.

—ღმერთო ჩემო! დაიძახა მაგლუარის ქალმა, მე ხომ ჩემთჳს არა ვზრუნავ; ჩემთჳს სულ ერთია ვისიც უნდა ყოფილიყო ის ვერცხლი; მე ვზრუნავ თქჳჱნთჳს. როგორ უნდა სჭამოთ საჭმელი

ამას იქით უკოვზოთ?

--განა კალის კოვზები არა გვაქვს?

--კალისას ცუდი სუნი უდის.

--რკინისა?

--რკინის კოვზიც ცუდ გემოს აძლევს.

--მაშ ხისა იყოს, სულ ერთია.

რამდენისამე წამის შემდგომ ეპისკოპოსი დაჯდა საუზმეზედ. და რა დაასრულა საუზმე, აპირებდა ადგომასა, იმ დროს ვიღაცამ დაარახუნა კარი.

--შემოდით, შესძახა ეპისკოპოზმა. კარი გაეღო და ეპისკოპოზის წინ გამოჩნდა განსაკვირველი სანახავი: სამს კაცს მოეკიდა საყელოში მეოთხისათჳს ჴელი. ის სამი იყვნენ ჟანდარმები, მეოთხე ჟანვალჟანი, მეხუთე, უნტერ აფიცერიც, რომელმაც მოიყვანა. ის ოთხნივე იდგნენ კარებში, ის შევიდა ოთახში და მისცა რა პატივი ეპისკოპოზსა სამხედროს წესით, უთხრა:

--თქუენო მეუფებავ......

იმ სიტყუაზედ ჟანვალჟანმა, მკუდარმა თჳთქმის ჯავრით, აიღო მაღლა თავი.

მეუფევ!.., წაიბუტბუტა იმან მაშინ.--ეს მღუდელი არა ყოფილა?

--ჩუმათ, შესძახა მას ჟანდარმა.--ეს ბძანდება უფალი ეპისკოპოზი.

დაინახა რა ისინი ეპისკოპოზმა, მიაშურა იმათკენ ისრეთის სისწრაფითი როგორცკი ნებას აძლევდა იმას თავისი წლოვანება.

--მე მოხარული ვარ, რომ ისევე ვნახეთ ერთმანეთი, უთხრა იმან ჟანვალჟანსა. მე თქუჱნ გაჩუქეთ შანდნებიც, სხუა ვერცხლთან, რატომ არ წაიღეთ ისინიც, იმაში შეგიძლიან აიღოთ ორასი ფრანკი. ისინიც ვერცხლისაა.

ჟანვალჟანმა შეხედა ეპისკოპოზსა ისრეთის სახის მეტყუჱლებით, რომლისაც გამოთქმა არა ვითარის კაცისაგან არ შეიძლება.

--მაშ ამ კაცმა მართალი სთქუა, თქუჱნო მეუფებავ? უთხრა მას უნტეროფიცერმა. ჩუჱნ ამას შემოვეყარეთ გზაში, ეს იმ რიგათ მიდიოდა, თითქო აპირებსო დამალვასა, ჩუჱნ მაშინ ეჭვ მივიტანეთ, შევაყენეთ და უპოვნეთ ეს ვერცხლეულება.

--მერე ეგ გეტყოდათ, უთხრა იმას ღიმილით ეპისკოპოზმა, რომ ეს ვერცხლი მაჩუქა მე კეთილმა მოხუცმა მღუდელმა, რომელთანაც მე წუ-

ხელის ღამე გაგათიეთ, განა?

—მაშ როგორ გვიბძანებთ თქვენო მეუფებავ, გაუშვათ ეს კაცი თუ არა? ჰკითხა იმას კიდევ უნტერ აფიცერმა.

—უეჭველია უნდა გაუშვათ.

ჟანდარმებმა გაუშვეს ვალჟანი.

როდესაც ვალჟანი მოეგო გონებას, სთქვა ბუტბუტით: ამას რას ვხედავ მე? როგორ დავი-ჯერო, რომ თავისუფლად მიშვებდენ?

—მეგობარო! უთხრა იმას ეპისკოპოზმა, ისე არ წახვიდეთ აქედამ, რომ შანდლებიც არ წაიღოთ. მერე მივიდა ბუხართან, ჩამოიღო ვერცხლის შან-დლები და მისცა იმას ისინი.

ჟანვალჟანი ათრთოლდა მთელის ტანით; გამოა-რთვა შანდლები, ვითარცა მაშინამ, სრულიად ალმუ-ოთებულის სახით.

ახლავე შეგიძლიან, წასვიდეთ, მშვიდობით, საითაც გინდათ. გახსოვდესთ, რომ თუ კიდევ როდისმე მოხვიდეთ ჩემთან, შემოდით იმ კარით, რომელიც ქუჩისაკენ არის, და არა ბაღით; ის კარი არასოდეს არ არის ხოლმე ჩაკეტილი, შერყევა იმისი და გაღება ერთია. მერე მიუბრუნდა ჟანდარმებსა და

უთხრა: უფალნო, თქუენ შეგიძლიანთ ეხლა წახვიდეთ.

ჟანდარმები გაშორდნენ.

ჟანვალჟანი, იდგა როგორც მეხ-დაცემული და მიახლოებული გულ შემოყრაზედ.

ეპისკოპოსი მიუახლოვდა იმას და უთხრა.

--ნუ დაივიწყებთ ნუ რაოდეს, რომ როგორც თქუენ აღუთქვით ეგ ვერცხლი უნდა მოიხმაროთ იმაზედ, რომ შეიქმნეთ პატიოსანი კაცი. ძმაო ჩემო! ამიერიდგან თქუენ ეკუთვნით არა ბოროტებასა, არამედ კეთილსა. გახსოვდეს, რომ მე ვიყიდე თქუენი სული, გავსწმინდე ის საძაგელობისაგან და წმინდათ შევსწირე ღმერთსა.

## XII

ჟანვალჟანი გაუდგა გზასა, გაიარა რამდენიმე ველი, არ იცოდაკი საით, და ან სად წასულიყო, ერეოდა იმას ხშირათ გზა, ასე რომ ერთი და იგივე მინდორი განვლო რამდენჯერმე. ასე იარა იმან მთელი დილა. რაღაც ახალნი გრძნობანი ავსებდნენ მაშინ იმის სულსა. ის ჯავრობდა კიდეცა, მაგრამ ვისზედ, ეს თითონაც არ იცოდა. დაღალული სიარულით, თუ სულის მღელვარებით

ის დასჯდა ბოლოს ერთს ბუჩქს ქჳეშ განმარტო-ებულს მინდორში.

უცებ იმან გაიგონა მხიარული ხმა. მიიხედა და დაინახა ერთი პატარა ათის წლის ბავშჳ, რომელიც მიდიოდა და იმღერდა. ხანდისხან ის ბავშჳ გაუშჳებდა ხოლმე სიმღერას და ათამაშებ-და ჴელში ფულებსა. გაჩერდა რა იმ ბუჩქს უკან. სადაც იჯდა ვალქანი, ერთი კიდევ აისროლა იმან ჰაერში ფულები, და ერთი იმათგანი დავარდა რა ჴელიდამ, გაგორდი ბუჩქისაკენ. ქანვალქანმა დაადგა იმას მაგრა ფეხი.

ბავშვმა შენიშნა თუ საით გადავარდა ის ფუ-ლი და წავიდა ვალქანისაკენ.

--უფალო, უთხრა იმას პატარა ყმაწჳლმა მო-მეცით ჩემი ფული.

--რა გქვიან შენა? ჰკითხა ვალქანმა

--მე მქვიან პატარა ჟერვე, უფალო, მიუგო ბავშმა.

--მაშ მომშორდი თავიდამ.

--უფალო,რას მემართლებით,მომეცით ჩემი ფული.

ქანვალქანმა დაღუნა თავი და პასუხი აღარ გასცა.

ყმაწჳლი, მოჰყვა ხელ ახლათ.

--ჩემი ფულები მეთქი უფალო!

ვალქანმა დაიწყო ყურება მიწაში.

--ჩემი მანეთი! ჩემი ფულები, არ გეეურებათ უფალო!

ვალქანი იჯდა უძრავათ, როგორც ყრუ.

მაშინ ბავშვი შეახტა საყელოზედ და ცდილობდა როგორმე გადეედგმევინა ფეხი.

--ჩემი ფულები! რას მემართლოთლები! მე მინდა ავილო ათ შაურიანი!

მერე ყმაწვილი მოჰყვა ტირილსა ცხარის ცრემლით.

ვალქანმა აილო თავი და არ ადგა ფეხზედ. იმის თვალებში სჩანდა ცხადად რაღაც მწუხარება. ის უყურებდა ყმაწვილსა რაღაც ნაირის მგლურის თვალით, განკრვებულის სახით, მერე წაილო გელი ჯოხისკენ და შეჰყვრა საზარელის ხმით: ვინა ხარ?

--მე ვარ პატარა ქერვე. აგი გითხარით წელან ვინცა ვარ. გესვეწები რა ხანია დამიბრუნო ჩემი ათ შაურიანი. აილე უფალო ფეხი.

ბოლოს ყმაწვილმა დაუწყო მუქარა: აილებთ თუ არა ფეხსა; მითხარით ესლავ; აილებთ მეთქი ფეხსა?

--ისევ შენა ხარ განა? შეჰყვრა ვალქანმა და წამოსტა კიდეც ფეხზედ, მაგრამ ფულისთჳსკი ფესი არ მოუშორებია: და დაუმატა გაფრთხილდი!

ქერვე დააკვრდა შიშით ვალქანსა, მერე ათრთოლდა მრთელის ტანით და გაიქცა.

რამდენსამე წამის შემდგომ ვალქანს მოესმა შორს ემაწვლის ტირილი, ბოლოს ყოველივე დაცხრა.

მზეც ჩავიდა. იქაურობა მოიცო სიბნელემ. ვალქანი იდგა სულ ერთს ადგილსა. საღამოს სიცივემ აგრძნობინა თავისი თავი. ვალქანი მოდიოდა გრძნობაში; ბოლოს ჩამოიცჳა თავზედ მაგრამ ქუდი, და დაეეუდა მირს ჯოხის ასაღებათ, იმ დროს იმან შენიშნა ვერცხლის ფული, რომელიც ედო ფეხქჳშ. იმას დაუარა რაღაც ქრუანტელმა ძარღჳებში ეს რა არის! სთქჳა ბოლოს მერე აიღო ის ფული კელში, და დაუწყო სინჯჳა, მიიხედ-მოიხედა, მაგრამ არაფერი არ ხჩანდა რა. აი! წაილუღლუღა და ბოლოს გაუდგა იმ გზასა, საითაც გაიქცა პატარა ქერვე. გადაადგა რა ოცდა ათი ნაბიჯამდის, შესდგა ისევ და

დაიწყო აქეთ-იქით ყურება, მაგრამ კიდევ არაფე-რი არა სჩანდა რა.

მაშინ ის მოჰყვა მაღლის ხმით ძახილსა: პატარა ქერვე! პატარა ქერვე!

პასუხი არავინ გასცა.

მერე გაიქცა ისევ იმ გზით და მირბოდა რაც შეემლო, ხანდისხან შესდგებოდა ხოლმე და უჯ-როდა: ქერვე! ქერვე!

ბოლოს დაწყვეტილი და დაღალული სირ-ბილით დაეშვა ერთს ქვაზედ, იტაცა თავში ხე-ლები, და სთქვა: ოჰ! მე უბედური! სთქვა ესე და მოჰყვა მოთქმით ტირილსა. ეს იყო პირვე-ლი ტირილი ცხრამეტის წლის განმავლობაში.

ის სტიროდა დიდხანს, სტიროდა მოთქმით ყოველს დედაკაცზედ მომეტებულათ და უარესათ ყოველს ერმაზედ. სრული წარსული ცხოვრება წარმოუდგა თვალწინ: იმისი პირველი შეცთომა, მადანი, ეპისკოპოზი, და უკანასკნელი მოპარვა ათ შაურიანისა; დანაშაულობა სამაგელი და სა-ზარელი—ყოველივე ესე წარმოუდგა თვალწინ ისეთის სიცხადით, რომელიც უწინ არაოდეს არ შეუნიშნავს.

რამდენი ხანი იტირა? რა ქნა შემდგომ? სა-
ით წავიდა? ესენი ალარავის შეუტყვა. შეიტყვეს
ერთხელ მხოლოდ ის, რომ ერის დილიჟანს
(კარეტას) გათენებისას დაენახა ჩრდილში კაცი,
რომელიც იდგა თურმე დაჩოქილი და ლოცულო-
ბდა ეპისკოპოზის კარების წინ!....

გ. დიდებულიძე

(გაგრძელება შემდგომში იხილე.)

# პოლშის კაროლი და ლიტვის გეთმანი.

## ძველი ნამდჳლი ანბავი.

პოლშის კაროლს სტანისლავ ავღუსტ პანიატოვსკის უეჭველია ახლდნენ კარის კაცები; მაგრამ ერთი იმათგანი უფრო მიაჩნდა და ძრიელ უყვარდა, ეს იყო ლიტვის გეთმანი მიხეილ ოგინსკი, კაროლი და გეთმანი იყვნენ ერთად გაზრდილნი სასწავლებელში და ჰქონდათ იმათ სიყრმიდგანვე მეგობრობა. თუმცა იმ დროს პოლშა არ იყო კარგს მდგომარეობაში და თჳთან კაროლსაცკი შეუსუსტდა გავლენა ხალხზე, მაგრამ მაინც კიდევ გამოჩენილი კეთილშობილთა საკვეხურათა და თავის მოსწონსთ მიაჩნდათ კაროლთან დაახლოვება. ამისგამო სასახლეში ბევრს შურდათ ოგინსკის მეგობრობა და კაროლთან დიდათ ცდილობდნენ დაეშორებინათ ოგინსკი სასახლიდამ და ვერ შეიძლეს, რადგანაც მეგობრობა და სიყვარული კაროლისა და გეთმანისა იყო მტკიცე. მაგრამ ერთმა

თვრამეტის წლის გლეხი კაცის გასათხოვარმა ქალმა, რომლის სახელი იყო ელიზბეტა, დაარღვა მათ შორის მეგობრობა და ჩაუგდო სიძულილი იქამდის, რომ ბოლოს ერთმანერთის მტრათ გარდაეკიდნენ.

ერთს სახლების გალერეაში, რომელიც ეკუთვნის გამოჩენილს პოლმის გვარსა, დღევანდლამდის არის დაცული ელიზბეტას სახე გადმოღებული ბაკლიარელისაგან, რომელიც იმ დროს იყო გამოჩენილი მხატვარი. ეს სახე ნამდვილათ გვიჩვენებს ქალის სიმშვენიერესა, რომელმაც მოსპო მეგობრობა პონიატოვსკისა და ოგინსკისა და ამ მიზეზითა პოლშასაც ევნო მრავალი. მოისმინეთ რასაც გიამბობთ ამ საგანზედა:

ოგინსკის უყვარდა ნადირობა. ერთს დროს ის იყო სანადიროთ საკუთარს მდიდარს და სასიამოვნო მამულში და რავკის წყალის პირას შეხვდა მჯდომარე ქალსა, რომელმაც დიდად გააკვირვა თავისის სილამაზითა, თითქოს ყრუანტელმა შეარყია მთელი მისი სხეული, რადგანაც იყო მეტად მოარშიყე ლამაზის ქალებისა. ოგინსკიმ დიდხანს უყურა მშვენიერ მოჩვენებასა, ვე-ლარ მოითმინა და დაუწყო ლაპარაკი.

ოგინსკიმ ჰკითხა—ვინა ბძანდებით, და რა მიზეზით დაიარებით მარტო ამ ტყეში?

ქალმა უპასუხა: მე გახლავარ ტყის მცველის ქალი; მამა მომიკვდა; დავრჩი დედინაცვლის ხელში, რომელიც გადამეტებით ცუდათ მეპყრობოდა, ამ მიზეზით მოვშორდი ჩემ მაწუხებელ დედაკაცსა, რომ ამ ტყეშია მაინც თავისუფლად ამოვისუნთქო და ცრემლი შემაშრეს.

თვრამეტის წლის გლეხი კაცის გასათხოვარმა ქალმა, რომლის სახელი იყო ელჟბეტა, დაარღვა მათ შორის მეგობრობა და ჩაუგდო სიძულილი იქამდის, რომ ბოლოს ერთმანერთს მტრათ გარდაეკიდნენ.

ერთს სახლების გალლერეიაში, რომელიც ეკუთვნის გამოჩენილს პოლშის გვარსა, დღევანდლამდის არის დაცული ელჟბეტას სახე გადმოღებული ბაგლიარელისაგან, რომელიც იმ დროს იყო გამოჩენილი მხატვარი. ეს სახე ნამდვლათ გვიჩვენებს ქალის სიმშვენიერესა, რომელმაც მოსპო მეგობრობა პონიატოვსკისა და ოგინსკისა და ამ მიხედვით პოლშასაც ევნო მრავალი. მოისმინეთ რასაც გიამბობთ ამ საგანზედა:

ოგინსკის უყვარდა ნადირობა. ერთს დროს ის იყო სანადიროთ საკუთარს მდიდარს და სასიამოვნო მამულში და რაკის წყალის პირას შეხვდა მჯდომარე ქალსა, რომელმაც დიდად გააკვირა თავისის სილამაზითა, თითქოს ყრუანტელმა შეარყია მთელი მისი სხეული, რათგანაც იყო მეტად მოარშიყე ლამაზის ქალებისა. ოგინსკიმ დიდხანს უყურა მშვენიერ მოჩვენებასა, ვეღარ მოითმინა და დაუწყო ლაპარაკი.

ოგინსკიმ ჰკითხა—ვინა ბძანდებით, და რა მიზეზით დაიარებით მარტო ამ ტყეში?

ქალმა უპასუხა: მე გახლავარ ტყის მცველის ქალი; მამა მომიკვდა; დავრჩი დედინაცვლის ხელში, რომელიც გადამეტებით ცუდათ მეპყრობოდა, ამ მიზეზით მოვშორდი ჩემ მაწყენელ დედაკაცსა, რომ ამ ტყეშია მაინც თავისუფლად ამოვისუნთქო და ცრემლი შემაშრეს.

—შენ მიცნობ მე? ჰკითხა გეთმანმა.

—როგორ არა ვიცნობ თქვენს ბრწყინვალებასა, მოახსენა ქალმა.

—ხომ არშეგეშინდა, მე რომ დამინახე?

—რათ უნდა შემშინებოდა. ბრწყინვალე დიდი ბატონის ნახვა საშიშარი მოჩვენება ხომ არ არის!

ეს ჭკუიანური პასუხი ყმაწვილის ქალისა ოგინსკის დიდათ მოეწონა. ოგინსკი იყო მართლად თავმომწონე, წარმოსადეგი, თვალადი ყმაწვილი კაცი, სავსე ყოვლის კეთილის თჳსებით.

—შეგიძლიან შემიყვარო? გაბედვით ჰკითხა ოგინსკიმ.

ელჟბიეტას გადურბინა სიწითლემ მშვენიერს თეთრს სახეზე. ქალმა სირცხვილით თავი ჩაღუნა ძირს და არა უპასუხარა. და როდესაც აიხედა მაღლა, შეხედა ოგინსკის, უკანასკნელი დიდის სიამოვნებით შესცქეროდა და დაჰხაროდა უმანკო ქალსა.

—მიპასუხე. ოგინსკიმ უთხრა, მაგრამ გულწრფელად, მართალი კი მითხარ, სიყვარული ჯერ ხომ არ გამოგიცდია?

—ვის შეუყვარდები მე საბრალო, უდედმამო, უბედური ამ მაცდურს და დაუდგრომელს სოფელში! მოგახსენებ კი მართალსა, ჩემო ბატონო, რომ თუმცა ზოგნი ერთნი მეალერსებიან, დიდათაც მაწუხებენ უმსგავსოს ქცევით, მაგრამ რას გააწყობენ თავიანთის უგუნურობითა!

—სახელად რა გქჳან?

—ელჟბიეტა.

—გამიგონე ელიზბეტა, უთხრა ოგინსკიმ. მე მოგაშორებ იმ შენს ბოროტ დედინაცვალსა, რო ვეღარსადა გნახოს; ამის გარდა შენ მოგელის დიდი ბედნიერება.

საბრალო ქალი სიხარულისაგან აიტაცა, მოეხვა ოგინსკის ფეხებზე და მადლობა მოახსენა.

—მე მოგცემ ასეთს ძვირფასს სამკაულებსა, რომელიც ენატრება პოლშის დიდს კაცებსა,—განაგრძო ოგინსკიმ, შენ იცხოვრებ ჩინებულ სასახლეში. სადაც იქნები ქალბატონი, შენ გახლდებიან მრავალნი მსახურნი კარგათ ჩაცმულნი; დღესვე მოგერთმევა ოქროს კარეტა...

ჯერ არ დაესრულებინა გეთმანს უკანასკნელი სიტყჳები, რომ დიდ გზაზედ გამოჩნდა ძჳელი დანჯღრეული კარეტა, რომელშიაც იჯდა დედაკაცი, ბოშა, მკითხავი. როდესაც მოახლოვდა, დედაკაცმა მოახსენა ოგინსკის.

—ჩემო ჴელმწიფევ! ღმერთიმც გადღეგრძელებს და გიცოცხლებს მაგ ლამაზ ქალსა, მიბოძეთ რამე დიდო ბატონო, და შენს მოცემულს მოწყალებას ყოვლის მპყრობელი დაგიბრუნებს ათასობით

—ჩემთჳს საჭირო არა არისრა, უპასუხა ოგინსკიმ, რომელმაც ჴელში ჩაუდო რამდენიმე ოქრო, უფრო უმჯობესი იქმნება, მე თვალთმაქცო, წინ წამოსდგე და ამ ქალს შენებურათ უკითხო.

—ეხლავ, მოახსენა სიხარულით დედაკაცმა, და გადმოშალა პატარა ხელი ელიზბეტასი, დიდხანს ყურადღებით გაუშინჯა ხელის გულზედ დახაზულები, იბუტბუტა, შემ-

დევ ხმა მაღლა წამოიძახა: ჩემო მზეო უსახაო, შენ შეიქნები დიდის კაცის ცოლი!»

—გესმის, მართალი გითხარ თუ არა? წასჩურჩულა ოგინსკიმ ელჟბეტსა.

—შენ იცხოვრებ საკელმწიფო სასახლეში, განაგრძო დედაკაცმა, ზარიფარჩებით იქნები მორთული, შენ გაგიარშიყდებიან დიდი კაცები; მოკლედ მოგახსენებ, შენ შეიქნები კაროლის მეუღლე!

ელჟბეტას სიხარულისაგან ჟრუანტელმა დაუარა, მაგრამ ოგინსკიცა შეათრთოლა, რომელსაც მკითხავმა წამოსთქვა უკანასკნელი სიტყვები; ანგი როგორ არ უნდა გახარებოდა ოგინსკის, რომელსაც რომ კაროლის გჳრგჳნი სიზმარათაც ეზმანებოდა.

ოგინსკიმ მკითხავი კარგა დასაჩუქრა და მუქარებითვე უბძანა, რომ არავის არა უთხრასრა და არსად არა წასცდესრა, თორემ..

თუმცა ოგინსკი იყო განათლებული და კარგათ ნასწავლი, და ჰქონდა მიწერ-მოწერა ვალტერთან, მაგრამ საკჳრველი ამაო მორწმუნე იყო. იმ დროს ყოველი დიდი კაცი ფიქრიდამ ვერ იშორებდა და სნეულებათ ჰქონდა გარდაქცეული, რომ ოდესმე მისწვდებოდა კელმწიფის გჳრგჳნსა, რასაკჳრველია ოგინსკი ამაზედ უფრო იფიქრებდა, რადგანაც იყო რიგრიგის ჩამომავალი, ძრიელი მდიდარი და დიდებული კაცი ლიტვაში და პოლშაში. იმას წარმოუდგა, რომ, თუ კარალევა კელში ჰყავს, მაშ ეჭვი აღარ არის, რომ თჳთონაც ადჳლათ შეიქნება კაროლი.

ოგინსკის ნადირობა სრულიად დაავიწყდა და საჩქაროდ დაბრუნდა შინ. იმავეს დღეს საღამო ჟამზე მი-აგებეს კარეტა ელჟებეტას და მოიყვანეს ოგინსკის მამულში ნაბოროსკეში. ელჟებეტას დახვდა სასახლეში, საუცხოვოთ მოწყობილი და შემკობილი ოთახები, მსა-ხურები დარიგულნი და ყოველივეში სიუხვე. მეორე დღესვე იახლნენ მსწავლულები, წარსდგნენ და დაუწყეს სწავლა ელჟებეტასა, რომელსაც იმათ გარდა მიუჩინეს გუვერნანტკებიცა. (ოსტატი ქალები) ყველას უკვირდა ელ-ჟებეტას ბუნებითი ჭკუა და მიჯელობა ყოველ საქმეზე მასწავლებლების ხელში, მოკლეს ხანს, ისე შეიცვალა, რომ ველარავინ სცნობდა უწინდელს გლეხის ქალსა რომელიც მართლად დაემსგავსა კარალევასა. ანგელოზე-ბრივი მშვენიერი სახე, თეთრ წითლად, ვარდივით. აყ-ვავებული. ვარსკვლავივით ბრწყინვალე თვალები, ტანი წვრილი და მაღალი, ნარნარათ მიმორხევა და სიარული, სიტყვა პასუხი სასიამოვნოს ღიმილით შეერთებული, დიდ კაცური და წყნარი, ყოველივე ეს მოითხოვდა, რომ ქალს მისცემოდა სოფლის დიდება.

იმ დროს ოგინსკის მსგავსნი დიდკაცები, ხშირათ მიიზიდავდნენ ლამაზ დიდ კაცის ქალებსა, მაგრამ ამ შემთხვევაში თვით ოგინსკი დამარცხდა: სულით და გუ-ლით შეუყვარდა იმას ელჟებეტა. ხალხშია, ხმა გამოვი-და რომ ელჟებეტა ჩქარა შეიქნებოდა გეთმანის მეუღ-ლე; მაგრამ, ოჰ უბედურებავ! ოგინსკის აღარ დასცალდა ასრულებინა თვისი გულითადი წადილი. ელჟებეტას სიმშვენიერემ მიაწია კაროლამდინ, რომელიც იყო დიდი

პატივისმცემელი ლამაზ ქალებისა; კაროლი უცებ ეწვა სტუმრათ ოგინსკის ნაბორსკში, რომ ენახა ელჟბეტას სიმშვენიერე.

ოგინსკის გაუკჳრდა უეცარი მისვლა კაროლისა, რათგანაც არ შეატყობინეს წინათვე, როგორც ჩვულავ, კაროლის მოსვლა.

—რა მიზეზია, ბატონო მიხეილ, ჰკითხა კაროლმა გეთმანსა, რომ კარგა ხანია აღარსად ჰსჩანხართ?

—მე მამულის შემუშავებაზედ დავრჩი შინა, ბევრი საქმე გამომიჩნდა და ვეღარ ვიახელ თქჳენს დიდებულებას.

—მე შევიტყე შენი ავნტყოფობა და მოვედ შენს სანახავათ,

—უმდაბლესათ გმადლობთ, მე ყოველთჳს კარგათ გახლავარ, შეცთომით მოუხსენებიათ.

—მაშ მართალია, რომ შენ ვითომც სიყვარულისაგან თითქმის ჭკუაზედ იყო შეშლილი?

—იქნება, თქჳენო დიდებულებავ

— და ისიც უბრალო გლეხის კაცის ქალისაგან?

—სიმშვენიერე ქალისა, ჩემო გელმწიფევ, როგორც ფრანცუზის ანდაზა მოგვითხრობს, უმეტესია ყოვლის ამაო სოფლის დიდებაზედა, და არა რაჲ არ დაიმონებს მგრძნობელს გულსა, როგორათაც უმანკო ქალის შვენება.

—ნუ ცელქობ, ნუ ცელქობ. ჩემო საყუარელო მიხეილ, ალერსით უპასუხა კაროლმა, მე ვხედამ, რომ შენ გაგიმსია ეგ თავი ვალტერისა და რუსოს ფანტაზიებითა, იმათი აზრები ისმარების მხოლოდ თეორიაში.

—მე მჯერა, თქჳენო დიდებულებავ, რომ ზოგიერთს შემთხვევაში გამოდგებიან.

—ჰო, მოუჭრა სიტყვა კაროლმა, აგრეც თითქო ისმის.

—თჳთ თქჳენვე, კელმწიფევ, დარწმუნებოდით ამ აზრსა, თუ რომ ქალი დაახლოებით გაგეცნათ, იმისს სიმშჳენიერეს ის ტეორია მოჰყავს არსებაში.

—ვითამ ეგრე ლამაზია ეგ ქალი? ჰკითხა კაროლმა.

ოგინსკიმ ასეთის ტკბილის სიტყჳებით გამოუხატა სიმშჳენიერე ელისაბეტისა, რომ გააშტერა კაროლი, თითქო იმაზედ ლამაზი ქალი ქჳეყანაზედ აღარ უნდა ყოფილიყო

—თუ ნამდჳლად აგეთია ქალი, მაშ ღირსია პატივისა და ურიგო არ იქნება შეიქნას, ლითჳს გეთმანის მეუღლედ.

—ვგონებ უმაღლესის ხარისხისაც ღირსი უნდა იყოს, უპასუხა ორჭოფად ოგინსკიმ. ოგინსკიმ უამბო კაროლს ბოშის წინასწარმეტყჳელება. კაროლი დაფიქრდა.

უნდა ვსთქჳათ, რომ თჳთ კაროლიც იყო მეტად ამაო მორწმუნე, და ამ მიზეზით წარმოუდგა სხჳა ფიქრები; მცირე ხანს შემდეგ, ბძანებლობის ხმით კაროლმა უთხრა ოგინსკის.

—მაშ მაჩჳენე ეხლავ სადედოფლო.

ოგინსკიმ წარბები შეიჭმუხნა. არ ესიამოვნა ამ გვარი კაროლის ბძანება, რადგანაც კარგა იცოდა, რომ ის იყო დიდი მოტრფიალე ლამაზის ქალებისა და ამის მიზეზით ვერა ბედავდა ელისაბეტას ჩჳენებასა. ამიტომაც

გაჩუმდა და არა მოახსენა რა.

—აჭა, შესძახა ხმამაღლათ კაროლმა, გეტყობა შენ შიშობ გვიჩვენო წორეთ ისე, როგორც ვერ გამოგიცხადებია შენი აზრი, მოიგდო ხელში სახელმწიფო გვრგვნი. მიკჳრს, განაგრძო კაროლმა დაცინებით. ქმარს მომავალის კარალევასას ანგი რათ უნდა ჰქონდეს ეჭვი. რომ თჳთონაც შეიქნება კაროლათა, ნამეტნავათ მაშინ, როდესაც თვალთმაქცს ბოშას ქერის ყრით ადრევე შეუტყვია. დიდათ შემცდრი კი ბძანდები მაგ აზრზედა, გამიგონე, უფალო მაგნატო, მე ამ საქმეზედა უეჭველათ მივწერ ვალტერსა.

ვალტერს იმ დროს დიდკაცობა მეტად პატივსა ჰსცემდა და ოგინსკისაც დიდათ მორიდება ჰქონდა იმისი. ამის გარდა ოგინსკიმ იცოდა, რომ კაროლი არ მოეშვებოდა. რომ არ ეჩჳენებინა ქალი, და რომ გადარჩენილიყო კაროლის დაცინებასა, გაბედა, წარუდგინა ელჟბეტა და თვითონკი მოშორდა.

რაკი დაინახა კაროლმა ელჟბეტა, დიდათ გაუკვირდა იმის სიმშჳენიერე. თითქო აირია და ჯერ ხმა ვერ გასცა, რადგანაც თავის სიცოცხლეში იმისთანა მშვენიერება არსად ენახა, კაროლი დღე და ღამე გართული ქალებში, გავითარებული იმათთან ბაასობითა, ელჟბეტას კი ხმა ვერ გასცა, ისე შეკრთა და ისე გაქჳავდა, რომ არ იცოდა რა საგანზედ დაეწყო ლაპარაკი.. რამდენიმე წამის შემდეგ უთხრა:

—მომიტევეთ, რომ შეგაწუხეთ.

—რას მიბძანებთ, თქჳენო დიდებულებავ, ჰსდიდეს

რი იყო ქალი კაროლიის ტყვილის იმედებზედა, და როგორ წარმოიდგენდა რომ ის უნდა გაუბედურდეს და მწუხარებით მოიკლას თავი.

ოგინსკი დიდათ სწუხდა კოროლის უკანონოს ქცევაზედა, იმის ღალატობაზედა, მეტადრე მეგობრისაგან, ჯავრისაგან აღარა ჰქონდა მოსვენება, სისხლეს მტრათ გადაეკიდა და დროს მოელოდა მაგიერის გარდახდასა. კაროლი ამათ ცდილობდა კიდევ დაახლოებასა გაგიჟებულს და გამწარებულს ლეთმანითანა. მაგრამ ვერა გაასწორა. იმ დროშია იყო შემდგარი კონფედერაციის საზოგადოობა, რომელსაცა ჰქონდა დასაღუპავი დიდი ძალა როგორათაც კაროლზედა, აგრეთვე თვით პოლშაზედა. ოგინსკიც მიემხრო იმ საზოგადოებასა, რომლითაც დიდათ შეაწუხა კაროლი, რომელიც დარწმუნებული იყო რომ გეთმანი გადუხდის სამაგიეროსა.

რამთენიმე ჟამი, ელჟბეტა იმყოფებოდა კაროლის სასახლეშია, ხოლო თითქო იმედ გარდაწყვეტილი შეიქმნა გამხდარიყო კარალევათა, რადგანაც კაროლი იშვიათადა შებძანდებოდა იმის ოთახშია, მაშინ ცხადად დაინახა რომ დიდათ მოტყუვდა და რაღას უშველიდა, კაროლი გაგრილებული ელჟბეტის სურვილისაგან, აღარ ინება იმის შენახვა სასახლეშია, მაშინ დაიბარა ერთი პოლშის აზნაურის შვილი, რომელსაც უწოდებდნენ გვარათ კროლ, პოლშურათ ითარგმნების კაროლ, იმაზედ ჯვარი დაჰსწერა და სასახლიდამ დაითხოვა, ვითარცა გახდა კარალევათ. საცოდავი ქალი იმ სახით გაუბედურა და შეარცხვინა, რომელმაც შესწირა კაროლს თავისი უმანკოება. ერთს სა

ღამის ჟამსა გართალი, დაფიქრებული ბძანდებოდა თავის სენაკში. იმ დროს მიართვეს დაბეჭდილი წიგნი, სჩქა-როდ გახსნა და წაიკითხა:

## თქუენო დიდებულებავ!

«ცაში ღმერთი და ქუეყანაზედ კელმწიფე ეს ორნი ხართ ჩუენი მოსამართლენი. შენ ბძანდები ჩუენი ქუე-ყნიერი მეფე გჳრგჳნოსანი, ჩუენც ვართ შენი მორჩი-ლნი მწყემსნი, შენგან მოველით, მეოხებასა, სამართალსა ნუგეშსა. მაგრამ შენკი ჩუენ გვტანჯავ და აგრცელებ ბოროტებასა, შენ ხარ ჩუენი მსაჯული. შენი ვიღა უნ-და იყოს, თუ არა უზენაესი მეუფე ცისა და ქუეყნისა, რომელსაც რას პასუხს აძლევ შენს უსამართლობაზედა? შენ გვიჩუენებ ცოდვილის გზასა. ეგ არის მეფის სჯუ-ლისა და მართლ მსაჯულებას? ეგ შეჰფეროდა ჩუენს მე-გობრობასა? მე ვიყავ შენი უქუეშევრდომილესი მორ-ჩილი მონა, ახლა რაღა უნდა ვიყო? რას ემართლებოდი იმ საბრალოს უმანკოს ქალსა, რომელმაც თავი შემოგ-წირა და შენკი შეარცხვინე საქუეყნოთ, შენ ასე გგონია რომ მეფე რომ ბძანდები ვერავინ მოგკითხავს შენს უსამართლობაზედა? ღმერთი! და აღსრულდება კიდეც საღმრთოს წერილის სიტყუა «რომლითა მიუწყოთ, მო-გეწყოთ თქუენვე» ამ წიგნს გამოვაცხადებ საქუეყნოთ და გარდავსცემ შვილის შვილთ. დაეხსენ იმათ განსაჯონ ჩუენს შორის ურთიერთი მდგომარეობა, და იმათვე

მიაგორნ დამნაშავეს ღირსეული სამართალი.

ლიტოვსკის გეთმანი ოგინსკი »

ელჟბეტა ჩვეული ხელმწიფის სასახლეში ცხოვრებასა, უკანასკნელი მდგომარეობა ვერ შეითვისა, სწუხდა დიდს ხანსა ავით გახდა და ჩავარდა ჭლექმაგვებათ, მოიწვიეს ექიმები, მაგრამ იმათი წამალი არ მიიღო და მოახსენეს: ბატონებო!! თქვენ არ შეგიძლიანთ შეიტყოთ მიზეზი ჩემის სნეულებისა თქვენ ბრძანდებით მკურნალები სნეულებისა და არა სულისა, მე ვარ ავათ სულით, განა გაქვსთ თქვენ ძალა იმის წამლობისა? ჩემს სულს ღრღნის მძიმე სენი. რომლის განკურნვას ვერ შეიძლებთ, თქვენვე დამერწმუნებით, რომ ზოგს ერის შემთხვევაში ვერ მოხვდებით ჭირის მიზეზსა და შეწუხებულს სნეულს [illegible] სასიზღვრის წამლებითა, გმადლობთ, ნუ შეწუხდებით. ჩემი წამალი ზეცაშია! დაითხოვა ექიმები, რომელთაც მეტად შეშინდა და იმედ გარდაწყვეტილი შეიქმნა თავის სიცოცხლეზედ. მოითხოვა მოძღვარი ლოცვა გულთხევისათვის. მომაკვდავმა სნეულმა დაიწყო მონანება, ემთხვია ჯვარცმასა და მდუღარის ცრემლით მოახსენა მოძღვარსა: მამაო, მოახლოებულ არს უკანასკნელი ჟამი ჩემ-ის სიცოცხლისა. მე ვარ დიდი ცოდვილი; ამარის სოფლის სიტკბოებისათვის წავწყმიდე სული ჩემი, დიდებამა და პატივის მოყვარეობამა მე შემიტყუეს და ვუღალატე ჩემს ერთგულს მეოხს გვამსა, რომელმაც არა არისებიდამ მომიყვანა არსებაში, ჩემის მიზეზით სისხლის მტერი შეიქმნა თავის მეგობრისა. მე არ ვშიშობ სიკვდილი-

საგან. მხოლოდ სვინდისით წარსდგები სამართალშია რით ვიმართლო თავი მე ცოდვილმა, რომელსაც არცა ვარ ღირსი ლოცვა კურთხევისა, მაგრამ ვევედრები და თაყვანსა ვცემ ღმერთსა, შევაისანოებ ჩემს მცოდვებსა, დაიქჳრნეც კურთხეულო მამაო შემიბრალე მე ცოდვილი, მიმჳამაგლო ღმერთისანა, იქნება შენმა მხურვალემ ლოცვამ განჭვრნოს სული ჩემი ყოველის შეცოდებიდამა, დაიხსნას საუკუნოს წარწყმედილებისაგან, ვეღირსო კიდევ მოტევებას ჩვენის უზენაესის მეუფისასა!.. ამ ლაპარაკის შემდეგ მეტად დასუსტდა და გაჩუმდა გადასვენებული. ჩამოსდიოდა ღვარივით ცრემლები და იმ დამდნარის მომაკვდავს სახეზედ თითქო ნათელი ედგა. რამოდენიმე წამის შემდეგ მოსურიელდა, აახილა თვალები და მოახსენა მოძღვარს: მამაო, მე ვარ ობოლი, უდედმამო, არავინა მყავს რომ წირვა ლოცვით მომიხსენიოს. მე მრჩება ძუძუთ შვილი. შეიბრალე ის უმანკო ობოლი კრავი, იქნება იმან მაინც ოდესმე მიკურთხულოს სავლავი, ის მოიგონებს დედასა და ჩემს ხმას ყურსად გაიგონებს!.. მომაკვდავმა თვალები გააშტერა ჭერში, აგერ როგორ მოიცდის მამაო, იმათ უნდა გაეჭყუჩ. დაუჭირა ყელი მოძღვარსა და უკანასკნელათ მძლავსდა წაიჩურჩულა: მაკურთხე... შენყობა მიბძანე.. ვეშიდ ბი... და განუტევა სული. მოძღვარმა თვალცრემლით გულმხურვალე დაუკრიტა, შენდობა უთხრა და გამოვიდა.

რომელსაც გაეგონა ოციისავე შეეტყო იმისი სიკვდილი, დიდათ შეწუხდა, აკურთხებინა საფლავი და იმაზედ აუშენებინა ძეგლი, რომელზედაც დაიწერა აქა განისვენებს საბრალო უმანკო მსხვერპლი, წამეთევეელნო

შენდობა მიბძანეთ.

მიხ. ჩივიანი.

---

# წრეს გარდასული წრეში შემოსულს.

.... შენ გსურს მარადის ყმაწვილი კაცი,
ამას არ ვსტყუი, არ უნდა ფიცი;
რათ შემიყვარებ? განა არ ვიცი,
შენ ჯერ ნორჩი ხარ, მე კი მოხუცი...
ფიქრმა და დარდმა სული დამადნა,
ადრე დამაჭკნო, დამაძაბუნა,
ორმოცდა ათმა წელმა გამლუნა,
კისერში მაგრა ჩამიკაკუნა!
რათ შემიყვარებ? განა არ ვიცი,
შენ ჯერ ნორჩი ხარ, მე კი მოხუცი...
შენ გესიზმრება ლოყა წითელი,
თმა შავი ბიჭი, გულის შემწველი,
ჰქონდეს მხარ-ბეჭი და წვლილი წელი,
ახლად ყვაოდეს, როგორც რომ ველი-
რათ შემიყვარებ? განა არ ვიცი,
შენ ჯერ ნორჩი ხარ, მე კი მოხუცი.
შენ გაგაწითლებს, თუნდა სიზმარში,
ვისაც არ უჩანს ჭაღარა თმაში,

შენ აგაყრუოლებს, გინდა ყინვაში,
ამწვანებული ახლათ ულვაში!
რათ შემიყვარებ? განა არ ვიცი,
შენ ჯერ ნორჩი ხარ, მე კი მოხუცი..
შენ გინდა ცელქი ბავში გეტრფოდეს,
შავთა თვალთაგან ცეცხლსა აფრქევდეს,
ტკბილის ღიმილით გულსა გილხენდეს,
თავს გევლებოდეს და გაცელქდეს...
რათ შემიყვარებ? განა არ ვიცი,
შენ ჯერ ნორჩი ხარ, მე კი მოხუცი...
რათ გინდა ჩემი გამოცდილება,
ჭკუა დამჯდარი, ფიქრთა ქნილება?
რას აქნევ ჩემსას ან ერთგულებას,
რაკი მეწვა ესე ცვლილებას?...
რათ შემიყვარებ? განა არ ვიცი...
შენ ჯერ ნორჩი ხარ, მე კი მოხუცი. .
მარამ ლამაზო, გული არ ჭკნების,
წინწკალი მასში ცხოვლად ირწნების;
თუ მოეკვრე—მისწრაფულ ალენთების,
იფეთქებს, დაგწვავს, თვით დაიწვების?
—თუკი დაიწვ, რათ შემიყვარებ?
ტუჩთა ტუჩებზედ რათ მომაკვრებ?!..

თ. რაფიელ ერის-თავი.

## ცისკარზედ მიმავალი.

ზამთრის ღამეს ბნელს წყვდიადში,
ყურს შემომესმა რეკა ზარისა,
მეწადა წასვლა ცისკრად საყდარში,
ფიქრი განვჰფანტე სიზარმაცისა.
ავდექ, შევუდექ გზას საყდრისასა,
მაგრამ ზუზუნით მცემდა ნიავი,
და ალაგ ალაგ ბუქს თოვლისასა,
თითქმის მუჴლამდის შევერეოდი.
ღრუბელი შავი ჰფარავდა ცასა,
ბჟუტვით მნათობნი ქუჩში დასცურავდნენ,
მთასა და კლდესა თეთრად მოსილსა,
ჯანღი გარშემო შემოხვეოდნენ.
ქუჩესად ყოველგან მდუმარებას
მოეცუა მცხოვრებთ არე მარენი,
და ხანდისხანვი თითქო ვაებას
გამაგონებლისენ მამალთ ყივილნი.
ახლოს მივედი რა კარის ბჭესთან,
არა სულდგმული არ სწაწანებდა,
განვჰჭვრდი, განვყურდი და ჩუმს განვალთან
გოდების ხმაზედ მოთქმათ მესმოდა.
შევჰხედე, ვნახე ქალი კუნჭულში,
მდუღარეს ცრემლით დაქოქოთებდა,
თეთრი ზეწარი ეჭირა ჴელში,
თითქო რომ ვისმე ზედ აფარებდა.

ისევ დასტაცა მან ორივ ჴელი,
და მკერდს მიიკრა ამ სიტყვებითა:
ყრმა ხარ უმანკო და პირმშო შვილი,
ვით გარდაგაგდო ჩემის ნებითა.
აჰა წყლული ეს ძუძუ მკერდი,
მოწოვე მაინც უკანასკნელად.
თუ გიმანება, რას სლუკსლუკდები?
ხუიუ მიიღე ეს საგრძნობლად:
რომ უბედური შენი მშობელი,
კაცთა ბუნების საზღვარს გასცილდა,
დედა-მშვლური შემწუწლი ცეცხლი,
გულს დაიტია და არ დაფერფლდა,
მაგრამ, ვაჲ, შვილო ნეტა იცოდე,
ყოველი ჩემი გულის პასუხი,
რომლის გამოცა დღეს ვარ შემცოდე,
აი, ეს გმირიც წევს ამ საფლავში.
არა, ზრალს არ ვსდებ ჩემს საყვარელსა.
ფიცით შეკრულნი ვიყავით ორნი,
თჳოვე ვიმოწმებ წმინდას ტაძარსა,
ქორწილი გვწადდა ჩვენ სჯულიერი.
მაგრამ სიმუხთლემ ამ სოფლისამა,
სიკვდილის ცელი მას მოახვედრა,
და სიყვარულის მძიმე ისარმა,
მე ხომ სრულებით გამომაშტერა.
ვერვის განვენდე ამ აღსარებას,
რომლით ყოველს ჟამს უნდა ვიტანჯო,
ჩუმათ მოვსთქვამდე ცრემლით ვაებას,

ცოცხლითვე კუბო თავს დავიფარო.
  დედა არა მყავს, არც ძმა, არც მამა,
გულის ნაკვეთი ამ ქუეყანაში,
ობლათ დამბადა მე ზეციერმა,
ყოველ დღივა ვარ სხჳს მონებაში.»
  რა ეს მომესმა მსწრაფლ მივეფარე,
დანგრეულს კედელს იქით მხარესა,
ჩუმათ ვუჭვრეტდი დიდათ მწუხარე,
ქალსა კეკლუცსა ნაზს მშუენიერსა.
  კულადცა მოჰყუა «ტკბილო პაწაწავ!
უნდა მაგ მამის ჩრდილს ჩაგაბარო,
სრულის გრძნობით ჰოი დედავ ღუთისავ-
გთხოვ რომ ჰფარვიდე შენც სახიერო!»
  ეს რომ წარმოსთქუა გულ ამომჯდარმა,
ყმაწვილი კართან მიატრიალდა,
მისწუდა, დაჰკოცნა,—მსწრაფლ ამ კოცნამა,
ყრმა აატირა, შეაღრიალა.
  დასდო ნელიად პირჯუარის წერით,
შიშით აქაიქ მიიხედჳდა,
«ნუ სტირი შვილო» უთხრა სიმწარით,
«მლოცველნი მოვლენ ღამე გავიდა.
  ნეტა ვიცოდე თუ ვინ წაგიყვანს,
განგებ იმ მხარეს გამოვივლიდი,
შორიდგან გსცნობდი მე შენს ანბავსა
შემდგომ შენს წამყვანს შევეხვეწოდი
  ვნახავდი საზრდოს საყვედურისას,
ხომ არ გაძლევენ ტკბილი რძის ნაცვლად.

ალერსით მაგიერ ცემას და ტუქსვას,
არ გექადიან დასაზაგვრელად.
ოჰ, მე, იმ დრომდის თუ მივაღწევდი,
რომ შენც გაგეცნო, ქვე სოფელი,
ამას გეტყოდი ჩაგაგონებდი,
გიყვარდეს შვილო შენი მამული.
მაგრამ ვაიმე, ამაო ნატვრა.
თუ იყოს ჩემგან ამ სიტყუჭწბისა,
მშვიდობით შვილო უნდა ეს გითხრა,
რადგან დრო არის განშორებისა!»
ამ სიტყვასთანვე შეუდგა გზასა,
ოხვრით, ვაებით, ცრემლით მოფრქვეული,
ფრინველნი მოჰყვნენ თითქო მის კვალს,
შექმნეს იმათაც ყივილ ჩივილი,
ხალხიც გამოჩნდა ცისკრის მლოცველი,
მაგრამ მე ისევ იმავ ადგილსა
ვიყავ ოცნებით დაწუხებული,
და ძლივს მოვეგე გონებას სრულსა.
მაშინ წამოვდექ მთლად გაყინული,
ურმისკენ გავსწიე ის მომაგონდა,
არსად ურმა სჩანდა, არსად წამყვანი,
წმინდას გალობას მღუდელი ანბობდა!...

ბ. ბარბარე ჯორჯაძისა.

ალერსით მაგიერ ცემას და ტუქსვას,
არ გექადით დასაჩაგვრელად.
ოჰ, მე, იმ დრომდის თუ მივახწევდი,
რომ შენც გაგეცნო, ქვე სოფელი,
ამას გეტყოდი ჩაგაგონებდი,
გიყვარდეს შჯული შენი მამული.
მაგრამ ვაიმე, ამაო ნატვრა.
თუ იყოს ჩემგან ამ სიტყჳებისა,
მშვიდობით შჯულო უნდა ქს გითხრა,
რადგან დრო არის განშორებისა!»
ამ სიტყვასთანავე შეუდგა გზასა,
ოხვრით, ვაებით, ცრემლითა მორწყმული,
ფრინველნი მოჰყვნენ თითქო მის გვერდს,
შექმნეს იმათაც ყივილი ხივილი,
ხალხიც გამოჩნდა ცისკრის მლოცველი,
მაგრამ მე ისევ იმავ ადგილს
ვიყავ ოცნებით დაწყებებული,
და ძლივს მოვეგე გონებას სრულს.
მაშინ წამოვდექ მთლად გაყინული,
ურმისკენ გავსწიე ის მომაგონდა,
არსად ურმა სჩანდა, არსად წამყვანი,
წმინდას გალობას მღვდელი ამბობდა!...

გ. ბარბარე ჯორჯაძისა.

# მწირი.

ერთსა მყუდროსა, უდაბურს ველსა,
არის უდაბნო, ბერთა სადგური,
ბერები ჰკრეფენ პურსა და ქერსა,
ღვინითაც სავსე აქვთ სამი ჭური.
ერთხელ დავკარგე ნადირობაში
გზა, ღამემ მისწრო, ვეთრიე უგზოოთ!
ბოლოს მოვედი ამ უდაბნოში,
როდეს მზემ თავი ამოყო უცხოთ.
აქ ვნახე კრება ემზადებოდა,
მოწყენის სახით, მხურვალეს ლოცვით,
ერთსა მწირს ბერსა ასაფლავებდა,
გამოკლებულსა ამიერ სოფლით.
რა გაათავეს მათ თვისი ვალი,
მე მომიბრუნდნენ უცხოსა მგზავრსა;
მეც გადავავლე კრებასა თვალი,
წავდეგ ვემთხვე ხელს წინამძღვარისა.
მან მიმიწვა მე სადილათა,
წავედით ყველა სამრეკლოშია,
დავსხედით ერთად ჭამათ ტაბლათა,
რაცკი რამ ჰქონდათ ბერთ იმ დროშია.
რა გავათავეთ ბოლოს სადილი,
მას წინამძღვარსა უძღვენ მადლობა,
მან განმიცხადა თვისი წადილი:
მისსა სენაკსა მთხოვა დადგომა...

იქ მოჰყუა ბაასს, დამოძღურებასა,
ამბობდა: «ერი შეიცუალაო,
კაცი გადვიდა ათსა მცენებასა,
სატანამ იგი ინაცვალაო!»
მეც დავეთანხმე, მარამ გულავ ვჰკადრე:
—თქუენსა კრებაში იპოებიან.
წმინდა მამანი, როგორც რომ ადრე,
ბრწყინავენ მადლით, მადლში ქრებიან!...
აი, დღესაც ერთი მათგანი,
სანთელივითა მოაკლდა კრებას,
წმინდა ნიშანი, წმინდა საგანი,
ვგონებ ჩუენს ცოდვას აძლევდა შუებას?...
აქ წინამძღუარი დაფიქრდა მცირეს
და მიპასუხა ოხვრით და ჭმუნვით:
«დიახაც. შჳლო, ამ სოფლისა წრეს
გადაანიჭა ლოცვით და ზრუნვით...
ის იყო მწირი უკურთხი ბერი,
ამ უდაბნოსა, თჳთ დიდი ხანი,
იგი მოენდო, ვით ღუთის ნიერი,
ლოცვას და მარხვას უძღუნა თჳს ჯანი.
ჭილის შერანგის იყო სამარი,
ზემოდან მარტო ძაძა ჩაცმული,
წელზედან ერტყა თოკის ქამარი;
იყო გამხდარი გაყჳთლებული.
მისი ანბავი არვინ იცოდა,
მისსა ქცევასა ჰკჳრობდნენ ბერნი,
თავისსა ჭირსა არვის ეტყოდა.

მისებრ კეთილთა ვერ იქმნენ ბევრნი.
  რაკი რომ დილა გათენდებოდა,
პირველ მხურვალედ ღმერთს ილოცევდა,
მის შემდგომ გზასა შეუდგებოდა,
შეშისთჳს, წყნარა. ტყისკენ გასწევდა.
  მთელი დღე იყო მწირი ბრძოლაში,
ბერთათჳს შეშას მოსჭრიდა უხვად,
თჳს მოძმეთათჳს ესრედ ზრუნვაში,
არ ატარებდა არც ერთს დღეს უქმად.
  ერთხელ მომიყვა თჳსსა ამბავსა,
როგორ სცხოვრებდა, რასა იქმოდა,
მანამ უდაბნოს ანდობდა თავსა,
და მწარის ოხვრით ასე იტყოდა:
  « მამაო! ერთხელ მეც ვიყავ გმირი,
დღე მინახჳს კარგი. მრავალი.
მარამ ბოლოსა შევიქმენ მწირი.
ამის მიზეზი, ახ, იყო ქალი!
  ქალი, რომელმანც სრული გონება,
თან წარიტაცა, იქმნა მის ყული,
მას მორჩილებდა, აქჳნდა მონება,
ეს ჩემი გრძნობა, სული და გული.
  შემწვა ცეცხლშია, შემაბუგვინა.
რა სიყუარულის მომხჳდა მე ალი,
მერე მიზეზი, ოჰ, იყო ვინა.—
ქალი, მამაო, ქალი და ქალი!!!
  ქალი, რომელმანც ისე დამტანჯა,
რომლისგნით ერთს წუთს ვერ ვისვენებდი,

არა რაჲსა არ მქონდა განსჯა,
მეტყოდნენ რასმეს, ვერას ვისმენდი.
ესრედ ვიტანჯე მე ერთი წელი,
მიმოვიფანტე მებადა რაცა,
და დავივიწყე ჩემი მშობელი,
თჳსი და ტომი, მამა და. ძმაცა.
ბოლოს ერთს ალაგს შევიყარენით
მე უბედური და მზე სულისა,
რაც ვერ უთხარი ერთმანერთს ენით —
აგრძნობინებდა მას გული გულსა.
მაშინ სიცოცხლე ჩემი, იგი მისი,
თითქოს გარდიქცა ნეტარებათა,
მაშინ მივეცით ერთმანერთს ფიცი,
ვყოფილვიყავით მარად ერთათა,
ვით ფუტკარი თაფლს ყვავილთაგან,
აღმოცენებულს ტურფად გაზაფხულს,
ეგრეთ ვსწოვდით ერთმანერთისგან.
მხოლოდ ცოლქმრობის საღმრთო სიყვარულს!
ზეცას ვარსკვლავნი, გავსილი მთვარე,
მოწმათა გვყვანდნენ ბედნიერების,
თჳთოეული თითქოს მღიმარე,
ჩუენ გვინათებდნენ გზას ქორწინების!
ბოლოს შევირთე, წამოვიყვანე
სიხარულით, შინ ჩემი ცოლი;
აქ ხატობაში რომ გავიყვანე,
არ სჯობდა იმას არც ერთი ტოლი...
მას გული ჩემი დასტრიალებდა,

ის იყო ჩემი მაცოცხლებელი,
მასზედ ხარობდა, დასტრფიალებდა,
თუთ საყუარელი ჩემი მშობელი!....

ამ დროებშია ბატონი ჩუენი,
ეომებოდა ურიცხვთა სპარსთა,
მეც ჯარში ვეხმეთ, მოვიგდე ცხენი,
და გავერივე ჩუენებურთ რაზმთა!...

სიყუარულისა მგონია ძალით,
ერთი ათათა მომქცა გული,
რა ვიწყეთ ომი, შიშველის კრმალით,
ამოვახდინე მრავალ სპარს სული.

მაინც არ იქნა დაგვამაბუნეს,
ღალატი იყო, თუ სხუა მიზეზი,
ჯარი მოგუჯდეკდა, რა დაგვაბრუნეს,
ჩემს ცხენს შემოვჭკარ უწყალოდ დეზი!

მოველ ჩემს სოფელს, მრთელი სოფელი
შეჰფარებოდა კოშკს მკჳდრს, მაღალსა—
მსწრაფლ აველ, ვნახე, ჩემი მშობელი
უფრო იცავდა თავისსა რძალსა.

სხუა და სხუა რიგათ დაიყო ჯარი,
მოელო იქ-აქ სოფლებს სრულებით,
მაგრამ დავკეტეთ ჩუენ კოშკის კარი
გულადათ ერთბაშ მტერთა შევებით.

კოშკის კარს მოდგა სპარსი ათასი,
არ შეუშინდით, წინ გადუდექით...
ჩუენ რა ვიყავით? ვგონებ ორასი,
მარამ ღ̂თის მადლით პასუხს გაძლევდით!

როგორც რომ იყო ერთისა სრულს თვესა,
ჟიგერეთ ჯარი იგი მრავალი,
მაგრამ გაუწყრა ღმერთი ჩჳჱნს სვესა,
შემოგველია ტყჳა, წამალი.
შუაღამისას გზა იდუმალი
ვპოვე, გამოველ, თუშებს მივმართე.
ერთის გულითა მომცეს წამალი,
მესამეს ღამეს შინ დავიბადე.
გავაპე ჯარი, შეველ ქურდულად,
გავახარებდი ვფიქრობდი მოძმეთ,—
ვნახე, რა ვნახე, მოესრათ სრულად
თანამოძმენი უწყალოდ ჩჳჱნთ მტერთ,
დამრჩომოდაღა ცოლი და დედა,
ძმა პატარა და მეზობლის შვილი. ..
დამიწყეს დენა ცრემლთ მდუღარეთა,
სწორეთ ვინატრე იმ წამს სიკჳდილი.
დავკოცნე დედას, ცოლსა და ძმასა,
და გავამხნევე შემეძლო რაცა,
მივადექ თოფით ნიშნის ალაგსა,
მე მეწყოდა პატარა ძმაცა.
ცოლი და დედა მიესებდნენ თოფსა,
მომაწოდებდნენ, მე კი ვესროდი,
მრავალსა ვკლავდი მე ზედიზედა,
შემცირებულთა მტერთა ვებრძოდი.—
როგორც რომ იყო ათორმეტს დღესა
გავიმ გრენით ესრეთ გმირულად,
ბოლოს გაუწყრა ღმერთი ჩჳჱნს ბედსა,

ტყუა წამალი დაგვეწვა სრულად!..
  რაჲქნათ? ვხედავთ, რომ არ არის შეჳწლა,
საით წავიდეთ. მივმართოთ რასა?
ვკოცნით ერთმანერთს ვინცა ვართ ყველა;
დედა შვილს, რძალსა, მეზობელს, ძმასა..
  ვხედავთ აპირებს შემოსვლას ჯარი,
ვიცი წაჭმურტლავს მთელს სახლობას,
კაცის სიცოცხლე მაშინ რა არი,
როს ჭხედავს ამა საშინელებას?
  უნდა მენახა განა თვალწინა
ცოლი და დედა შეურაცხ ქმნილი?
და მათ საზიზღარი მტრულის ჴელითა,
ჩვენთა თვალთ წინა მათი სიკჳდილი!
  არა? იმ წამსვე შემოვხვიე,
ურჩივე, ვკითხე იმათაც რჩევა,
ერთბამ მომიგეს. არცვი დაყოვნდნენ:
სჯობს დავიხოცნეთ ნამუსით ჩჳენა!...
  ავიღეთ მიწა, სად გვყავნდა მკჳდელი,—
პირს ჩავიყარეთ, ვეზიარენით,
ვილოცეთ გრძნობით ერთბამად მხსნელი
და ერთმანერთი გადავკოცნეთ...
  მოპოებულსა დიდის ტანჯვით
ცოლს ჩვენს ცხოვრებას და ჩვენსა სულსა,
როგორ არ გიკჳრს, ჩვენის ხანჯლით,
შევეხე მკერდსა, ბროლისა გულსა!..
  არ გვახარე ჩჳენზედან მტერი,
ქართველთ სახელი არ დავმცირე.

და ჩემის კლდით სახლობა მრთელი
ჩემს სატრფოის მამულს მსხვერპლად შევსწირე?
რა რომ შევხვდე ჩემს მშობელს დედას,
სწყუხდა ჯავრითა ამისთანითა,
მკლავმა მიმუხთლა, მას ვერ შეჰბედა,
თავი მოიკლა დედამ დანითა!
თავს ადგა დედას პატარა მჯლი,
იბანებოდა ცხარის ცრემლითა,
აღარ ვარგოდა აქ გული რბილი:
შელი გამოვისჭერ ჩემის კლდითა!!.
მაშინ მე მარდათ კარს გამოვარდი,
მტერს დავერივე გაბრაზებული,
ითოოლ მოვკალ დავიცხრე დარდი,
წამოვედ აქეთ გამწარებული..
დავტოვე მე ჩემ სოფელი
და მე, ცოდვილი, შემოვედექ მწირად,
მომტევებოდა ეგებ უფალი,
ვევედრებოდი ამას ღმერთს ხშირად...»
—ამის მომქმედი აქა სცხოვრობდა
როგორც წელან ვსთქვ ლოცვა, შრომითა,
სოფლებში ხშირად ხორბალს მოჰკრეფდა,
არვის უნახავს იგი წყრომითა...
ჩვეულებრივა ერთხელ გავიდა,
იმ დღეს უნახავს არც ერთს არსებას,
მის გზისა კვალსა ვინა ჰნახვდა,
ვინ მიაქცევდა მას ყურადღებას...
ერთბამ უდაბნოს საღმრთო კრებათა

გადაივიწყეს ეს ჩვენი მწირი...
—ეს სჭირს ამ სოფელს სნეულებათა,
რომე არა აქვს მას ერთი პირი:
განშორდა რა კაცს, ვინც უნდა იყოს,
მამა არის, ძმა, ცოლი, თუ შვილი,
იქნება ორჯერ ამოიოხროს,
შემდეგ ივიწყებს დროც, მინაც გრილი. .
ბოლოს, რა კარგა ხანი გავიდა,
ერთხელ, ვიღაცა, უდაბნოს კარსა
მოადგა, შემდგომ შინ შემოვიდა
და კითხულობდა აქ წინამძღვარსა.
«მამაო, მე ვარ აგერ იმ ტყეში
დღე მუდამა, ვმწყსი ერთის ფარა ცხვარსა,
რა ველარ გასძლებს გულზედ სიცხეში,
იქ შევაფარე, იმ მთას ტყიანსა,
იქ ვნახე აგერ სამი კვირაა,
ერთის ხის ძირში ვიღაც სნეული,
წევს უძრავათა, უსმელ უჭმელი.
უფრო ბერს მოჰგავს იგი ქული.
დედა მიწაზედ უწყალოთ გდია,
ჭილის პერანგი ტანზედ აცვია,
შავი ფარაჯა ზედ ჰხურავს დია,
მოჯირნახულე არა ჰგავს კაცი.
რა რომე ვნახე ეს უცნაური,
მივაწოდე მას რამდენჯერ პური,
ვკითხე: ვინ არის და სადაური;
მაგრამ მან არცკი მათხოვა ყური...

მოველ, ბატონო, რომ მოგახსენო,
აწ სულს უტევებს, გაგზავნე ვინმე,
ეგება მაინც მით მოვისწრო
და აღსარება მას ათქმევინო...
—მსწრაფელ წარმოვსდექი ავიღე ჯვარი,
და დამურვებით ტყისკენ გავსწიე,
კიდეც ვშიშობდი, არ დამხვდეს მკვდარი,
ჩქარა ვიდოდი, მუნ მივაწიე.
მწირმა რა მნახა თავი აღიღო,
„ამობრძანებულა აქ წინამძღვარი!“
კნავილით ასე ხმა ამოიღო
და მოითხოვა თვისი მოძღვარი...
მოწიწებით სთქვა: „მოკლედ მამაო,
მომივიდა აწ დღე აღსასრულის,
რათ დავიტანჯე და რისაგამო,
აღსარებას ვსთქვა, დრო აწ სრული.
ნეტა ეს ტანჯვა ღმერთმა მაგმაროს,
და არ წამიწყმდეს მე ცოდვილს სული;
ნეტავი მაინც მით შემიბრალოს,
მე ვით უღირსი, ყოვლის გზით კრული...“
რა ეს სთქვა, იმ წამს თითქოს მოამხნევდა,
ის საცოდავი მწირი, უძლური,
ბერი დაჩოქით კრძალვით უსმენდა,—
მოიძახვლა ორივე ყური....
—წამოვიყვანეთ უდაბნოს მწირი,
ვეღარ მობრუნდა იგი ბეჯკრულია:
კნაოდა, გახმა, როგორც რომ ჩხირი,

გუშინ დილის საბრალომ სული...
—ეს იყო მწირი ბერის ანბავი,
აქ თუმც სრულებით არვინ იცოდა,
რომ გარდახდოდა მას ბევრი ავი...
—მოინანია მან თვისი ცოდვა!...»
რა გაათავა, მადლობა ვმ'დრე,
გამოვეთხოვე აქ წინამძღვარსა,
დავტოვე მყუდრო უდაბნო ადრე,
დაფიქრებული მ'უდექ გზასა.

ივ. კერესელიძე.

ქ თელავს.
სეკტემბრის **5**-ს დღეს, **1862** წელსა.

## მეფის ირაკლის 2-ს ისტორიაზედ.

კითხჳა.—«უგულოჳ როდის მოხჳედ?»

პასუხი.—«აწ შენსა მოველ, შენსა ტანადობასა ვეტრფიალები, და შენი უდასტუროდ არ წავალ»

იქნება იმ რუიამში კიდევ ახსომდეთ?—

სწორეთ ამ მაგალითსა ჰგავს ჩჳენი შეხჳედრის ამბავი.

ამ ახლოხანში, ერთს ჩემს მცნობთან წავედ, იქ ერთი ჩემი უცნობი დამხჳდა, თურმე არც იმას ვენახე თავის დღეში და ისე გაოცებულსავით დამხედით უჳელანი. სახლის პატრონმაც როგორადაც აგჳაცილა გაცნობა, მაგრამ ქალი ტუჩზედ დაიდო და რაღაც ანიშნა იმ ახალს სტუმარსა. ის სრულებით ვერ მიხჳდა, მე ხომ რა მეცოდინებოდა. თურმე რა იყო? ჩემს კიცხჳაში ყოფილიყო და აგრეთვე მოჭყჳა თავკულობით ჩემს კიცხჳასა, არა დასდიარა სახლის პატრონის და ჩემს უცნობლობას ხომ რაღას დასდევდა სახლის პატრონი დიდათ თურმე შეწუხარებდა, მაგრამ რას უზამდა ფუჭსა ენა მრავალს?

თქჳა და თქჳა, ბოლოს დაასრულა რის ყოფით. შემხჳდა რიგი პასუხისა.

—ძნელია, ვინც საგნის რისამე დაწყებას სწორეთ არ იცის, არც წამოსული იმისი საქმეები და არცარაფერი მისი არასტორიითანა და თავისებურად, ესე იგი გაუჩხრეკლად სჯის ისიც, ეგლიგანტურისა უბნობითა, ნახევარ პირმოქცეულის ბისტიანის ცალის თუალით, ქვეყნის გომბიოს გახუმებულის ენით გამოსურმული იქნება ან ასე იყოს: ათჯერ გიყავ და ვერარაო, ვერა ვნახერაო. იყოს აგრე, როგორც არის, ნუკი დაფიქრდებიან სხჳანი. შე-დალოცვილო, კეთილი მამის სული გაგიშჳა და გაბრაზებულის მამის ნაცჳლის სულს დაივიწყებ გულ მოდგინედ, როგორია თავხედობის გაძღებულობა მგ? ოჰ, დიდად აწყინა ჩემი ეს სიტყჳბი, მაგრამ ქართჳელების გული წმინდა არის, ჭაობის ხავსი არ გჳაგრავს, მორს გაგვეჳტს, მალე შეურიგდით. ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ეს წმინდა გული ქართჳელებსა, ბევრი შეცოდება რომ გვქონდეს ჩჳენ სჳნიდისთან, ჩჳენი გულის სიწმინდე, ღჳთის წინაშე მაინც დაგვადებს.

შერიგების შემდგომ, მეც ნება ვთხოვე რამდენიმე სიტყჳა მეთქჳა, ზოგიერთს იმის ლაპარაკზე.

—თქჳენ რომ წეღანა იქჳთ: მეფე ირაკლი, ისიც მეფე ირაკლი. იმას ხერხეულობის ისტორიით ვიცით რაც ყოფილა, ესე იგი—არაფერი, და ვინც იმის ქებას ამბობს, სულ ტყუილია, სხჳათა შორის, ეს სიტყჳაც თქჳენი არის?

თავი დამიქნია: მართალიაო.

მაშ რახან აგრეა, ჯერ მეფის ირაკლის ისტორიის გვიამბობით და მასუკან სხვასა.

პირველად რომ დაიმკვიდრა საქართველო რუსეთმა, იმ დროს საქართველოს მართველის პეროხოვი (მთარგმნელი) მოვიდა დივანბეგ თ. ომან ხერხეულიძესთან, სთხოვა მეფის ირაკლის ისტორიის დაწერა, შემოკლებით, რადგან მომატებული თარგმნა არ შეიძლიან რუსულათა. ამ დროს მეფის ირაკლის დივანბეგი თ. ზაალ ბარათაშვილი იქ იყო, თავისის მეფის ირაკლის თანა დამსწრე ყოფილვან. დივანბეგი თ. ხერხეულიძე მიუბრუნდა.

—ზაალ დივანბეგო, თუმცა ბევრს ომებში ვყოფილვარ მეფეს ირაკლისთან და იმისი ანბები სხვებზედაც ვიცი ბევრი, მაგრამ შენ უფრო განუშორებლად იყავი იმასთან, ურიგო არ იქნება შენც შემწეო და იმისი ისტორია ავაშენოთ.

წავიდა ზაალ დივანბეგი, და დაჯდა თურმე და რავდენიმე დღე მხოლოდ სია ჰწერა მეფის ირაკლის ანბებისა. როდისაც შეუკრებულებინა, წამოიღო, და ერთი დიდი სია მოუტანა ომან დივანბეგს ამ სიტყვით:

—რაც მე შემიტყვია, ან ვყოფილვარ სადმე მეფეს ირაკლისთან, ეს სია ის არის და, რაც ახლა შენ იცოდე, ანუ თუ აკლდეს რამე ამ სიასა, ის შენ დაუმატე და იქიდგან ერთი დიდი ამბავი შეადგინე მეფის ირაკლისა, სწორე. ვიცი, თუ სრულად დაიწერა იმისი ისტორია, განსაკვირვებელი იქნება!

ომან დივანბეგმა რომ შეასრულა, ზაალს დივანბეგს წაუკითხა,—უკმაყოფილოთ უთხრა ზაალ დივანბეგმა:

—ბიჭო! მართლა ეგ არის მეფის ირაკლის ანბავი?

—ზაალ დამბეჭველო? ასეთი დრო მოვიდა ახლა, რომ ამასაც არავინ წაიკითხამს.

ამის გამგონე, გაკვირვებით წამოავლო თავის ხიას ქუდი და გულჯავრიანად წავიდა შინა. ეს ანბავი ომან დიამბეჭვის დიახ მახლობელმა მიამბო, სწორეთ იქ თანა დამსწრემ. ამის შემდგომ, რაღა უნდა ვიცოდეთ მეფის ირაკლის ამბავი რამ, თუ არ გაგვიხილე. მაგრამ მაინც იმის მცირედის ისტორიით, იმისი საკვრველება სრულიად სჩანს, რაც უნდა სთქვათ თქვენა. დიდს ფრიდრიხოსთან მეფის ირაკლიზედ ლაპარაკი. ცხადათ დანახვებს, რაც ყოფილა ისი! (ცისკარში თ. დ. მაღალაშვილის ნათარგმნი.) თქვენ რომ გიდევთ იქით: უწინდელს დროში, არც კაცნი ყოფილან. მაგის საშაგიეროთ, იმ ზაალის დამბეჭველზედვე მიგიშვერთ ჭკუას.

პირველი: ის ზაალ ის იყო, რომელსაც ერთს დღის ომში მოხვდა მარჯვენას ფერდში ტყვია და მარცხენაში გავარდა. საჩქაროთ რო ვერ მოისწრაფა, მარჯვენაში თავის ცხვირის ჯელსახოცი დაიცო, მარცხენაში ბამბა და ისე გაურია თურმე ომში, სადგანაც ყველას უკან გამოსულიყო ომიდგან.

მეორე. რუსეთის მთავრობის დროს, ჩვენი სოვეტნიკები რომ დაუნიშნათ, დიანბეგი თ. ზაალ ბარათაშვილი დუშეთის პრავლენიაში (მაშინ ისპოლნიტელნი აკსპედიცია) ამორჩიათ სოვეტნიკათ. იქ მომხდარიყო აქციზის ანბავი ქ. ტფილისზედ ლუხისა. (ბაყი.) უცერად მიეტანათ ჟურნალი, ასე ჩვეულებად გაურჩეველად

ჴელმოაწერსო. უჭირდა რომ შეეტყო, ჰპასუხა:

— მე მიხჭირდილევარ თქჳენს კანონსა. თუმცა კანონით არ შემიძლიან რაც უნდა გაბედო მე ეხლა, მაგრა მივისრია პასუხისგებას.

აეღო კალამი და ის აქციზის ჟურნალი სულ წაუშალა. გაკჳრვებით წამოველოთ ჴელი ჟურნალისათჳს და სა-ქართოდ*, მიეტანათ მთავარმართებელის ციციანოვისათჳს, რომელსაცა დაებარებინა და მრისხანედ ეთქუა.

— შენ როგორ გაბედე ამისთანა უკანონო საქმე? —

პასუხი. — კანონივი არ ამოიხოცება ამ ჟურნალის წა ბლაჯიით, მაგრამ ეს . , . . . . . თქჳენ არ შეგაწუხებსთ კნიაზო?

— რის . . . . . . . . . რად უნდა იყოს . . . . . . . . . .

— ამიტომ, რომ ეხლა ეს აქციზი, ქალაქის ხალხზე-რო დასდოთ, ამ ღარიბს ხალხზე, ამ ახლოხანში დამ-წვართ დალაგულთა და წამხდართა აღამამადხანისგან, სამართალი კარგი იქნება ბატონო?

კარგა მოფიქრების შემდეგ:

— კნიაზო ფაალ, რასაც ამბობ მართალია. აღმიკრძა-ლავს, აღარ დავკიდებ აქციზს.

აი თუ არა ყოფილან კაცნი, მაგრამ, ევროპიის პო-ლიტიკა რომ არ იცოდნენ, იმისი არაფერი, ამისთჳს მაშინდელის დროს მიხედჳთ, რასაკჳრჳელია, აგრე იტ-ყჳთ.

გუშალად ჩემს კიცხუაში, თქჳენ რომა თქჳთ უბრალო რაღაებიც, იმის პასუხი ზევით თავში გაგითავეთ, რადა

გვითხრათ. ახლა სხუას გაიხსოვთ თქუჱნის ლაპარაკის პასუხისაჲ: ის დამბეგი ჩაალი, ხშირად მოდიოდა მამა-ჩემთან. რომლებიცა სულ ქუეყნის ამბებსა ლაპარაკობ-დნენ, ნამეტნავად მეფის ოჯახისას. თუმცა ღრმა მო-ხუცებული იყო დამბეგი ჩაალი, მაგრამ გონება ისევ ისე ჰქონდა, როგორც ოცდა ათის წლის ქალსა: სიტყუ-ჰაც კარგი, თუალით ძალიან არ აკლდა და სიმხნითაც კარგად მოსძლებდა. ამისთანა ძუელი მოხუცებულები ბევრი მახსოვს, სულ მეფის ოჯახის ნაახლები. ფაქ-ტები არარის გესმის თუ? ამისთანა გაცნობისაგან გამიგო-ნია. რაც დამიწერია, ანუ რასაც გწერ ქალდაც

კიდევ თქუჱნს ლაპარაკში ცხადათ გამოვიდა, რომ გამოჩენილს მწერლობაზედ თავს სდებთ, ისტო-რიის ცოდნაზედ თუ ჩუჱნის ქუჱყნის ამბებზედ ხომ რასაკვირველია. ვინ მოსწყინდება მაგ თქუჱნს მოხიბლებუ-ლი ლითერატორით. მაგრამ რა იქნება, მცირეთაცა ნება ჰქონდეთ, აზრის თქმისა რამ საგანზედ.

კარგი გამოჩენილი მწერალი ანუ მეისტორიე ის არის, ვინც დამჯდარის გონებით იცის დროსა და [illegible] სწერს საქმეს, თუ არა და ჭორების ამ-ყოლი, ბევრს შეცთომილებაში შეჰყავს, ნიმუშად რომ მოვიყვანოთ ისიც.

შარშან ერთმა რუსეთში გაზდილმა თქუა: მიკვირდი-მ, რომ საქართუჱლოში მოველი, სხუა რიგად მეჩუჱ-ნა საქართველო და წარსული დროებიც, ამაში გავიდა კარგახანი, ბოლოს დროს წურილ-წურილად შევიტყე, გა-მოძიებაში რომ შევედ, ვნახე სხუა ყოფილა და აღარის-

ჩემი აზრი სულ შორს დარჩა. ეს სიტყვა იმისა, გვარგად არის ნასწავლი, გარეს სასწავლებელში და დღევან-დელამდისინ, საქართველოს გამოძიებაშია, ამის შემ-დგომ.

ისტორიის დასამტკიცებელი ორი რამ არის, მომს-წრე პირი, ანუ ნამდვილი გაგონილი მოწმობა და მეორე გვარის მეისტორიისაგან ღრმა გამოძიება. რომელის მა-გალითი ვიცით ბევრი. თუ მოწმობა დასაჯერებელი არ არის, ღრმა გამოძიება უნდა იყოს. თუ ესეც არ იქნება და რას მოველოდეთ უბრალოს ლაპარაკისაგან. ნაგავი გაიტაცა ქარმა!

პატიოსანო კაცო! მე რომ მძრახავთ, მე რასა ვწერ დასაძრახავსა?—მე ვწერ უწიგნელის ამბებსა. თუ მიგა და მიგა გამოურკვ რასმე, გაძრახვა ცხადია. ნუ დაგ-წერ?—არ ვიცი რომელი გვარი გონიერი ტენკს ამას: ნუო. ბევრი რომ უნდათ, დაწერონ. ტოლასი ჯავრობენ, რომელთ უნდა დაუჯერონ? მეტყვიან რასაგარეულის ბევრისაო. ჩვენში მეწერლი ამბები რომ ალიწერის ცუდი არის?—რა უნდა იქონ ამისა, ვისაც არ მოუწონებია? მას ისტორიასტოლო-ლიაო, არც წარმატებაში მიცემის ჩვენის ქართველს და არცარა იწვევდა იქედგანაო. ჩვენს ქებულის ამბა-ვი რომ გაიგონით მცნელი, ის ჩვენი მამაპაპის სამინე-ლი გამოცდილებაა. სწავლა არარის?—მაშ რაღ მოითო-ხოვენ მეისტორიეს ქართველის ენის სიბეჭოა?—(რომ-ბე, მეისტორიე სულერთიაა.) აბა ახლა ამისა რა უნდა ვიქმნათ? იქნება ახლა ნამდვილი ფაქტები მამისოგან ოქმებს წინ გასამდგელი? არა მე ფაქტებს არ მოგცემთ

თქჳენ უნდა დამიმტკიცოთ ტყუილი. ჩემო ფაკტები თქჳენ რად გინდათ აბა დამიმტკიცებთ ტყუილს?—არ გაგიშჳებთ გულში ჩამიგდიხართ. მეტი ღონე აღა-რა გაქჳთ, ამის მეტი, რომ თუ ვისგანმე გაგიგონიათ უნდა მოიხრათ იმათი სახელი: აი ამან მოიხრა და ამი-სგან გავიგონეთ. სიმართლის მდევნელი, წმინდა სისხ-ლის მქონე, როგორღა იკადრებთ გაჭირჳებულებასა?—ნუ დამითხოვთ, მოიხარით იმათი სახელი. იქნება ფა-ქტები რომ გაგიმაღლოთ მაშინ, მაგრამ არ იქნა ვერ და-ვახწიე სიტყჳა. ბოლოს მეც წყენის რიგი შემხჳდა და გაჯავრებით უთხარ.

იცით?—რავდენი წლეიწადები, აზუზულმა, ქოფაკებმა საქართველო რომ ჩუმათ ღრღნეს, ღრღნეს და ბოლო დროს სრულიად გამოხრეს! ამისი არაუნდარა შაიტყოთრა? მე ვიცი ეხლა ცნობის სურვილში ჩასცჳიდებით; ნეტავი შეატყობინათ?—იქნება ოდესმე გაიგონოთ!

თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

## Литературный вечеръ.

.... ძლივს არ შესრულდა დიდი ხნის ჩემი აზრი! წარმოსთქუა გიორგი ქარიბერტყოვმა.

ქარი ბერტყოვის მამა გახლდათ ქარიბერტყია შვილი და შვილი შეიქმნა ქარი ბერტყოვი. არ ვიცი, როგორ მოხდა ეს საქმე.

—ძლივს! განიმეორა გიორგიმ და დაიწყო თავის ოთახში აჩქარებული სიარული, შემოსავალი კარიდგან ბუხრამდის და ბუხრიდგან ისევ იმ კარამდის, დადიოდა და ამ სიარულში ფიქრობდა:

—რათა ხანია მინდოდა დამეწყებინა ლიტერატურნი ვეჩერი, მაგრამ არა ხერხდებოდა, ახლაკი, იაიოთ კარგი მსწავლული ყმაწვილები რომ ვიშოვნე, იმედი მაქვს რომ ქართულს ლიტერატურას წინ წავაყენებთ... ამაღამ, აქ, ჩემთან შეიყრებიან და გვექმნება ბაასი ლიტერატურაზედ. კითხვა მათგან და წერილთ თხზულებათ და ჩვენს ლიტერატურას, ვგონებ, სამარიდგან წამოვაყენებთ! ამ დროს შემოვიდა მსახური ქარი ბერტყოვისა—სოლომანა.

—ჩიბუხი! წარმოსთქვა გიორგიმ ბრძანების ხმით. სოლომანამ ჩიბუხი აავსო თამბაქოთი, მიართო ბატონს

და მოახსენა რუსულად:

—ვაკ პრიკაჟიმ, ვაში ბლაგოროდიე! უჟინ სდელამ?..- რა გაგიკეთოთ ვახშმათ?

—როგორ არ იცი, შე დურაკო, რომ მე ბლაგოროდიე არა ვარ,—სიატელსტვო ვარ?..—ნეტო ია—კნიაზ...?!

—ვინავატ ბატონ?..

—ამაღამ ვახშამს ნუ გააკეთებ.—სტუმრები იქნებიან.. (თავის გულში კი სთქვა; სირცხვილია რომ შეიტყონ, გიორგი ვახშამს შჭამს ხოლმეო!...)

—მხოლოდ ზალა კარგათ დაწმინდე. მრგვალი სტოლი შუაში დადგი ნაჭდი გადაფარე! კარს სკამები მიმოუწყე, სანთლები აანთე: თორმეტ-მდის კანდლებზედ და ორი ლამპა სტოლზედ დადგი... სხვას მე გავაწყობ, რაც საჭირო იქნება.

—სლუშაიუ ბატონ? წარმოსთქვა სოლომანმა და გაბრუნდა გასასვლელად, რომ ბძანება შეასრულოს, მაგრამ გიორგიმ დაუძახა:

—მოიცა!... აქ მოვლენ: ივანე ლაფშინოვი, დიმიტრი მოლდაროვი, ალექსანდრე გურგამე, ბარამ ჩინოელი, აპოლონ მრავალ-მარგალოვი, ლევან დიდუღურაშვილი და ბარძიმ ხმა მაღალაშვილი. . სხვა, აღარავინ არ · მამოუშვა, ალაყაფის კარები მაგრა ჩაკეტე. სხვისთვის აღარა გაცისთვის შინ აღარა ვარ, არა მცალიან.. სამოვარი მზათ დაიჭირე, პაპიროსებიც ბევრი იყოს, სხვა და სხვა ნაირი... ახლა წადი!

სოლომანა გავიდა და გიორგიმ ტანთ ჩაცმა დაიწყო.

ნახევარ საათს უკან ქარიბერტყუკმა ბაკენბარდები

ჩამოივარცხნა, ზალაში გამოვიდა, სადაც ყოველივე და-
მზადებული ნახა სოლომონასაგან, როგორც უბძანა.

ზალაში, ცალს მხარეს შკაფები იდგა, წიგნებით სავსე; მეორე მხარეს კიდევ შკაფები, მაგრამ შიგ იყო დაწყობილი: ყანწები სხვა და სხვა ზომისა, აზარფეშები, თასები, ჩარექები, ჯამები, მათარები, სასაყურე და ყოველი ამ გვარი ღვინის სასმელი ჭურჭელი; მესამე კედელზედ იყო გაკრული წითელი მაუდი და ზედ იყო სხვა და სხვა გვარად ჩამოკიდებული საომარი საჭურველი, იარაღი და მეოთხე კედელზედ იყო დაკიდებული სახეები ქარიბურტყოვის მცნობთა და მეგობართა და ამ სურათების ზევით ჩამოკიდებული დასავრავი იარაღები: დაირა, ჩონგური, ჭიანური, დუდუკები, ზურნები დაფი, დიპლიპიტო, ნაღარა, დოლი, სალამურები; ლერწმის და მისხლის ფანდური, ქამანჩა, (სტვირი თავისის გუდით) და თარი;—კუთხეებში იყო: ერთს კუთხეში სანთური იდგა, მეორეში—ქეშულა ჩიბუხები და მათ ზევით სათამბაქო იდგა; მესამეში პატარა სტოლიკზედ: პაპიროსები ღვინოები, წყალი, შარბათი და სტაქნები; მეოთხეში—ჩასაფურთხებელი გოლოფი (სადუშე).

გიორგი ქარიბურტყოვი, როგორც შეძლებული კაცი, არაფერს ჰზოგავდა სახლის შემკობისათჳს. უყვარდა ყოველივე კარგი თავის ქვეყნისა. ცდილობდა გაევრცელებინა ყოველი კეთილი თავის ქვეყანაში, სურვილი ჰქონდა ეზრუნვა ქართულის ლიტერატურისათჳს, შეჰკრებდა ქართულს წიგნებს, მაგრამ თჳთონ ძვირათ კითხუ-

ლობდა მათ უფრო რუსულს ეწყობოდა.

ამ ჟამათ გიორგიმ გამოიღო შკაფიდგან რამოდენიმე ქართული წიგნი დააწყო სტოლზედ. იქავე გაშალა რამოდენისამე ადგილს დასაწერი ქაღალდი და დასდვა საწერელი კალამებით.—რა ეს გაათავა, დაიწყო ჩუქურთულებრივ სიარული, ბოლთასა სცემდა და სთქვა თავის გუნებაში:

**—И такъ, у насъ, сегодня, литературный вечеръ!...**

ამ დროს გაიღო კარები, შემოვიდა ლავანოვი და წარმოსთქვა: ბონჟურ გიგო!

ააა, მოსიო ლავანოვ! **Здорово, братъ, здорово?**

მეგობრებმა ხელი ხელს მოუჭირეს ერთმანეთს.

—რა იქნ აქამდის, რათ დაიგვიანე? მხიარულებით ჰკითხა გიორგიმ ივანეს,

—ვკითხულობდი ტურგენიევის რომანს «**Отцы и дѣти**»!!, უცხო რამ არის, არ წაგიკითხავს? წაიკითხე, ზარალში არ იქნები.

—მე ქართულს უფრო ვეწყობი,—მიუგო გიორგიმ, მე მიყვარს ჩვენი ლიტერატურა: ამ საღამოს სულ ლიტერატურნი ვეჩერზედ ვფიქრობდი... პრანს.

**—Однако, какъ ты переведешь по грузински, Литературный вечеръ?...** ჰკითხა ივანემ გიორგის.

—როგორ გადავსთარგმნი?... ლიტერატურნი ვეჩერი იქნება—სალიტერატურო საღამო, ანუ ღამე; ლიტერატურნოე უტრო, სალიტერატურო დილა.

—ივანემ სიცილი ვერ დაიჭირა და წარმოსთქვა:

—მაგისი რა მოგახსენო! არა სჯობს, რომ გვითქვათ სალიტერატურო მეჯლიში?

—მართლა, ეგ კარგი მოიფიქრე!

ივანემ ჩაიცინა დაცინების სახით და ჰკითხა გიორ-გის.

—ჰიგნიეს როგორდა გადათარგმნი?

—ჰიგნიეს?—წამოსთქვა კითხვის ხმით კარებს უკან და შემოვიდა მოლაროვი,—ჰიგნიეჲ ქართულად ითქმის: არიფანა.

—ბრავო! ბრავო! წამოიძახეს ერთის ხმით გიორ-გიმ და ივანემ და მიეგებნენ დიმიტრი მოლაროვს, მიესალმნენ, ხელი ჩამოართვეს და ჰკითხეს ერთათვე:

—ლიტერატურის ვეზირი როგორდა გადითარგმნება?

—მაგის გადათარგმნას ნუ ეცდებით, თავი დაანებეთ, უპასუხა მოლაროვმა და ზედ დატანებითვე დაუმატა: ანკი რათ გვინდა ისეთი სიტყვები შემოვიტანოთ ქარ-თულში, რომლებიც არ მოეწონება ჩვენს ენას?... თუ შევიძლებთ, აზრი გადმოვიტანოთ და გამოვსთქვათ ქართულისავე სიტყვით, მარილიანათ ხომ კარგი, თუ არა და იყოს! ნუ გვინდა ნურაოდეს!... აქ შეფიქრდა და სთქვა:

—აბა წარმოიდგინე ქართველი, რომელსაც ახალუხს ზემოდან, ფრაკი ჩაეცოს,—რა იქნება? მოუხდება?...

ივანემ და გიორგიმ გაიღიმილეს.

ამ დროს შემოვიდნენ: ხმამაღალაშვილი, გერგაძე, დიდყურაშვილი, მრავალმარილოვი და ჩინთელი.

—ბატონის გიორგის გახლავარ! წარმოსთქვა დიდყუ-

რაშვილმა და ქუდი ჩამოართო ქართბერტულოვს.

—მეც აქ გახლავართ! სთქვა ხმა მადლაშვილმა და შამოუტრიალდა ცალიფეხზედ.

—**И мы здѣсь!** დაიძახა გერგაძემ.

—ბიძიას გაუმარჯოს! თავ დადრეკით წარმოსთქვა მრავალმარლოვმა.

—მე გახლავარ ბიჭო! დაუმატა ჩინთელმა.

შეიქნა მისალმება, ქუდის ჩამორთმევა, ხუმრობა...

—**Прошу, покорно, господа!** დაბძანდით! **Будьте какъ дома!...** ეი ბიჭო, ჩაი!..

—ოჰ, რა უცხო ჯიხვებია! შენიშნა დიდუურაშვილმა.

—ჯიხვები არ არის: ხარის რქებია, უპასუხა გიორ-გიმ.

—**Какъ можно!** რას ამბობ?! წარმოსთქვა განცვიფ-რებით დიდუურაშვილმა.

—დამიჯერე... სტამბოლიდგან მომიტანეს, ვენგრი-ულია.

—არა, გილანის იქნება, წამოიძახა გერგაძემ.

—ვენგრიის მეკოქე გეუბნები!.. თუ გინდა ნუ და-იჯერებ, სთქვა ვითომც უნებურათ ქართბერტულოვმა.

—ძალიან ბიბლიოთეკა გქონია! წარმოსთქვა ჩინთე-ლმა და მივიდა შკაფებთან, რომელშიაც წიგნები ეწყო..,

—**А ты читалъ Гигіену и физіологію брака, Дебэ.** ჰკითხა მოლაროვს და ზედვე დაუმატა. გირჩევ რომ წაიკითხო, ცოლს მალე შეირთავ.

—ამ გვარი წიგნი მრავალ მარლოვებმა უნდა წაიკით-ხონ. შენიშნა ლაფანოვმა.

—შეაცრავათ. მიუგო ჩინოელმა,—მრავალძარღოვმა ორმოცდა ხუთს გადააბიჯა, აღარ ქმუთინის ცოლის მუ-რთქა.. მშვიდობით!

მრავალძარღოვმა წყნით წარმოსთქვა:

—შენ თუ წავითხე კიდეც გეწარმებოდა: ისწავლე, როგორც უნდა დასუსტებულმა ყმაწვილმა გაცმა თავი მოარჩინოს.

კერკაძემ გაიღიმილა; ჩინოელი ცოტათ აიტკრიცა.

—ზურნები რადათ გდომნია? ჰკითხა ჩინოელმა მას-პინძელს, იმ განზრახვით რომ დაპარაკი შე'ცვალოს.

—ამისთვის—მიუგო მან რისთვისაც სალამურები.

—სალამურები?

—რისთვისაც დუდუკები.

—დუდუკები?

—რისთვისაც თარი და ჩონგური.

ყველამ გაიცინეს.

—დაბძანდით, ბატონებო! წარმოსთქვა კელახლათ ქარიბერტოვმა.

ყველანი სტოლზედ შემოუსხდნენ ირგვლივ.

—რა ღამეა, რაღამე, ყმაწვილებო! წარმოსთქვა ხმამა-ღალაშვილმა.

—უცხო რამ არის, უცხო! უპასუხა ყურდიდაშვილმა.

—ჩინებული ღამეა! შენიშნა კერკაძემ.

—უცხოა! წარმოსთქვა ჩამთენარებით მოლარიოვმა.

—ბულბულების ღამეა, ოხვრით სთქვა ჩინოელმა.

—უკეთესი აღარ შეიძლება! დაუმატეს სხვებმა.

შემოიტანეს ჩაი.

—იცით, ყმაწვილებო, (თუმცა ზოგნი არ იყვნენ ამათში ყმაწვილები), თქუჱნს მოსვლამდის რაზედ გვქონდა ლაპარაკი? წარმოსთქუა გიორგი ქარიბურტყულოვმა

—რაზედა? ჰკითხეს ზოგიერთთა.

—ჩუჱნ ვცდილობდით გადგვეთარგმნა ქართულად, ეს სიტყუჱბი:

**Литературный вечеръ.**

—მერე? იკითხა ჩინთულმა.

—მე გადავთარგმნე სალიტერატურო საღამოთ, მიუგო გიორგიმ.

ზოგმა ჩაიცინა, ზოგმა არა სთქუა.

—მე გადავთარგმნე—სალიტერატურო მეჯლიშათ, სთქუა ლაიფანოვმა

ზოგი ქრინი ამას დაეთანხმა! [illegible] და ხმამაღალაშჳლმაცა სთქუა რომ, ჩუჱნ არცერთის ყაბული არა ვართო და სჯობსო რომ ლიტერატურის ვახშმათ გარდითარგმნოსო.

—არც ერთი არ ვარგა! წარმოსთქუა მრავალმარ-ლოვმა

—არა, აპოლონ! კარგა დაუკვირდი ამ სიტყუაზე, სთქუა ბარძიმ ხმა მაღალაშჳლმა.

—კარგათ შეუერთდით აზრზე, შენიშნა ლევან დიდურაშჳლმა.

მოლაროვმა ცოტა დაცინების სახით იკითხა:

— მაშ როგორ გადასთარგმნით ამ სიტყუებს.

**Вокально—инструментальный концертъ?**

—ვოკალნო ინსტრუმენტალნი კონცერტათ გადავთარგ-

ჯმნი. მიუგო ლევან დიდეურაშვილმა.

—მეც ასრე! დაუყოვნებლივ წარმოსთქვა ხმამაღალაშვი-ლმა.

—ვერე გადათარგმნეთ, მიბრძანდით და ბებიათქვენს კი წაუკითხეთ, წარმოსთქვა ბარამ ჩინთულმა. ბევრთ გაიცანის ამ სიტყვებზედ? მარამ ლევანმა და ბარძიმმაკი იწყინეს და მოიღრუბლნენ, მხოლოდ, გიორგი ქარიბერ-ტუღუმა სთქვა:

—საპილოს ქორიდა სიყვარული ხომ ვანმევავოვილა. შემდეგ მცირე ფ ქრისა დაუმატა.

—ყოფილიყო, მართლათ, კონცერტი იყო, აფიშკა ქართულადაც გადაეთარგმნათ და შიგ დაეწერათ;!! ვოკალნო-ინსტრუმენტალნი კონცერტი იქნებაო! პარასკევს!- ეს აფიშკა ძალიან ჩემს წაეკითხა და დამიწყო ხვეწნა. ეჰხლა კიდოს სტრუნების მასტერის მოუტანიათო და მიყიდეო, პარასკევს იყიდებაო?

—მაშ აფიშკა რაღაა, სთქვით? ჰკითხა გიორგის ხმამაღალაშვილმა

—არა ქართულად იწოდებოდა,—მიუგო დიმიტრი მოლდაროვმა, მასამ კარგათ არ შეიგნება ხალხს ეს სიტყვა, მაინცა ერთიერთს ლაპარაკში.

—არავერა არ მესმის, წაიბუტბუტა გერგაძემ და წარმოსთქვა მოუთმენლად: გმარა, ბატონებო გმარა!- ახლა საქმეს შევუდგეთ.

—შევუდგეთ! დავიწყოთ! სთქვა ზოგიერთებმა.

—ასა, რას ინებებო, რას კაპიტნით? ჰკითხა ქარიბერტუღუმა.

—მე მგონია, პირველი ჩვენი მოვალეობა ესე იქნება იყოს.

სთქვა მოლაროვმა, რომ ქვეყნიური წიგნები დავბეჭდოთ და გავავრცელოთ... ბევრი კარგი თხზულებები არის მომზადებული სხვა და სხვა ოჯახებში, უნდა ვიშოვოთ ის ხელთნაწერები და დავბეჭდოთ.

—უცხო აზრია ეგა. მიუგო ჩინთელმა მაგრამ, სადაური ის თხზულებანი? ვის აქვს, რაგვარად გამოვიცნოთ ჩავარდნილი ზანდუკებიდგან, რომლებსაც პატრონები სხვენ, არავის აძლევენ წასაკითხავადაც, თუმცა თვითონაც არ კითხულობენ, ალპობენ, ჰკარგავენ საზოგადო სალიტერატურო საკუთრებასა... ან ფული სად გვაქვს?

—წიგნები სად არის? წარმოსთქვა დიდყურაშვილმა, მაშ რა არის თუ წიგნები არ არის: ვარდბულბულიანი, რუსუდანიანი, ვისრამიანი, ქილილა და დამანა, ლეილი მაჯნუნიანი, მრავალ ფერუმვაგილოვანი, როსტომიანი და მრავალი სხვანი სამღთო გარდა საერო წიგნები. ყველასა აქვს და არცარავის დაუბეჭდავს...

—როსტომიანი!.. წარმოსთქვა მწარის ღიმილით მოლაროვმა.— როსტომიანი!.. რადროს ნათარგმანების ბეჭდვა გვაქვს? ან სად გინდათ დაბეჭდოთ? ჟურნალში? ეგ იმას ემსგავსება, რომ სპილო ფარაონის გამხდარი ძროხის ტყავში ჩასტიოთ!. ჯერ რამდენი სხვა გვარი თხზულება იპოვება, ღირსი დაბეჭდვისა, ნამეტნავად ისტორიული. როგორც რომ გუჯრები, ოქმები. წყალობის წიგნები.. სავსე მონასტრები, პირველი ოჯახ-ები. სასამართლოები.., ესენი შეიძლება დაიბეჭდოს ჟურნალშიაც და ცალკეთაც...

—ვალმასობა? წარმოსთქვა ჩინთელმა.

—ფული? იკითხა გერგაძემ.

—ფულია? ფულს შეკვრებით გაზეთის მომწერათ . По подпискѣ, მიუგო მოლდაროვმა.

—მოჭკვრებით! დიახ! შენამზა დაცინებით სახით გერგაძემ და დაუმატა:

—შე დალოცვილო! ეს მაინც როგორ არ იცი, რომ «ცისკარზედაც» ალარაც ნაწერს გზავნა??... ალაც არავინ კითხულობს...

—რატომ არ აწერენ? დიახ აწერენ! აჩქარებით სთქვა მოლდაროვმა... მაშ როგორ ცოცხალა ცისკარი?

—რა სიცოცხლეა! მწუხარებით მიუგო გერგაძემ—სული მობრძავს ჰყავს! მკითხველები არა ჰყავს, გაზეთის მომწერლები არა ჰყავს, თანამშრომლები არა ჰყავს .. რა სიცოცხლეა?..,

—ყველა ჰყავს თქვენმა მზემ! მიუგო მოლდაროვმა აჩქარებით—გარწმუნებთ გამოდის და კიდეც კითხულობენ!

—აბა, რამთენი გაზეთის მომწერი ჰყავანდა ცისკარს?

—რამდენი?—ჰკითხა მოლდაროვმა.

დიახ, რამდენი? იკითხა კიდევ გერგაძემ.

—აი ეხლავ მოგახსენებთ! მიუგო ქარიზერტუოვმა და მივიდა შკაფთან, საიდანაც ცისკრები გამოიღო, დიდხანს არჩია, აფურჩხუნა, და ბოლოს სთქვა:—აი, ბატონებო! «ცისკარს» შარშანს ჰყავდა 235 გაზეთის მომწერი, 49 ახალი თანამშრომელი და სამი ამიერ სოფლიდგან გასულნი.

—აგი მოგეხსენე! წამოიძახა სიხარულით მოლდაროვმა,—ორმოცდა ცხრა თანამშრომელი!! . ამიენის მხნა-

ვეძქლის ადამიანით, თუ გინდათ ითხს ცოცხლის გამო-მსცემ!

—დიახ უცხოთა ქვეყანა, ბატონებო, მიუგო გერგა-ძემ—მაგრამ, ზოგიერთის ერთგულ დასწერენ და მიატო-ვებენ: ზოგი იქვე სტამბისას მეტიც არა დაუწერიათ; აქედგან სჩანს რომ, მუდმივნი თანამშრომელნი და ნამ-დვილნი თანამშრომელნი ჯერ არა ჰყავს ცოცხალს და ამისთვის ვამბობ რომ, იმათი შრომა ქარის მეტი!

—ჩვენი რაღას გვეტყოდით? წარმოსთქვა დიდფურაშ-ლემა.

—ჩვენი?.., მიუგო მასხუვან გილამარჯვეთ. შენიშნა გერგაძემ—ახლავე ამას ვიტყვი, რომ თანამშრომლები მოიძებნეთ, მწერლები მოიძებნეთ, ნიჭიანნი და მწვავლე-ლნი მშრომლები მაჩვენეთ.. ერთიც ესა: რომ გვყავს 235 ქვეყნის მოწერი, ბევრი არის?. აბა, იანგარიშეთ, ექვსი ექვსი მანეთად, რას შეადგენს?

—ექვსასი რათა?—ეკითხა ჩანთელემა—ხომ შვდი მა-ნეთია ფასი.

—დიახ! ვიცი—მიუგო გერგაძემ. მაგრამ ერთი მანეთი ფოსტის ფასადეთი; ბოლოს დაგრჩებათ ექვსი, რომე-ლიც შეადგენს წლიწადში 1410 მანეთს ანუ 141 თუ-მანს.. ამ ფულით, რასა იქმ?. სახლის ქირა იანგარი-შეთ. ჯამაგირები, ახლების ამომწერობის, მესტამბესი მელნის გამოცემის და მოსამსახურის. ახლა ქაღალდი და ჭკნახავთ რომ ცოცხალს, თავი ძლივს გამოაქვს ქუჩა-ყანაში... ანუ როგორ ცოცხალი...

—დიახ, დიახ, მართალია! შეჰნიშნა ლავანოვმა.

—ქაღალდი, რა ერთ ბევრი უნდება, ჰკითხა მოსავალ-ძალევოვმა, რომელიცა აქამომდე ჩუმათ იჯდა და მაჭიროზს ჰსწევდა

—ქაღალდი? წარმოსთქვა გერვამეგ,- აბა ანგარიშეთ? რაც უნდა მეტი ნომერი გამოვიდეს ცისკრისა, რესთაბახი ხომ მოუნდება?- ახლა 260 ნუმერი ჩააგდე რადგან 25 ნუმერამდის, მგონია, მექონაც ეგზავნება ზოგიერთისა, გარდა ცენზურისა და სხვა ადგილებისა.. მაშინ დადგება წელიწადში—24960 თაბახი და კორექტურის, ქაღალდი რომ ზედ მიჰყვე, მაშინ 26000 თაბახიც ნუ გმურს!... მერე ედა ანგარიში, თუ რომ საბეჭდავი დაზოგი მეტასი. ახლა რედაქტორის სხვა და სხვა ხარჯი და დაისახავ. რომ ცისკარი სანდისხან კიდეც მართულობს, არამცთუ მხოლოდ გამოვიდეს საზოგადოებაში!...

ეს ყველა მართალი, წარმოსთქვა მოსავალ-ძალევოვმა, მაგრამ, ესეც იცოდე რომ «ცისკარი» იბეჭდება ხოლმე ბევრის შეცთომილებით; ამასთანა ედა, ზოგჯერ შემდანი აქვს ხოლმე: ხან ლურჯი, ხან ყვითელი. ნაცრისფერი მაინც იყოს ხოლმე ყოველთვის... ამას გარდა მესტრამზე ისე მაგრად დააბეჭდენს ხოლმე ასოებს რომ, ქაღალდის მეორე გვერდზედ წაიკითხება. თითქოს გარანდაში დაუჭრებიათო ისე გამოიბერება ხოლმე ასოები.... ერთიც ეს რომ. საკუთარის სახელებისთვის დიდრონი ასოები არა აქვსთ, თუ არა ს ართობეს და არც კელნაწერს ასოებს ეწყობიან, რომელნიც საჭიროა: — Для курсива.

—Ето все вздоръ! უპასუხა გერვამეგ... ეს თავის

დროზედ შეიძლება გაიწოროდეს... თქვენ კაცს სთქვით, რომ გულის მომწყრო იყოს საგმაო.

—გულის მომწყრო საიდგან იქნება, შენი ჭირიმე, მოუგო ჩანთულმა.—წუხელ, ვისაც ეგერეცდი მოუტანე, ფეხლამ მიიხრა, მოწყრილი მაქეთი. და ბოლოსკი მეგონეკე: რომ იშაიგამს გული არაქის ჭქოლდა ნაწყროლი!... ნამეტნავთ ერთმა გამაცეცხლა. დამიბარდა: გულს მოვაწყრობ, მიყვედი, მოვაკვლები; ეხლა ტუდლი არის მაქვსო და ხვალ, ბატონო ხარო!!.. მეორეს დღეს მიველი და თუთისეე დამასწრო: ეგ ლა უკაცრავათო და ხვალ მე თვითონ გამოვივლიო ფულისო. შენ ნუღარ გაირჯებითო!. და ლუპსაც მიდის!.

—მე რა გიგერით, წამოიძახა ხმამაღლადასმეჯლემა, მე მოვასხენიოთ უგერო კარგი! ქლუბსა ხომ იცნობთ?.. ბარდანაძეს?.. დამიბარდა: გულს მოვაწყრ ცოისკარზედა?.. რამდენჯერ მოვაკვლე, არ მეზღდარა! ბოლოს, ერთი ადაგს შეყრილნი ვიყავით, ისიც იქ იყო, მივედი და წავსჩურჩულე: ახლა მოაწყრე მეთქი... დამიწყო ფიცი; გროში არ მომეშოვებაო!.. მეც ჩამოვეთხოვე... ბოლოს შავხვდით, გაიმართა ქაღალდის თამაშობა და შენმა ქლუბსამ ოცი თუმანი მოაწყვლიცა!. ვიფიქრე ნისიათ ითამაშა და იმისთვის აუქციეს მეთქი... შენ არ მომიკვდე! ამოიღო ბუმაჟნიკი და გადმოთვალა წითელ-წითელი **150** მანეთი, დაუთვალა და ბოლოშიც დაუმატა: **«Остальные до утра, господа!**..«დილაზედ მიიღებთო..» თავადებისთვის წინწკლები წამეცხმდა!...

—კაცო! შენ რომ სხვაზედ ამბობ, მოუბრუნდა

ბარძიმს დიდყურაშვლი,—რატომ შენს თავზედ არას იტყვი?..

—შენ არ იყავ კრწანისს, ერთი სადილი ათ თუმნათ დაგივიდა, მეზურნებს და საზანდრებს გარდა, და ცისკარიკი არ მოგდიოდა შარშან და მგონია არც წელს მოგდის?..

—შენ ბევრი ბრიყული ყმელობა იცი! შეუტია ხმამალა-ლაშვლმა....შენ ვინც არა გეიოხამს—შენიაჳს უნდა მგდო!... შე დუთავო, შენის თავის თქმა!—რატომ შენ არ მოგდის ცისკარი?,.

—მე.. მე ..- ეგ ჩემი საქმეა! წარმოსთქვა გაწითლებულმა დიდყურაშვლმა...- მე იქნება სხვის სახელზედ მოვაწერე და ჩემი გვარი დავიფარე?!.. ახლა?.. ჰო, შეგრცხვა?!,.

—Ахъ, ты, балванъ! შე მხეცო, მიუგო ხმამალალა-შვლმა... ისამოწყალო რა სჭირდა ცისკარს, რომ თავსაც იმალავდი?.. აქედგანა ჩანს. რომ სცრუობ?.. შე ჩოხჩეთის გამბეჩო, შე მაკლდაკუნავ!.. Господа! господа?!.. ყმწვი-ლებო!. როგორ არა გრცხვენიათ? მიუძახა ქარიბერტოვმა.

—მე რაუყო!..ვერა ხედამთ ამას, რა უგუნურია?-წარმოსთქვა ხმამალალაშვლმა.

—ვერა ხედავ ამას, რა მხეცია? უპასუხა დიდყურაშვ-ლმა.

—რა იქნა, რა დაგემართათ?! ბოლო აღარა აქვს თქვენს მოვლისა! შეუტივა მკაცრათ ლავთანოვმა.

—ჩვენ არა ვსხუობთ!.. განა არ იცით მეგობრები ასე შეჭყებებიან ხოლმე ერთმანეთს, სთქვა ხმამალალა-შვლმა.

—კარგია, ყმაწვილებო! მოუთმენლათ წარმოსთქვა

მასპინძელმა.

—მე აღარას გეტყვი, უპასუხა დიდუფრაშვილმა.

—მე ჩუმათა ვარ, წაიბუტბუტა ხმამაღალაშვილმა.

—Баста! წამოიძახა ლაითვასოვმა, ახლა ეს ჰსქვით, რა ენით უნდა იწერებოდეს სტატიები?

—რასაკვირველია ქართულით, მიუგო მოლაროვმა.

—ძალიან არ გამოიცან! შენიშნა ლაითვასოვმა... არა, შენ ეს მიბძანე: რა გვარათ, რა სახით?... ერთის სიტყვით მაღალის ენით, თუ დაბალის ენით?

—რა საკვირველია მდაბიურის ენით უნდა დაიწეროს, მიუგო მოლაროვმა.

—მე მაგაში ნახევრათ გეთანხმები, სთქვა გერკამეფ.

—როგორ ნახევრათ? ჰკითხა მოლაროვმა.

—ასე, უპასუხა გერკამეფ, რომ, შეიძლება იყოს სტატია, რომელსაც მოუხდეს მდაბიური ენა, ანუ წერა, გამოთქმა, გამოხატვა აზრისა; აგრეთვე იქნება სტატია, თხზულება, რომელსაც შეჰშვენის ენა მაღალი, ანუ ენა საშუალი, გამოთქმა ღრმა, ანუ, მდაბიური.

—წერა, კარგი და საზოგადო ის არის, რომელიც ყველასათვის გასაგონია. ეს იგი მდაბიური, სთქვა მოლაროვმა.

—აბა, ბატონებო, შეათანასწორეთ წერილები, თხზულებანი ჩვენის დრომდის, წარმოსთქვა გერკამეფ და ჰნახავთ, რომ სხვა და სხვა გვარათ და სხვა და სხვა ენით არიან ნაწერნი, მაგრამ. მათში ჩვენ არამც თუ ვერას დავიწუნებთ, კიდეც მოგვწონს.

—მე მაგას არ ვიტყვ, რომ ზოგი მათგანი არ იყოს

მოსაწონი. მიუგო მოლაროვმა, აი, როგორც: ბაბა არამიანი, რუსუდანიანი, ვისრამიანი, სიბრძნე-სიცრუე-ოლონდ ისეთი სიტყუები არ ერიოს, რომ საზოგადოდ გვიჭირდეს მათი გაგება...

—მაშ სიბრძნე სიცრუე რადათ მოიწონე? ჰკითხა მოლაროვს, ჩინიელმა, იმაშიაც არის სიტყუები, რომელთაც ყველა ვერ გაიგებს ადვილათ, ანუ თუ გაიგებს, არ იხმარებს მაინც, აი როგორც ეს სიტყუები: მუნით, არდაგი, წარილო, მისცნა, მოართუნა, ზურნი წალგოტით, დია, მუნ, უსხი, მრწუმი, რონინობდნენ, აწჳა, უბოძა უბადო, ქსვა და სხუანი მრავალნი.. ბაბა არამიანს და ვისრამიანშიაც იპოვი მაღალი ფრაზის სიტყუებს...

Писано мѣстами витіевато, преобладаютъ гипер-болы...

—აი ქილილა და დამანა სხუა არის... რუსუდანიანს ალარ ჩამოუა...

—მოითმინე, ყმაწვილო! შორს წახველ! წარმოსთქუა მოლაროვმა.—თუ სიბრძნე სიცრუეში ის, რომელიც შენ ჩამოსთვალე გაუგონარია. მაშინ ჩუენ, ქართუელნ, სულ ველარას გავიგებთ... შენ ამისთჳს გეუცხოება ის სიტყუები, რომ ქართულს ხშირად არ კითხულობ, მოშორდი ქართულს ლიტერატურას და იმ გვარი სიტყუებიც შენს სმენას გაჰშორდნენ!

—მე გეროვაძის მხარე მიჭირავს, წამოიძახა ლავთანოვმა-და მიუბრუნდა მოლაროვს კითხვით: მაშ რუსის მიტროპოლიტის მაგიერ რომ ყოფილიყვა, ან ტიმოთეს მაგიერ, მიმოსვლას და მოგზაურობას სხვა რომელიმე დაეწერა?

ქართლის ცხოვრებასაც მდაბიურათ დასწერდი?.

—რატომ არა! მიუგო მოლაროვმა,- უეჭველათ რომ მდაბიურათ დავსწერდი.. დაბადებას რა უჭირს, რომ მდაბიურის ენით არის გადმოღებული?ნუტავი ყველანი ისე ჰსწერდნენ... სამართლის წიგნს რა უჭირს? მამათ ცხოვრებას რა უჭირს?. მართალია, ამ უვანასგნულ თხზულებაში და დაბადებაშიაც თვითო ოროლი სიტყვა გამოურევა, რომ დაბალმა ხალხმა ვერ გაიგოს, მარამ,წარმოიდგინეთ რომ ჩვენ მოვსცდით იმ საუკუნეს,როდეს ისინი იწერებოდა... ის თხზულებანი, რომელნიც თქვენ ეხლა ჩამოსთვალეთ, ბევრნი მათგანი მეთორმეტეს და მეცამეტეს საუკუნეში არიან ნაწერი.ახლა კი სხვა და სხვა სიტყვა შემოგვაქვს ჩვენ ენაში და ჩვენნები გვავიწყდება!.. დაუკვირდეთ, ჩაუარით და მოიგონოთ, გაშოვეთ დაკარგულს, გაიხსენეთ დავიწყებულს....

—მამ, მარტიროვას ეგ ენა შეეწყენის? ჰკითხა გერვასემ მოლაროვს.

—რატომ არა! წარმოსთქვა ხმამაღლადაშვილმა.

—შეიძლება, შენიშნა დიდეურაშვილმა.

—გერვასემს იწყინა ამათი გამორევა ამ ლაპარაკში და უთხრა წყენით:.

—თქვენი ენაკი ვიცი!. წელან რო ებაასებოდით ერთ-მანერთს, ისენა მოგწონსთ?!.

დიდეურაშვილმაც იწყინა და მიუგო.

—ჩვენ მარტოიკავზედ ვამბობდით და არა წელანდელს კინკლაობაზედ, მაგრამ, სჩანს რომ შენს თავში მარტო ჭკუა არ ყოფილა: თივაც ურევია, ბიჭო! შენ ვიდას

დასცინი, შე საცოდავო?... შეიწყალესა გამჩენი!..

—-Господа.. опять?!., გაჰყვირა შამა მენი ნაწყაგიწყლების ლევან! შეტუქსვით უისრა დიდუერაშვილს ქართველოებმა,- ერთი ხუმრობა და გამაცადეთ რომ მოვილაპარაკოთ რამე! .საზოგადოება ხომ არ შევიძლიათ?..ლაფანტაველი, მოლარეებმა გრძნობა და ჩინოვნიკებმა თავები გაიქნიეს და მხრები მაღლა აიწიეს, რომლითაც სიბრაზე გამოხატეს და გაცვიფრებას მკაცრად მოუკვეთავი ლაპარაკისა.

—მაშ, ჩვენ, რისთვის მოვედით აქ თუ ჩვენც არას ვიტყვით? წარმოსთქვა ბარბაშმა.

—დიახ, თქვენც ბრძანეთ, მარამ რიგით და რიგიანად, მიუგო გერვაძემ.

—აი ბატონო, ხმას აღარ ამოვიღებ, წარმოსთქვა დიდუერაშვილმა.

—აი ჩუმათაც, წაიტუტუნა ხმამაღლა ლაშვილმა.

—მაშ, რა ენით უნდა ილაპარაკოს, ქმაწყვილებო ჩვენი სტატიებზე? იკითხა გერვაძემ.

—მოვითქვით.ჯერ ხომ ვიდრე შევიკრიბით, მიუგო ქართველოებმა.

—მოვითქვით! წარმოსთქვა ამოხვრით მოლარეებმა.

—არც თანამშრომლობისა გადავწყვიტეთ რამე, არცარა ჟურნალისა, იფიქრა ჩინოვნიკმა თავის გულში.

—ახლა წავიკითხოთ რამე, ქმაწვილებო, წარმოსთქვა ლაფანტაველმა.

—თქვენი ნებაა, მიუგო ქართველოებმა და მიუბრუნდა მოვალეობებს—აბა, ამოდენ, წავიკითხო

ჯერ შენ. შენ ხომ პოეტი ხარ?

—არა, ჯერ სხვამ დაიწყოს, მიუგო აპოლონმა მორცხობით, თუმცა გულით კი უნდოდა რომ მას წაეკითხა მისი თხზულება.

—კარგია, რაღას ცერემონიობ! სთქვა ქერქამემ.

აპოლონმა ამოიღო მისი შლაპიდგან რვეული და გადაშალა, სხვები გაჩუმდნენ და მოემზადნენ მოსასმენელათ. აპოლონმა ერთი ორი ჩაახველა და მოჰყვა კითხვას:

## ქალების ქება.

უცხო რასმე წალკოტსა, ვის გსურთ სეირნობანი,
ყვავილთ ხილვა და ყნოსვა, მათი დაკოცნებანი,
გულის მხიარულება და სულის დატკბობანი..,
მაშ ყური მომიპყარით, ვიწყო მათ-თჳს ქნობანი:

### 1 დ ა რ ი ა.

მე ვით ვაქო დარია, ფერიათ სადარია.
მზისა დამბნელებელი, იგი ბადრი მთვარია.
მაგრამ, რათა ჰკლავს ჩვენს გულსა, ცეცხლი რაზედ და-
რია?...
ოღონდ თითონ იცოცხლოს, მე მიხილოს მკჳდარია!

### 2 ტ ა ს ი ა.

მხიარული ტასია, გიჟ-მაჟი, ვისკასია,
ლერწამ ტანა, ცქრიალა, სუნნელი, ვით ვასია.
მე იმას არა ვღირსვარ, იგი არის ხასია.
შორით გლოვა ვიკმარო, მეცვას მაგი ფეალსია!

## 3 ნ ი ნ ა.

უმანკო, ნაზი ნინა, საით რას მომქვლდინა?
გგონებ სიზმრათ ვიხილე, ახლაც მიდგას თვალ წინა,
მოვიდა კელი მომცა, მე, ტკბილათ შემომცინა,
გულს იმედი მითესა, სევდაკი მაგინა.

## 4 ნ ა ტ ა ლ ი ა.

მეკლუცი ნატალია, უკჳდავების წყალია.
მან გამკურნოს ბეჩავი, ეშხისაგან მთვრალია,
სიყვარულისაგან ბრმას ამიხილოს თვალია.
ნეტავ მე, თუ მის მკერდიც მექმნას სასთუნალია!

## 5 მ ა რ თ ა.

ნეტა რა დაგემართა, ჩემო მეკლუცო მართავ?
მე რომ შენთჳსა ვკჳდები, კელს რატომ არ მიმართავ!
ბედრი მოწყალებისა გადამაფარო კალთა.
თუ ცოცხლებში არ გამრევ, მაშ მიმაბარე მკჳდართა!

## 6 მ ა რ ი ა მ.

მარდი, ვით რომ ქარია, ცელქი, ნაზი მარიამ,
შჳფნებზა ვარდმა მისცა, სუნი—სუსამბარ, იამ,
ჩემი ღონისძიება, სულზედ დავამყარე,
მარამ არ მომეკარა, ვერსად შევიპყარი.-

## 7 ს ო ფ ი ო.

მითხრეს არს საძნობიო, თეთრ ყირმიზი სოფიო...
ერთმა სთქჳა: « არ ვიშიშვი მოვკჳდე მასთან მყოფიო, »

მეორუმკი მირჩის: «შენ მას ნუ ენდობიო.»
რადგან ანგელოზის ჰგავს, იქნება ღმრთის მგმობიო!..

## 8 ელენე.

ხაით რას მომეჩვენა, მერცხლის მსგავსი ელენა?
კეკლუცი და უმანკო, მაგოვალა, ლამაზ ესა,
მარამ გაჰმე, ბეჩავს, ჯორს არა იქმს ჩემზენა,
უნდა დავკვდე, ვიოხრო და მქონდეს ცრემლთა დენა!..

## 9 თეკლე.

მე არ გარდავალ წრესა, ახლა გაქებ თეკლესა,
მაგრამ მას ვერ ვენდობი, მეხთალსა, სულმოკლესა,
და ტყუილიც მექნება მისთვის ოხვრა და კვნესა,
ვიცი ვერას შევასმენ, როგორც ქვასა და კლდესა!

## 10 ბაბალე.

ნუ მომკლავ, შემიწყალე, მშვენიერო ბაბალე!
შენის თავის ჭირიმე, ხმა გამეცი მალე-მალე!
ეს სახმილი მაგმარე, ათასით დამავალე?!..
ვგონებ ტანჯვათ გმართლეს, რაც რომ მე გივალალე?!

## 11 ელისაბედ.

მინდა ერთი გავბედო, ვაქო ტურფა საბედო,
ვიმ, ვიმ, ლამაზო ქალო, ნაზო ელისაბედო!
—ახლა შენ შემეწიე ჩემო ღმერთო და ბედო,
ამ ქალს ჩემი სურვილი მიეცი, შემომქმედო?..

## 12 რიფსიმე.

მეფეთ მეფა, კეკლუცი, და ფუნთუშა რიფსიმე,—

სევდის გმაქარვებელი, დარბაისელი, მძიმე,
მშვენივრათ მომღიმარი, კეთილათ მონადიმე,
მართლჲად ქების ღირსაო, მეტი ვეღარა ვსთქვ მე.

## 13 პ ე პ ე ლ ა.

მარდი, ვით რომ ფეფელა, ვაქო ჩემი პეპელა,
მე როგორღა დავჩუმდე, რომ ეტრფის მას სუყველა,
ღირსია გადვეხვიო, დავკოცნო პელად პელა...
—ამისთჳს უფროც მიყვარს, რადგან არის პეპელა.

## 14 მ ა ი კ ო.

ნეტა ერთი გავიგო, საით არის მაიკო,
იმის გზას გამოუდგე, თავი მასზედ წავიგო,
მსხვერპლათაც შევეწირო, გული დანას დავიგო...,
—ტურფავ, ვარდო, ლამაზო, საითა ხარ მაიკო?!...

## 15 თ ა მ ა რ.

ნუგეში არ სით არის, რაც ვიხლე თამარი,
მისთჳს ორივ ერთია ცოცხალივარ, თუ მკვდარი,..
ამ ტანჯვითა სიცოცხლეს სჯობს ხელით ავიღო ზარი,
ისევ ჩემის ნამუსით გავითხარო სამარი.

## 16. ს ა ლ ო მ ე.

ეშხიანო, შავთვალავ. გიჟო, პლუტო, სალომე,
თაყვანს გცემდი და მისთჳს შენ მიმუხთლე ქალო მე.
ახლა ბევრსაც იცინებ, უნდა გივალალო მე,-
მართლა ღირსი ყოფილხარ, რომ შეიქმნა სალომე!

### 17 ქ ა ლ ი ა.

აი, ჩვენი ქალია, ვიშ რა უცხო ქალია!
მარამ ცოტა ზორძიკობს, მით ვერარის მალია,
სულს უმძიმა, ბუნებას რადგან მისცა ვალია!..
რომ ვერ ვაქე. ნუ მიიწყენს, ჩემი არა ბრალია,..

### 18 მ ა ი ა.

რომ არ ვაქო ვაია, მშჳენიერი მაია,
ვის შენატრის ნარგიზი, ზამბახ, ვარდი და ია,
მისსა ძლიერებასა სჯობს ვაძლიო ზავია,
დავემონო, მსხვერპლადაც მას შევსწირო თავია!.

### 19 მ ა კ ა დ ა მ ა კ რ ი ნ ე.

მაკას და მაკრინეს, მითხარ რათ უნდათ ქება?
მარამ მათთან, მაინცა, მინდა ამლექსით ხლება,
ერთი ორი კოცნისა, ეგების მომცენ ნება,
რომ მეცა ვსცნა ბაგეთა სიტკბო და გემოვნება..

### 20 ი რ ი ნ ე დ ა ე კ ა ტ ე რ ი ნ ე.

დიახ, მიყვარს ირინე, მეტათ ეკატერინე,
მარამ ხანდისხან სჯარბობს ცუგრუმელა ირინე,
მათს ალერს ვერ გაუძლებ, გინდა ვიყო გმირი მე,
მაინც სიკვდილამდისინ ვიტყვი: მათი ჭირიმე!

### 21 თებრო და სიდონია

თებრო და სიდონია, ორივ ჩემი მგონია,
ნეტა რომელი სჯობდეს,- თებრო, თუ სიდონია?
ჩემთჳს ორნივ ტურფანი, ორნივ მოსაწონია,

მათი ყურმოჭრილი ყმა—ორსავე ვემონეს!

### 22 დარეჯან, ხორეშან, ქეთევან და მაგდანას.

ვეტრფი დარეჯანსა, ველტვი ხორეშანსა,
ხვევნას როგორ მოვაკლებ ჩემს ქეთევანსა.
ვერც დაულევ სიყვარულს ნაზსა, ლელწამ ტანსა,
ათიოდს მეტს ვაკოცებ კეკლუცსა მაგდანასა!

### 23 ანა, ანანა და მანანა.

ვაქო ანა, ანანა და მესამე მანანა,
სამნივ ღვთის წყალობანი, ვით ციური მანანა,
ნეტამც სამთავ კალთაში მიმაძინონ, სთქვან ნანა,
ვშლავ, თუნდ ასისწლის ტანჯვათ, სურვილი შემანანა!.

### გამდელთ ქება.

ვიშ, ვიშ ერთი შახედეთ, ამა გამდელთ კრებსა.,.
მარამ მე რას დამცდარვარ, ვამბობ ვისსა ქებასა.
ზოგნი ვიდეც ნატრობენ მოახლეთა ხლებასა:
ისიც ბედი, თუ გპოვებთ ფეხზ ჭკალში დებასა?
გამხდარო აისახარ, შეღვენილი მგლისა ხარ,
ცივ ცხელების ელტვი ყმაწვილი კი ტბისა ხარ,
შენ რაღას იტყვი, ქალო, კაჭკაჭავ ნარგისახარ?
დაჩენჩილხარ ყმაწვილით, ყვავილს სიყრმით უყვარხარ.
მსუქანო ვარდისახარ, ყმაწვილი რამხრისა ხარ?
ჩემი ვიღა იქნება, თუ რომ შენ ვარდისა ხარ?...
მოდი ლომისულო, ახლო დაჯექ, წყეულო!
მოდი იმედო შენცა, მოჭყე გმირისულო!
შენც მხარი დამიმშვენე, თორმეტის წლის სნეულო!
ვაწიავ, შენც აქდაჯევ, ოხერო და გულო!..

მრავალძარღოვმა გაათავა კითხვა და თვალი მოიწმინდა.

—Не дурно, წარმოსთქვა ლაოვანოვმა.

—ახლა რა გამოვიდა მაგ შენი ლექსებიდამ? ჰკითხა აპოლონს გერვაძემ.

—რა უნდა გამოსულიყო? გრძნობა გამოვიდა. მიუგო აპოლონმა.

—გრძნობავი ბევრია, მაგრამ ძალიან დამდაშებულია, წარმოსთქვა პირ მოუღმერებლათ გერვაძემ და დაუმატა: აი, რა გამოდის შენი ლექსებითგან: გსურს, რომ დარიამ მკვდარი გიხილოს. ცასისთვის—შავს ფლასს იცომ, ნისომ—დაგვამეღა, ნაცადიამ—თვალი აგიხილა, მარიამ—მკერდის მიუზარა. ხარიამ—ვერსად შეიმუარ, სოფელისან—სიმღერა გიხმოს, ქლუნსისათვის—ტირილი, თვალებს—ვერ გაგონება, ბასალისთვის—სისხლში იჯდე-ქი, შენ გიყვარს ქვეყანა, ყოველ ადგილას შენ არ უყვარხარ, მოყვარისთვის—გული დანაწყლული, თამარისთვის—სამარეს ითხრი, სოლომონისთვის—ეკლესია, თებრო და სიდონის ყმოსნება, მამას—ყმოსნება ქალაქ ზავასაც ამლევ და მისჯუნეობდაოდე ჭინჭრავ ოაგის!... სიკეთისგი ქალბატონებისაც და მოახლეებისაც. ზოგს აქებ და ზოგს აძაგებ... ახლა, ბატონო, სად გქონდა მაგდენი ან მოთმინება, ან გრძნობა, ან სიცოცხლე?...

აპოლონმა უნებურათ და მწარეთ გაიღიმა და მიუგო.

—მკაცრი კრიტიკოსი ხარ მე-ის ვერას გეტყვი!.. თუ არ ვარგა ეს ლექსები—მაშ დარჩეს. დავხევ...

—არა, არათ!.. აქ მიბოძე? წარმოსთქვა ქარიბერტ-ყოვმა, გამოართვა ამოდონის ბეჭედი და იქით გადას-დო; შემდეგ მიუბრუნდა დიდეგურაშვილს და უთხრა: აბა ახლა თქვენ წავიდით

ლევანმა წამოიწია, გასწორდა და სთქვა:

—მე უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, რომ ეს ლექ-სი, რომელსაც ახლა წავიკითხავთ, ერთს ჩემს მეგობარსა დაუწერე როდესაც ის დაქორწინდა..

ამ სიტყვებზედ მოჰყვა კითხვას.

ივანე ბიბილოვს.

ნეტა ვიცოდე სად ხარ, ანუ რას ფიქრობ მწარედ?
რას დამაშვრალა ხარ და დაშრა, ვით ოფლიანი იარე?
შენნი ჩამქრალნი გრძნობანი, ნეტა ვინ შეაწუხა?
ქვრივი და ყარიბი თავი, ვის უნდა დაუგიროს?

—ვიცი ეტრფი ქალსა, ვინც ძლივს ახელს თვალებს,
ვიცი მთისა მაღლას. შენ მოეყრდნე თავსა..
გქონდეს დიდი სული, მასთან წმინდა გული,
ქალი ანუგეშებს ჭირსა, იქმენ მისი ყული!

ლევანმა რომ გაათავა, წარმოსთქვა:

—მოითმინეთ, ერთი ვიდეთ გამოვუსვლია და ყიფეთ იმასაც დაუწერე, რაღაცა მიიარა ქალაქი, ქართლი, კახეთი და ძლივს შეიპოვა ცოტა ახმეტაში. (*) [illegible] ჩანს არჩია ქალები...

---

(*) ახმეტა—სოფელია თიანეთის ოკრუგში.

## მოჭყუჳა კითხჳას.

იმასვე.

სად ყაბახი (*) მეიდანობს, მტკჳრის პირს წყალი მოიწყურე,
ქართლის პური მოიმკე. იქ ნაზუქზედ ვის ესტუმრე?
ვერცა სვი და ვერცა სჭამე, მასპინძელიც მოიმდურე,
და იწაიწალე ბოლოს წახველ.—ყელი ჩაიახმეტურე!..

—ყოჩაღ! დაიძახა გერგაძემ, ვინ მოიფიქრებდა რომ სიპის ქუდგან ზეთი გამოვიდოდა!...

—ეი, ეი: ვაყო... ურიგო არ არის, გარწმუნებთ: წარმოსთქჳა ქარიბერტყოვმა.. ასა. ახლა შენ ბარძიმ!

ხმამაღლადამჟღერი ცოტათ ჩაწითლდა, ჩაახველა, სკამზედ გასწორდა და სთქჳა:

—ერთის ქალის ქების წიგნი მოუვიდა თავის ნათესავისაგან, ლექსით იყო დაწერილი და მეც მის მაგიერ პასუხათ ეს ლექსი დაუწერე...

აქ ბარძიმმა დაიწყო კითხჳა:

შენებრ ტკბილი, გემლიჳნა ჩემთჳს ქება,
რა მშჳნიერათ პლანეტიან შედარება:
მცირედს რასმეს გიძღჳნი, მეც მომეც ნებას,
მრთელის გულით იმას და გესაუბრება:

მე ვით გაქო, არ საქებო ენითა?
პოეტი ხარ, მე ვ მაყობ შენითა,
ყურს მოგიპყრობ, გისმენ ცრემლთა დენითა:
ტკბილათ გალობ. ვერ გავძღები სმენითა!

(*) ყაბახი მეიდანია ტფილისის ქალაქში.

ქებ ნიჭი, ზეცით მონიჭების,
ანგელოზი გეხმარება, გხლებია:
გაგვაგონე შენი, უცხო ხმებია.
ხარობათ გისმენთ ნათესავნი, დებია?

ზეცას ჯილდოთ თავს დაგედგა გვირგვინი,
იგი არის შენი გვერდი გვირგვინი, (*)
ამ სოფლათა—შენის თვალის ჩინი,—
იგი არის შენი ჭირი და ლხინი!

მის შეწყენებას, თუ ვერ უძლე, იშორე? (*) (*)
შენ იწოდი და სახმილი იშორე?...
ის შეჭხარის შენს რტოსა, შენს სიწორეს. (*) (*) (*)
შენ მათ შეჭყევ მათთჳს ჭლეჭრი ცრემლთა მორევს!...
მოდი ძმაო, გული მომეც ძმობისა!
თავს დაიდგი ის გვირგვინი ტრფობისა;
შენი ვარდი ღირსი არის ყმობისა,
ხმა ასმინე შენის მუსიკობისა!

ამ ლექსითა მინდა შენთან ხლებანი,
მით ვადიდო შენი წასწილო, ებანი;
უნდა იყვნენ ათინელთა კრებანი,
მათ ძლივსა სქიშან შენი ღირსი ქებანი!...

**Браво!**... ბრავო!... წამოიძახეს ერთმა ორმა; ვერკა-

(*) მისი ცოლი.

(*) (*) დიდი ხანია, რაც ცოლი მოშორებული ჰყავს.

(*) (*) (*) შჳლი მათი.

ძუმ მწარეთ გაიღიმილა, რომელიც ჰნიშნავდა უსიამო-ვნობასა.

—აბა, ბარამ! ახლა თქვენი რიგია, სთქვა გიორგიმ.

ბარამმა ცოტა ამოიოხრა, ამოიღო ერთი ფურცელი ქაღალდი და სთქვა:

—მე ერთი ქალი დამცინოდა ხოლმე, ხუმრობით, მიკიჟინებდა: «ბერმუღი, დიდი წვერი გაქვსო»

—და შენც ეს ლექსი სთქვ მასზედ

ტურფავ, ვერ უძლებ, მე, შენსა ჭვრეტას, მარიდე პირი!
თვალთ ელვარებას, ვერ უძლებ მათს ძალს, გინდ ვიყო გმირი,
რას მომღიმარობ, ჩემზედ ნავარდობ, ოდეს მე ვტი-რი?...
გული გაცინებს ჩემი ტანჯვა, ფერი და წვერი!

შენ გაიხარე, ჩემთვის ნუგეში, ხომ არსით არი?
ოღონდ იცოცხლე, მე გინდ მიხილე, შენთვის მკვდარი!..
სამს ნაბიჯს მიწას ნუ დაიშურებ, მექმნას სამარი.
მეც აღარ ვიტყვ, რომ ჩემი მკვლელი არის თამარი!...

—აგეც გადადეთ!.. წარმოსთქვა დაცინების სახით ქერგამემ.

—ახლა ჩემი ლექსი გაიგონეთ ყმაწვილებო, სთქვა ქარიბურტუოვმა... მეც ეს ლექსი დავწერე ერთს ქარიგს ყმაწვილ კაცს, რომელიც იგზნებოდა ერთის ქალის სი-ყვარულისაგან...

დაიწყო გიორგიმ კითხვა.

მე, ყარიბსა, ბედმან ჩემმან, მომაწოდა მწარე თასი,
დღენი ადრე გამიშავა და ჩამაცვა შავი ფლასი;
მარამ, ჩემმა ანგელოზმა, დამჯილდოა ასჯერ ასით,
მომივლინა ნუგეშათ ტურფა ვინმე, ნაზი, ხასი.

ვსთქვ, ვარსკვლავნი რასა ჰქვან, ანუ მთვარე რასა
მთვარობს?
ამა ქალმა განმანათლა, მაშ ჰკაერიც მისგან დარობს!
რა პლანეტი, რა ყუავილი, ანრა თვალი მას ედაროს?.....
მისი ხილვით, ჰაი, ჰაი, წყლულმა გულმან გაიხაროს!....

მე ბედკრული, რომ ვაქებდი ამა მთიებს, ამა ქალსა,
მაშინ მზემაცა, ხმელეთი მოვარაყულს დაამსგავსა,
გარდმოგვხედა, ჩემი ტურფა გამიცრიცა, დაახავსა;
მეც გულს ცეცხლი მომიკიდა, გამიარა ესრეთ თავსა.

ეჰა მზეო, მე ცხოვრება, თურმე შენგნით მიღებია,
შენს წინაშე თუმცა ვიწვი, უშენოთაც ვიღებია,
მთიებნი თურმე გახლავან, შუქიც შენვე გიძღევია.
ქვეყანაც შენგნით სცხოვრებს, იგი შენვე გიძღევია,

თუკი მზესა თაყვანსა სცემს კერპთ მსახური, ინ-
დოელი,
მე როგორღა არ შევიქნა შენი მონა და მლოცველი?
ვხედავ სული შენგნით მიდგას. მაფარია შენი ჴელი,
სიცოცხლესა, ცხოვრებასა, დიდებასაც შენგნით ჴელი.

—არას ვინაღვლი დავიწო შენის შუქით, სხივით,
ამასა ვნატრობ. არ იყოს გულით ჩემზედ ცივით,
შენი მონა ვარ და მსხუერპლი, გამაქრე სანთელივითა;

დამწვი, დამდაგე, მანაცრე, შემსუტე ცის ნიმივითა!..

—Ай—да, Георгій! წამოიძახა ლაფვანოვმა,—არ მეგონა თუ აგრე სწერდი?...

—Не дурно! შენიშნა მოლაროვმა. გერვაძემ პირმოთნეობით სთქუა:

—Сколько души!..

სხვებმა ყველამ თითო რამ ქება უთხრეს, რადგან მთხზველი—მასპინძელი იყო.

—აბა გერვაძე, შენ რას ბძანებ?. რას წაგვიკითხავ? ჰკითხა გიორგიმ.

—მაინც ყველანი ლექსებზედ ვართ შეშლილნი და მეც იქ ვიყო, მიუგო ალექსანდრემ და წაიკითხა ეს ლექსი:

დედა სჯობია ქალსა.

შენმა გარდამ, ძამიავ, დედა სჯობია ქალსა!
მთელს ქალში მე არ მივსცემ. დედის წარბსა და თვალსა;
ქალი რყუსობს, ამაყობს, არ მოაკლდება ბალსა,
ტყუილად შემოგცინებს, შემდეგ სხვას უზამს თვალსა..
—დამერწმუნე ძამიავ დედა სჯობია ქალსა?

ვიცი, ძმაო, რომ ქალმა, გულს ჩაგიგდო დარდია,
ქალი, ნარგიზი არის, დედა ძუწლი ვარდია...
ვარდი, რა გინდ რომ დაჭკნდეს, მაინც კიდევ კარგია,
—მას ემონე და მისთჳს ამოიღებდე ხმალსა,
ყველგან ასეც იტყოდე: დედა სჯობია ქალსა.

ძმაო, ქალი რათ ვარგა: რაც-რაცა და ყვითელი,
დედას მახე-თვაშაა, თეთრ ყირმიზი, წითელი;
ქალი—კოხტა პრუწაა, დედა დარბაისელი,

ქალი. სულ გაგაციებს, დედა—მოგიდებს ალსა....
დამიჯერე, ძამიავ, დედა სჯობია ქალსა.

დედა, ვით შემოდგომა, მსუქანი და ტფილია,
მშვენივრათ მოყვანილი, მასთან ენატკბილია;
ქალი მჭლეობს და ანჩხლობს, მასთანაც გულ გრილია.
ქალში მეტს ვერას ჰპოვებ მარტო ტყავს და ძვალსა....
—დამიჯერე, ძამი,ვ, დედა სჯობია ქალსა.

დედა ბადრი მთვარეა, ქალი—მინაცრებული,
ქალი ნაძრახი არის, დედა—ყველგან ქებული,
ქალის მშვენიერება, არსად არ გაგებული
მარამ დედის სიკეთეს, ყველა იტყვს ქებასა,
ძმაო, შენც არსადა სთქუა: ქალი სჯობსო დედასა!

—Знаешь- братецъ, въ тебѣ есть талантъ, წამოიძახა ლავთანოვმა... ხშირათ რომ ჰსწერდე, შენს ტალანტში ეჭვ აღარავის ექნება... გარწმუნებ!... ლეინე ხარ, ლეინე!...

— უცხო, უცხო! სთქუა მოლაროვმა.

—რუსთაველის ეგ ოჯახდაქცეული, რუსთაველი!... წამოიძახა დიდყურაშვილმა.

კერკაძემ ხმა აღარ გასცა.

—აბა, დიმიტრი, შენ რას გვეტყვი? ჰკითხა ქარიბულო-ტულოვმა მოლაროვს,—შენ არას წაგვიკითხავ?

—რატომ არა! მიუგო მოლაროვმა, ამ სიტყვთ ამოიღო მსხჳლი რვეული და სთქუა:

—ეს გახლავსთ პირველი ნაწილი, ჩემგნით გადათარგმნილის რომანისა...

—ძლივს, პროზას არ გეღირსეთ! წარმოსთქვა მრავალმარლოვმა.

—რატომ ნამდვილს არასა ჰსწერ? ჰკითხა გერგაძემ,— **Что толку въ постоянныхъ переводахъ!...**

**Чте Это за романъ?** ჰკითხა ლაფანოვმა,—რა რომანია?

—გრაფ მონტე კრისტო,მიუგო.. **Вольный переводъ.**

გერგაძე აიმრუზა; ქარიბერტულოვმა ხათრით ვერა სთქვარა; ხმალალაშჳლმაგი წამოიძახა.

აბა წელან რომ ბძანებდით, გამხდარ ჟურნალში დიდი წიგნი სად ჩაეტევაო,—ეს რაღა გახლავს? ხომ სამს წელიწადს ვერ გაათავებთ მაგის ბეჭდას ცისკარში?..

—ეგ მართალია. სთქვა გერგაძემ.

**Правда, прявда,** მიუგო ლაფანოვმა.

—სწორეს ბძანებთ. წარმოსთქვა ჩინთელმა.

—მეც ვხედავ რომ დიდია, მიუგო მოლაროვმა, მაგრამ ამას ცალკე დაბეჭდამ როდისმე.. ეხლა მოვიტანე იმისთჳს, რომ გაჩვენოთ ნიშანი, თუ რა ენით უნდა ვსწეროთ ჩვენა...

—**Хорошо!..** წაიკითხე, სთქვა ლაფანოვმა.

—დაიწყე. წარმოსთქვა გერგაძემ.

—ყურს გიგდებთ, დაუმატეს სხვებმა.

მოლაროვმა დაიწყო კითხვა:

## გრაფ მონტე-კრისტო.

«მეისტორიე ახე მოგჳთხრობს, რომელ, ფრანციის ქვეყანაში, მარსელის ქალაქში, ათას რვას თხუთმეტში,

ერთი მდიდარი სოვდაგარი იყოვო, ვაჭრად მორწმულ გრ-
ქო, ძრიელ კეთილის გულის და ცოდნის პატრონი იყო,
ღჳთის მოყუარე და მოშიში და მისთჳს ღმერთს მიეც-
ნიერი ქალაქუაჲ მიეცა ღმრთით. და დიდი აღებ-მიცემაც
ჰქონდა სხუა და სხუას ქუეყნებში და ნამეტნავად ინდო-
ეთიდგან, თავის სამის საკუთარის გემით. დიდას და
ჩინაურს აგზავნიდა ხოლმე — ამ ყამათაც გემი საქო-
ნელზედ გაეგზავნა და მეტად დაღონებულიყო რომ,
გემმა დაიგჳანა და ორი დღე გადა გაეტარებინა. მო-
რეული ჰკითხვდა: «ვაითუ ჩემი ხომალდი დაინთქა.» ამ
ქალაქის ნავთსადგურის ყარაული, აცნობეს ყველას
რომელ, საზანძიანი ხომალდი წოდებული სახელად
«ფარავონ» დაბრუნებულა სმირნის ქალაქიდამ და საპირს
მოემართება, ხომალდი წინა მილოდი მამისათვე მიეგებას,
რიონის გუნძულთან, რათა, «ფარაონი» სამამართს გემ-
ლების ფრთხილად შემოატაროს, მაგრამ ფარაონი კი-
ასრულის მეჭახრის და წყნარის მიმართ მოცურავდა-
რომელ. მრავალნი ზღვის ნაპირას მდგომნი მაყურებელ-
თაგანი, ერთმანეთს ჰკითხვიდნენ: «ამ გემს რა დამართე-
ბია. ხოლო, კარგი მეხომალდე კი შეამჩნევდა რომ,
თჳთონ გემსარა უჭირდა რა, გარნა სხვა რიგი
უბედურება რამ ჰსწვევია. ამ მაყურებელთ ხალხში ერთი-
კაცი იდგა, ამას გულმა ველარ გაუძლო, ნავი მოატანინა,
ჩაჯდა და ხომალდის მისაგებებლად წავიდა,- ეს კაცი,
ჩუენი სოვდაგარი მორწყული იყო. ფარავონის პატრონი.-
რა მორწყული ნავით გემს მიახლოვდა ხომალდიდან ერთი
ყმაწვილი კაცი გადმოვიდა, რადგან ამ გემის მეუფროსე

იყო, მორეს ქუდი მოუხადა და თავი დაუკრა. ასე უნდა ვიცოდეთ, რომ ევროპის ქუჩებში, ყოველს გემს თავის საკუთარი სახელი ჰქვას ადამიანივით და ყოველს თავისი მეუფროსე ჰყავს, რომელიც ზედა მხედველი და მართველია გემისა და კაპიტანით უწოდებენ.- ეს ყმაწვილი კაცი, რომელმაც მორელს თავი დაუკრა ოცისწლისა იქმნებოდა, მაღალი და ტანადი იყო, შავ თვალწარბა, შავი თმები გძ-ლათ გამოუშო და მხრებზედ მშვენივრად გადმოჰფენოდა; მისპირის სახეზედ სიმშვიდე და გამბედაობა ეწერა, რომელიც შეჰფერის კაცსა, სიყრმითვე მიშისა და ბრძოლის შეჩვეულს... ესეც უნდა ვსთქვათ რომ, ამ ყმაწვილს, სახელად ედმონდ დანტეს ერქო, კაპიტანის ხელქვეითი იყო, მარამ რადგან, ამ ჟამათ, კაპიტანი მოჰკლდომოდათ, იმისი თანამდებობა ამას მიელო. მორელმა რომ ეს ყმაწვილი კაცი დაინახა, მწრაფლად შეუძახა:.. გამარჯვება შენი, ჩემო დანტეს!.. ერთი შემატყობინე. ხომ არა შეგმთხვევიათრა, რომ «ფარაონი» ავრე მწუხარედ არისო?» ედმონდმა უპასუხა: დიდი უბედურება გვეწვია, უფალო მორელო, ჩვენი კაპიტანი ლეკლერკი გებრალე-ბოდესო «მორელმა, მწრაფლად ჰკითხა» საქონელი რაღასა იქმო? «დანტესმა მიუგო» საქონელიც და გემიც კარგად გახლავან, მარამ კაპიტანი ლეკლერკიკი გარდა-იცვალაო. მორელმა, რასაქონლის მშვიდობიანობა გაიგ-ონა, დამშვიდებით ჰკითხა დანტეს «რა ემიზეზებოდა საწყალს ლეკლერკსო, რისგან გარდაიცვალაო?» ედმონმა უპასუხა. რომ იცოდეთ რა უეცრად შეგვემთხვა ეს უბედურება? კაპიტანი, ნეაპოლის ქალაქში კომენდანტთან

გახლდათ, იქიდგან რომ მოვიდა თავი აიტკივა და ქუეშ-საგებში დაწვა, სამი დღე აღარ გამოსულა თავის ანთე-ბა მოუკვიდა და გარდაიცვალა?... დანტესმა მცირეს ფი-ქრის შემდეგ წარმოსთქუა-» იმათ ღირს სიცოცხლე?.. ათი წელიწადი ანგლიელებს ომა და ახლა ქუეშსაგებში მოკუდა, ზღვაში დასამარხავათ!!„» მორელმა უპასუხა: «რა უყოთ ჩემო დანტეს, ჩუენ ყველანი ღმერთის ქუეშე-ვართ, სიკუდილი წესიერია; ამასთან, თუ უფროსები არ დაიხოცნენ, უმცროსებს ალაგი საიდან გაეხსნებათო და დარწმუნებული რომ ვიყო საქონლის სისრულეზედ, მაშინ მე ვიცოდიო.» დანტესმა მიუგო, სრულად გახ-ლავსთ... თუ გნებავთ, აბძანდით და საქონლის ზედა მხედავი, უფალი დანგლარი. ყველაფერს გაჩუენებთ, მინამ, ღუზას მივხედავ და გემს შავათ შევამოსვინებ, ლეკლერკის სამწუხაროდ...»

მორელს თოკი მოართვეს, ჴელი მოავლო და თოკის კიბეზედ მარდათ აირბინა კარგს მეგემესავით, აქ წინ დანგლარი მოეგება, მდაბლად თავი დაუკრა და წარმოს-თქუა; «უფალო მორელ, ჩუენი უბედურება შეიტყეთო?! მორელმა უპასუხა:» როგორ არა!.. საწყალი კაპიტანი ლეკლერკი? კარგი და პატიოსანი კაცი იყოვო. დანგლა-რმა წარმოსთქუა: «მერმე რა ზღუაში მავალი იყო, ცა-სა და წყალშიაც დაბერდაო.» მორელმა მიუგო: «მარ-თალს ამბობო, მაგრამ, მე ვგონებ, მოხუცებულება საჭირო არ იყოს იმისთჳს, რომ კაცმა თავის საქმე კა-რგათ იცოდესო... აი თუნდ დანტეს. უყურე, თავის თანამდებობას ასე ასრულებს რომ, ვგონებ, იმისთჳს

რჩევა საჭირო აღარ იყოს.» დანგლარმა შურით შეჰხედა დანტესს და წარმოსთქვა: «ჭეშმარიტია. მაგრამ მე ჯერ ყმაწვილია, ახლათ ამოწვანებულა და გამოცდილობაც ბევრი აქვს... რამწამს ლეკლერკი გარდაიცვალა, იმის თანამდებობა მაგან მიიღო, არა ვის არ დაეკითხა და დღენახევარიც ელბის კუნძულში დაგვაკარგვინაო« მორელმა დაფიქრებით წარმოსთქვა« რაც თანამდებობის მიღებას შეეხება მაგისი პირჳელი მოვალეობა იყო, მაგრამ, ელბის კუნძულშიგი არ იყო, დღე ნახევარი დიდი დროა; თუ გემს გამართვა არ ჭირებოდა. დანგლარმა მიუგო: გემი, სრულებით გამართული გახლდათ, მაგრამ, დღე ნახევარი, მხოლოდ დანტესის სახიამოვნოდ დავკარგეთო? მორელი მიბრუნდა და შეუძახა დანტესს: ედმონდ. ერთის წუთის აქ მობძანდიო». დანტესმა: მცირედი მოითმინეთ, ამავ წუთს გიახლებითო!.. და მიუბრუნდა გემთა მსახურებს და რაოდენიმე ბძანება კიდევ მისცა. ამისმა დამნახავმა დაგლარმა წარმოსთქვა: ერთი შეხედეთ, იმას, მართლად, თავისი თავი კაპიტანი ჰგონიაო!« მორელმა მიუგო: რა ცუდს იქსო? თავის თანამდებობას ასრულებსო და ან რატომ არ შეიქმნება კაპიტანიო. ყმაწვილია, მარამ გამოცდილი არისო». დანგლარს ამ სიტყვზედ შუბლი მოეღრუბლა... ამ დროს დანტესიც მოვიდა და წარმოსთქვა: მომიტევეთ. უფალო მორელ. რომ ჯერ გიახელით! ახლავე. როდესაც გემი დაბმული მყავს თქჳნის მონებას ქჳშ გახლავართ!.. მიბძანეთ რისთჳს მეძახდითო, ამათ ლაპარაკს დაგლარი ჩამოეცალა. მორელმა ჰკითხა დანტესს: მე მინდა

შემეტყო. ელბის კუნძულში რისთვს დამდგარ ხართო?.. დანტესმა მიუგო: «არვიცი, უფალო მორრელ, რისთვს დავდექითო, ეგ იყო ნება და უკანასკნელი თხოვნა კაპიტანის ლეკლერკისა, რომელმაც სიკვდილის ჟამს ერთი წიგნი მომცა და მითხრა: «მარშალს ბერტრანს მიუტანეო» და მეც მისი ანდერძი აღვასრულე»

მორრელმა შეკრთომით ჰკითხა:,, მაშ. მარშალი ბერტრანი ნახეო? დანტესმა: დიახ, ვნახეო» მორრელმა, შეშინებით, აქეთ-იქით მიიხედა და დანტესი ნაპირას გაიყვანა. . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . .

—ბრავო, ბრავო! წამოიძახა ქარიბერტყოვმა,- კმარა, ამჟამათ გვეცა კმარა... უცხოთ გითარგმნია!..ჩინებულია!

—კარგი ენა არის, შეჰნიშნა გერკაძემ.

—სწორეთ ასე უნდა გსწეროთ, დაუმატა ჩინთელმა.

—**Прекрасно.** წამოიძახა ლათვანოვმა. სხვებმაც მოიწონეს და აქებდნენ.

—აბა, ვანო, ახლა შენი რიგია, მოუბრუნდა ლათვანოვს ქარიბერტყოვი.

—მე ჯერ არა დამიწერია რა!.. არცკი ითქმის ისეცოტა რაცდა დავჯდები... **Въ родѣ Гейне**... დაწყობილიკიბევრი მაქჳს... ორმოცამდინ საგანი იქმნება..

—ჯერ ის წაგვიკითხე რაც აქა გაქჳს, სთქვა გერკაძემ.

—აქ ლათვანოვმა ამოიღო პატარა ქაღალდი და სთქჳა.

—აი ესლექსი არის... ვითომ ლეინესშიგბაძე... და წაიკითხა.

მოირთო მაგდალინა,

წარბებზე იცხოინა,
ლოყებზედ-ფერუმარილი,
გათეთრდა, როგორც მარილი;
ჩაიცო კრინოლინა,
მოირთო მაგდალინა...

—**Чтошъ! и то не дурно...** სთქვა კერკაძემ.

—მარილი, განა შავი არ იქნება? იკითხა ყურდიდაშვლმა.

—რატომ ხაბარდა არდასწერე, შენიშნა ჩინთელმა.

—მაგდალინა ქართულია? იკითხა ხმამაღალაშვლმა. მგონია ქართულათ—მაგდან უნდა იყოს?..

—ეგ სულ ერთია, მიუგო მოლაროვმა...

ტუკ, ტუკ, ტუკ!

ამ დროს, ვილაცამ, ალაყაფის კარებს დაუწყო რახუნი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

—ვინ არის, ნეტა? წარმოსთქვა მასპინძელმა და დაიძახა: ბიჭო!.. ბიჭო!..

—ბატონო! მისცა კუხნიდან ხმა სოლომონამ.

ტუკ, ტუკ, ტუკ!

—ბიჭო!.. დაუყვირა, ხელმეორეთ, ქარიბერტყოვმა.

—ბააატონო?.. დაიძახა გაგრძელებით სოლომონამ, მარამ კუხნიდგან კიარ დაიძრა.

ტუკ, ტუკ, ტუკ, ტუკ, ტუკ, ტუკ!..

—**Эй, человѣкъ!..** დაიძახა კიდევ გიორგიმ.

—ზუჩააას!.. მოახსენა კუხნიდამვე სოლომონამ... ქარიბერტყოვი გაჯავრდა, წამოდგა. ზალის კარი გააღო და შეუყვირა ბიჭს, გაწყრომის ხმით:

—არ გესმის, შე დურაკო, რომ ღამის კარები დამტვრიონ?!.. რაკი ეს სთქვა, შინ შემობრუნდა და სოლომონამ ალაყაფის კარებს მიაშურა.

— რა საძაგლები არიან ეს ჩვენი მსახურები წარმოსთქვა ქარიჰერტუოვმა.., შვდი ათასჯერ დავიძახებს:« ბატონო! და ადგილიდგანაცკი არ იძვრის!..

ამ დროს ზალის კარი გაიღო და შემოვიდა სოლომონ მოლაყურაშვილი. აქ რომ ეს ხალხი დაინახა და ზალა გაჩახლებული, შედგა ერთს ხანს კარებთან გაშტერებულივით და დაცინების სახით, ცოტა თვალებიც უჟუჟუნებდა ღვინისაგან; შემდეგ მოუბრუნდა მასპინძელს და სთქვა:

—აგი ავათ არისო! ესენი რა ლოსტურები მოგიწვევია?... ამ სიტყვაზედ ხელი მიიშვირა სტუმრებზედ.

—**Кой чортъ его принесъ!**,. წარმოსთქვა გიორგიმ წყენით. სოლომონმა ყური მოჰკრა ამსიტყვებს და სთქვა:

—ეშმაკმა კი არ მომიტანა, მედროშკემ მომიყვანა... არა, თქვენ ოხრებო, ამისთანა ღამეში, როგორიანი კაცი შინ დადგება?!,. აბა რას ჩამომსხდარხართ აქა და თავს იწვალებთ?..

—აააა, ჩვენი საზოგადო მეგობარი და ძმა!.. სოლომონს გაუმარჯოს, წარმოსთქვა ჩინთულმა.

—აააა,სოლომონ?.. შენა ხარ? წარმოსთქვა გიორგიმ და მიეგება განცებ მალაყურაშვილს... მოდი, აქ დაჯექ....

—ბაშოლ ჩორთუ! შეუტია სოლომონმა ქარიბერტუოვს.

—შენ მგონია, გადაგიკრამს? უთხრა გიორგიმ სოლომონს ხუმრობით,

—გადამიკრამს, შენ ნუ მომიკვდები მამის შენის ზკრასა იქნებოდა!.. ნახევარ თუნგი ღვინო თუნდ დავლიო; თუნდ არა.. რაგასკდება?...

—აააა, სოლომ! მოდი აქ,ჩემთან, დაუძახა მას კერკაძემ

—სად იყავ, მალაყურაშვილო? ჰკითხა დიდყურაშვილმა.

—მე ვიცი სადაც იქნებოდა, შენიშნა ხმამაღლაშვილმა. სოლომონ წინ წამოუდგა. დოინჯი შემოიყარა, ქუდი გვერდზე ჩაიკეცა და სთქუა:

—მე საცა ვიყავ,თქუენ რა გინდათ?. ვერ,ერთიესმითხარით, ან აქ რას უსხედხართ,ან ეს ბოლი რა არის, რომ დაგიყენებიათ, ქურახანაა? თქუენმა მზემ, ერთი როცა სალდათი არ მოსწევს ამთენს თამბაქოს!.. არა, რაზედ იხჩობით თქუენ სულელებო!.. შაჰხედეთ რა მთვარეა!.. ვერ ჰხედავთ ამ მაისის ღამეს?.. ვაჲ თქუენი პატრონის ბრალი!.. წმინდა დურაკები ხართ!..

—რა არის რომ სულ ილანძღები?-ჰკითხა ხუმბრობით ლაივანოვმა სოლომონს და მისავე გამოსაჯავრებლათ დაუმატა: Экой ты балванъ!..

—პაშოლ, ტი მოი პატკოვ!..მიუგო ლაივანოვს,ვითომც რუსულათ.

—დაჯექი, კარგი! დაუწყო სოლომონს ყურთმაჯზედ დაწევა ქარიბერტყოვმა.

—თქუენ რომ სხედხართ,რას აკეთებთ?ჰკითხა გიორგის.

—თუ დაჯდები გეტყვით, მიუგო მან.

სოლომონ დაჯდა და სთქუა:

—აბა, მითხარით.

—ჩუენს განხილვაში არის ეხლა ქართული ლიტერა-

ტურა, უთხრა ქარიზერტულოვმა.

—ლიტრიანი ტურაო?!.. იკითხა სოლომონმა.

—მოდი და შენ ელაპარაკე ამისთანა დურაკს! წარმოსთქვა ლაფვანოვმა,- ლიტე... რა .... ტურა.. გესმის თუ არა?..პროზა და ლექსები ქართული, თხზულებანი ჩვენს ენაზედ...

—ახლა კი მესმის!- მიუგო მაღალყურაშვლმა .. ტურა-მაინც ტურა არის; პროზა—რუსულად ფეტვი უნდა იყოს და ლექსები თუ გინდათ. მეც მოგახსენებთ, ერთი ძველი გაცისგან ნათქვამს... და ამ სიტყვაზედ სთქვა:

—ერთი რამ მხეცი მინახამს. გორისა, თუ ახალ გორისაო: თავისთვის მუტრუკს აკეთებს, სხვისთვის კი შეჭამს ჯორისაო!.

—რა გამოვიდა მანდიდამ? ჰკითხა დიდყურაშვლმა. მაღალყურაშვლმა დაცინების სახით შეხედა ბარძიმას და მიუგო:

—რა გამოვიდა,—და ჯოხჯოლი!. რა გამოვიდოდა, ტუტუცო?.. ეს გამოვიდა, რომ თქვენ ყველანი, რუსულს, ფრანცუზულს, ლათინურს, ლემენცურს და კიდევ რაღაც ჯანდაბურებს კითხულობთ, სწერთ, და ქართულს კი—სულ არა, ან ძალიან ცოტას; სხვას ჰმატებთ და თქვენს ენას კი—არა ფერი!... ფაფა...

--ბრავო!.. ბრავო, სოლომონ! წამოიძახა ლაფვანოვმა.

—ბრავო! დაიძახა გერგაძემ.

—ბრავო!.. დაიძახეს სხვებმა ყველამ.

—ეგ ყველა კარგი, წარმოსთქვა სოლომონმა, მაგრამ, ეს მითხარით შინ რას უზიხართ ამისთანა ღამეში?,...

—აკი გითხარით?.. ვერა ჰხედავ, რისთვისაც ვსხედვართ, მიუგო დაფანოგმა. Чудакъ, этакой!.

—მე იყავ ქართო!—დამუ იასტრებ!. მე ქართველი ვარ ქართული მითხარ. რუსული რა ვიცი. წარმოსთქვა მოლა-დურამქლმა.. ხომ ჰხედამ რუსული არ ვიცი?.,

—მართალს ამბობს, სთქვა გურგამემ.

—აგრე დამეხმარე ჩემო სანდრო, აი!.. შენი სოლოლა მოგიკვდეს, თუ მე შენ, ამაღამ, ქეიფი არ გაგაწყვეტინო... რა ეს სთქვა სოლომონმა, მიუბრუნდა სხვებს და უთხრა:

—ბეჟანი მაგიდენა ანაბანის კითხვა და წერა, ახლა გადააწყვეთ ეგ თქვენი ქაღალდები, საწერ-კალამი და წავიდეთ ორთაჭალაში.. იქ ამ მშვენიერ ღამეში, ჩარხების ღრიალი, ვირების ყროყინი, ბულბულების სტვენა.—გული მადას გაგვიხსნის.. მე წამოვიყვან იქ: ქოშვეპასა მეღუღეს თავისის დუქნით. ივანე მეზურნეს, ქეყუს მედოლეს და ხაჯიბუზა მედაირეს.. მომღერალსაც, თუ გინდათ სათარას. თუ გინდათ ქვანგულას და ჩავისხდეთ!. დიდახელ, კარგი თარივი თუთრი თუთა, კარგი ფუნჯი სადილათ ცოცხალი ჭანარი, კახური ღვინოები.. გავსწიოთ ქეიფი!. აი ცხოვრება ეს იქნება!..

—ქალები? ჰკითხა გურგამემ,

—ქალები?—ქალებიც შეიძლება, მიუგო სოლომონმა.

—Ѣдемъ, господа! къ чорту, на время, тетради!. წარმოსთქვა დაფანოგმა,—მართლა, რადროს რვეულებია?.

—წავიდეთ! დაიძახა მოლაროვმა.

—წავიდეთ, წავიდეთ! დაიძახეს სხვებმაც. ნახევარს საათს უკან, ჩვენი ახლნიშნულნი ლიტერატორები, ორთა ჭალის ბაღებისაკენ მიაქროლებდნენ დროშკებს, ზურნის კრით..

—ვაი, ქართულო ლიტერატურავ!...

თ. რაფიელ ერის-თავი.

## ჩუჱნი კეთილის მსურველნი მსწავლულები.

I

ეხლა, როდესაც ისე გაცხოველებულია ყოველგან აზრი ჵსწავლისა და მეცნიერების გავრცელებისა და, როდესაც, არამთუ ქართველებმა იგრძნეს საჭიროება ჵსწავლისა— გოტენტოტებიც კი ცდილობენ, რომ დააფუძნონ სახალხო სასწავლებლები და მიიღონ ჵსწავლა; ამ დროს, როდესაც ჩუჱნში აღმოჩნდნენ იმისთანა პირნი, რომელნიც არას ფერს ხარჯს და შრომას არა ზოგამენ სახალხო სასწავლებლებისათჳს და როდესაც მთავრობამ უმეტესად ეხლა მიიღო ყურადღება ხალხში სასწავლებლების დაფუძნებაზედ;- ამ დროში აღმოჩნდნენ იმისთანა საქართველოს კეთილ მსურველნი პირნი, რომელთაც წარმოუთქუამთ, რომ ქართველებისათჳს, სწავლა ამაო იქნებაო. ერთს ამ პირთაგანს დაუწერია, რომ ჵსწავლა დიახ მავნებელია ქართველებისათჳს, რადგანაც ფრენოლოგიის გასონებით და გუმბოლტის გამოძიებით ქართველების თავის ტჳნე-

რიხი იმისთანა მოყვანილებისა, რომ არ შეიცავს არც თუ ნამწყწს ნიჭს ჰსწავლისა და მეცნიერებისასაო...

გახსოვდეთ ქართველებო, რომ თქვენ იმისთანა კინკრიხები გაქვთ, რომ ჰსწავლის და მეცნიერების მიღებას არ შეგიძლიანთ და ამაო იქნება, თუ ვინიცობაა თქვენში დაფუძნდნენ სახალხო სასწავლებლები სადაც მარტო ქართველებმა უნდა ისწავლონ, და სულარასდროს ნულარ გაიცხელებთ სწავლისათვის თავსა! მიდით და ეცით თაყვანი უფალს დიდს ფრენოლოგს, რომ აგვიხსნა თვალები და გვიჩვენა, რომ ჩვენ სწავლა არ შეგვიძლიან, რადგანაც თავის კინკრიხი იმის სამეცნიერო სწავლისა არა გვაქვს და უნდა დავრჩეთ პირუტყვულს მდგომარეობაში! მიდით და უძღვენით დიდის გვირგვინი ამ დიდს მეცნიერს და სწავლულს ფრანზიოროსა, რომ იმანაჯობა ყველა ევროპიის სწავლულებს, რომელთაც დიდი ხანია დაამტკიცეს, რომ ქართველებს აქვსთ ნიჭი და რომელთაც ამ უკანასკნელს დროებში დასინჯეს რა ფრენოლოგის განოსებით საქართველოს მხარის კაცის კინკრიხები, აღმოაჩინეს, რომ ამოდენა ნიჭს არც ერთი ხალხის კინკრიხი არ შეიცავს! მიდით და შეასხით ქება ამ დიდის და ჩვენი სასარგებლო აღმოცენებისათვის!.. ჩვენ დიდათ ვსწუხართ, რომ გუმბოლდტის სახელი გაურევია ნახევარ ცრუ ჰსწავლის (ფრენოლოგიის) მეწამეებთა. უფ. ფრენოლოგს როგორც ეტყობა კარგათ ჰქონია გასწავლული მეცნიერების პატრიახი გუმბოლდტი, რომლისაც თავის აზრს ამყარებს ვითომც ამის სიტყვებს, რომელიცა თუ შეკრება სადმე ფრენოლოგიასა თითქმის ირონიით

ლაპარაკობს და არც ერთგან არ ლაპარაკობს ამ სწავლ-აზედ, როგორც ღირსეულს მეცნიერებაზედ. არა, უფალო დიდის სამეცნიერო სწავლის ფრენელოგიის თაყვანის მცე-მელო მეცნიერო, (რიტორიც) ეგ თქუენი ფრენოლო-გია დიდი ხანია დაცემულია და თქუენსისთანა თავსუბუქ-ების და ფრაზიორების მეტს აღარა ვისა სწამს და ტყუილათ იმოწმებთ გუმბოლტს თქუენს უშვერსა და შურით სავსეს აზრზედ. დიახ უფ. ფრენოლოგო, ეგ თქუენი ქელთ მძლავნელი მეცნიერება თანდითან ეცემა და თქუენკი ისევ ტკბილს სიზმარში ბრძანდებით და ვერ ადევნებთ ამას ყურს!... ჩუენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ აზრის წარმოთქმა მოსვლია უფ. ფრენოლოგს მტრობით და მ.,.. სამებლათ. იქნება უფ. ფრენოლოგო გეგონათ მაგისთანა უშვერის აზრის წარმოთქმით დაწინაურებულ-იყავით და გეგონათ რომ დაარწმუნებდით მაგითი მთავ-რობას. მადლობა ღმერთსა, რომ არიან მთავრობაში იმისთანა პირნი, რომელნიც იცნობენ ქართველებსა და რომელნიც მიხვდებიან თქუენს უშვერებას და მტრულს აზრს..

შევიტყევთ ვითომც უფ. ფრენოლოგს (გვარის მოხსენება საჭიროთ არა ვრაცხეთ, რადგანაც ყველა მიხვდება ვინც ეს საქმე შეიტყო, ვიზედაც, ეს ლაპარაკი გვაქუს) ამ აზრის დაბეჭდვა აღარ უნებებია. დიდათ ვსწუხართ რომ ეს გაგვიდი. სწავლული აზრი დაბეჭდვით არ გამო-ქვეყნიერებით, ჩვენ ვეცდებოდით მაგის ფრენოლოგიით უნიჭო ქართველები დამტკიცებასა, თუ რამდენით დაბლა სდგას მაგისთანა სწავლული არამთუ რიგიანს ქართველ-

ზედა და ერთ პირუტყვს... და აგრეთვე დაუმტკიცებდით. რომ არამთუ უბრალო სახალხო სასწავლებლები და უმაღლესი სასწავლებლების მოთხოვილებაც არის გაღვიძებული ჩუენში და არის კიდეც ფრიად საჭირო... ვსწუხართ უფ. ფრენოლოგო თქუენი აზრის დაუბეჭდველობისათჳს, რომ უფრო დაწვრილებით შეგვეტყო თქუენი უმეცრება და დაწვრილებით მიგვეცა ანგარიში თქუენგნით გაკიცხულის ქართველებისათჳს.... დარწმუნებული ვარ, რომ ქართველები იყოლიებენ მხედველობაში ამ გვარის აზრის პატრონებს და კარგათ შეისწავლიან....

---

აგრეთვე არ შეგვიძლიან, რომ არ უჩუენოთ ჩუენს მკითხუელს საკჳრველი ქუეყნის სისარგებლო აზრი, რომელიც წარმოსთქუა წელს ჩუენს ფრიად დაწინაურებულს გაზეთს «კავკაზში» უფ. ლოდაქევ-მალარსკიმ.

თჳთქმის მთელმა ევროპამ დაამტკიცა გამოცდილებით და ნახევარზედ მეტს ევროპიის სახელმწიფოებში დაარსეს ხმოვანი სამსაჯულოები (**Гласные суды**). ამ სასამართლოების საჭიროება ყველა ხალხმა იგრძნა და დამტკიცებულია, რომ ხმოვანი სამსაჯულოების წესი შე-

უდარებლივ სჯობიან სხჳს სამსაჯულოების წესსა. ეს უმჯობესობა და წარჩინება თჳთონ რუსებმაცა ჰპოვეს და ეხლავ ნაცვლად ძველის სამსაჯულოების წესისა შემოაქჳთ ხმოვანი სამსაჯულოები თავისის წესით მამ კაცი, რომელიც ამ წესს არღვევს ან უნდა იყვეს დიდი გენიის პატრონი (თუ დაგვიმტკიცებს ამის უარგისობას,) ან უნდა იყვეს საშინელი კანსერვატორი, რომ ვეღარ დაშორდება ძველს წესს. ჩუენდა სამწუხაროდ აღმოჩნდნენ იმისთანა პირნი, რომელნიც ამბობენ და კიდეცა ჰბეჭდიან (დაგი ვერ ამტკიცებენ), რომ ხმოვანი სამსაჯულოები ვითომც სავნებელი იყვეს ჯერ ჩუენთჳს. ამ სტატიის გარჩევა ჩუენ მივანდვა უფრო განსწავლულის და გამოცდილის იურისტებისათჳს და ჩუენკი ჩუენით მხოლოდ ამას ვიტყჳთ, რომ ეს აზრი ბევრით უკეთესი აღარ არის, ხალხისა და ქუეყნისათჳს ზემოხსენებულის უფ. ფრენოლოგის აზრზედ. სწორეთ, სწორეთ ბატონებო ხალხის სარგებლობის წინააღმდეგი აზრები! ძალიან დაწინაურებულები ვართ ქართველობა ყოველ რიგის მდგომარეობითა და, თუ ცოტაც არის არ დაბრკოლეთ ჩუენნი წინ წასვლა და კეთილ დღეობა, უთოვოთ მეტის სიკეთით მწიფე ნესვივით დავიჭკაჭკებით და დავზიანდებით! (*)

---

(*) მართალია უფ. დოდოევ მაღარსკიმ (დოდაშჳლმა) დასწერა თავისი აზრი. რომ საჭირო არ არისო ჩუენთჳს ხმოვანი სამსაჯულოებიო, მაგრამ მაინც მმთავრობამ არ დაიშალა (საკვირველია ეს მთავრობა, ყურსკი არავის

## ბიბლიოგრაფია.

## მიმოზსაური ურია.

(თარგმნილი ჭფ. ალექსიევ მესხიევისაგან,)

ახლანდელს დროებაში ისე არაფერმა არ უნდა გაგვაკვირვოს, როგორც კაცმა, რომელიც უყურებს დროებასა, ჰხედავს, რომ ყველა ცდილობს სასარგებლო რამ იშრომოს და ის კაცი სდებს შრომას ყოვლითურთ უსარგებლო საქმეს. ამაზედ ყველა დამეთანხმება, რომ ეს

---

არ უგდებს!) და არდგენს პროექტს ხმოვანისამსაჯულოების შემოტანისას. ჩვენ ამას ვახარებთ ცისკრის მკითხველებს როგორადაც იმისთანა საქმეს, რომელიცა გამოიხსნის დიდძალს ხალხს უსამართლობისაგან და მოარჩენს ქვეყნის მუკლუფავს მსაჯულებსა. ჩვენ გვინდოდა ეს დებულება გადმოგვეთარგმნა ქართულად და დაგვებეჭდა «ცისკარში» მაგრამ სხვა და სხვა მიზეზებით აღარ მოგვიხდა

სწორედ გასაკვირველია ამ მატერიალურს დროებაში. ჩვენ მოგახსენებთ ზოგიერთს ჩვენს ლიტერატორებზედ (თუკი ეს სახელები ეწოდებათ ამათ). ჩვენი ქართული ლიტერატურა, რომელიც ასე და იმათ ემპერიკის სასარგებლო და გამოსადეგის ნაშრომების საჭიროებს, რომ შეიძინოს იმისთანა საგანი, რომელიც ან სულს მიეკვრის, ან ხორცს. ამის ნაცვლად. რომელს საჭიროებს აღასრულონ, ჩვენი ლიტერატურის მშრომელები აი რასა სთარგმნიან.

ერთს, რომელსაც წლის ცისკრის, ნუმერში წავიკითხეთ განცხადება უფ. სარდიონ ალექსიევ მესხიევის რომ იმასა აქვს გადმოთარგმნილი რომანი «მომოგზაური ურია» ამ განცხადებამ, სწორე მოგახსენოთ ისე გაგვაკვირა და გაგვაოცა, რომ არ ვიცოდით რისთვის მიგვეწერა ეს მოცდომილება უფ. ალექსიევ მესხიევის, შესახებ თარგმანისა. გაცმა რომ ამგვარს საგანზედ მიიღოს შრომა და გადმოთარგმნოს ეს ამოდენა წიგნი უნდა ვიდეც მხედველობაში ჰქონდეს: ერთი ხალხის მდგომარეობა და; მეორე ხალხისა და ლიტერატურის საჭიროებს და მესამე ხალხის მატერიალური ღონის ძიება. მაგრამ, როგორც ჩვენ ვატყობთ უფ. მთარგმნელს არც ერთი ამ ზემოთ თქმულთაგანი არა ჰქონია მხედველობაში.

«მომოგზაური ურია» ჯერ თვითონ ფრანცუზებისათვისაც აღარ არის გამოსაყენებელი და აქეთ ხოლოდ ხრონიკათ, როგორც იეზუიტების ბოროტების გამომაშკარავებელი თხზულება. ამ თხზულებამ, მართალიცა და, მიაღებინა მთავრობას ყურადღება იეზუიტებზედ და მოახმარებინა

ლონის ძიება ამაის განდევნაზედ, მოსპობილამ ფრანციაში ეგზოტიუზმის ორდენისა და ახალის რომანტიზმის მიმართუ-ლების შემოსვლითამ, დაეცა ეს, თავის დროზე დიდათ სასჯელოვანი რომანი, და ახალი ლიტერატურა უყურებს მაგ თხზულებას როგორაღაც ცრუ რომანიზმულის თხზუ-ლებას თუ ყუფ. მთარგმნელს ესა ჰქონდა მხედველობაში რომ ეს თხზულება მთელს ევროპის ენებზედ გადათარგმნა, მაგის მიზეზი ა. რა გახლდათ:პირველი,მთელი ევროპა იცნობდა ეგზოტიკსბს და იმათს ბოროტებას; მეორე, ძველი შუა საუკუნოების რაინიზმი და კლასსიციზმი ჯერ არ იყო დაცემული და მეისამეცა,მეტადრე ფრანციაში რომ იმათი ლიტერატურა ჩვენი ლიტერატურასავით მწირი არ გახლდათ. ეს იყო მიზეზი, რომ ყველა ევროპის ენაზედ გადითარგმნა «მიმომგზავრი ურია. და ახლა ამ-დროებაში როდესაც ევროპამ განდევნა ცრუ რომანიზმი და ცრუ კლასსიციზმი, გარდა ამისა, როდესაც ჩვენი ქართველი კაცი არც ვინ არის, ან რა არის ეგზოტი, საჭმელია,თუ სასმელი არცკი გაუგონია ამდროში ქართულს ენაზედ სთარგმნიან მიმოგზაურს ურიასა!» ახლა, ამდენს სიტყვის რომ ენაც დაუმატოთ ეგ ალექსიევ—მესხიევისა, რომელიცა. სწერს თარგმანს ქართველთ მამის ენათა, რომელიცა ეხლა ხეცეს პეტრე ლაყლაყურისაც. აღარ ეყურება,—გამოვა ჩვენთვის სრულებით ფუჭი. ამ დიდს ლირსებებთან ფასიც ერთი თუმანი ამ რომანისა. აქ ორი მანათი ვერ უშოვიათ, რომ «გუთნის დედა» გამოიწერონ და ეგ «მიმოგზაური ურიის» მთხზველი თითო თუმანსა თხოულობს! აქედამ აშკარათ სცნობთ

რაცა ჰქონია უფ. მთარგმნელს მხედველობაში. მაგრამ დაუსხლტა მახე!.. ძალიან კარგი გიქნიათ უფ. კეთილმშრომელო, რომ ეს წარჩინებული და სასარგებლო რომანი არ დაგიბეჭდიათ და არც გირჩევთ დაბეჭდვასა, თორემ ვგონებ დიდი სარფა ვერა ნახოთ ...

ჩუენ გვინდოდა, რომ კიდევ სხუა ამ გუარს მშრომელებზედ გვეთქუა რამე, მაგრამ სხუა და სხუა მიზეზით დავანებეთ თავი და მეორეც ესა, შევიტყვეთ, რომ «საქართუელოს მოამბეში» იქნება ბიბლიოგრაფიული სტატია იმ ნათარგმნებზედ, რომელიც ჩუენა გვქონდა მხედველობაში სალაპარაკოთ. (*)

ანტონ ფურცელაძე.

---

(*) რადგანაც თავის დროზედ ვერ მივიღეთ ეს უვანასგნელი სტატია, ამისთჳს თავისს ნაწილში ვერ მოვაქციეთ. რედ.